საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები

XXII

XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ

(ალ-ʿუმარი, ალ-მუჰიბბი, ალ-კალკაშანდი)

არაბულიდან თარგმნა, შესავალი შენიშვნები და საძიებლები დაურთო
დიტო გოჩოლეიშვილმა

თბილისი
„მეცნიერება"
1988

63.3(2Г)
ა503

ნაშრომში შესწავლილია სამი არაბი ავტორის ალ-'უმარის (1301--1340), ალ-მუხიბბის (გარდ. 1384 წ., და ალ-ყალყაშანდის (1335—1418) ცნობები საქართველოს შესახებ. ცნობები ქართულადაა თარგმნილი და ახლავს კომენტარები.

არაბი ისტორიკოსები აღწერენ XIII—XIV საუკუნეების საქართველოს საშინაო ვითარებასა და საგარეო ურთიერთობებს. განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს მეფეებთან ეგვიპტის მამლუქი სულთნების მიმოწერის ნიმუშები, საქართველოსთან ჰულაგუიანთა ირანის ურთიერთობის ფაქტები, აგრეთვე ცნობები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ, სირია-პალესტინაში ჩასულ ქართველ პილიგრიმებზე და სხვ.

В работе изучены сведения трех арабских авторов ал-'Умари (1301—1349), ал-Мухибби (ум. в 1384 г.) и ал-Калкашанди (1335—1418) о Грузии. Даны переводы на грузинский язык арабских текстов сведений и комментарий.

В сочинениях указанных арабских историков содержатся данные по истории Грузии XIII—XIV вв. Особенно интересны образцы переписки мамлюкских султанов Египта с царями Грузии. Имеются сведения о взаимоотношениях хулагуидского Ирана с Грузией, о Крестовом монастыре в Иерусалиме, о грузинских пилигримах, приезжающих в Сирию и Палестину и др.

რეცენზენტები ისტ. მეცნ. დოქტორები: ო. ცქიტიშვილი
ალ. მენთეშაშვილი

05030.20906
М 607(06)—88 136—88

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1988

მთავარი სარედაქციო კოლეგია

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი) მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, თ. უაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე

სერიის რედაქტორი თ. უაუხჩიშვილი
ტომის რედაქტორი გ. ჯაფარიძე

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Ш. В. Дзидзигури (главный редактор), М. Д. Абашидзе, З. Н. Алексидзе, Г. Н. Джибладзе, В. И. Дзидзигури, Т. С. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. гл. редактора), Г. Л. Меликишвили, Г. Н. Надарейшвили, Э. В. Хоштария

Редактор серии Т. С. КАУХЧИШВИЛИ
Редактор тома Г. И. ДЖАПАРИДЗЕ

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.

2. აბრაამ იერიანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებელი დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 1978.

5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.), ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.

11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе, Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, Тбилиси, 1979.

13. Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тбилиси, 1979.

14. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დაველიანიძემ, თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

17. არსენი საფარელი, განყოფისათჳს ქართველისა და სომეხთა ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს (V—X), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოჲსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе, Тбилиси, 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.

24. ისქან დერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქარაფული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.

25. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981.

27. გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი, XII—XIII საუკუნეების მოჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., 1983.

32. ოსმალური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილიეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1982.

33. თ ე მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ო. მიქიაშვილმა, თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979, Тбилиси, 1984.

35. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი, I, შემდგენლები: მ. კვაშაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჟომია, თბ., 1986.

37. მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1985.

38. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1985.

39. Жизнь царицы цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа, исследование и примечания М. М. Бердзнишвили, Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982, Тбилиси, 1985.

41. ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექს-

ტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986.

42. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, II, შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჟომია, თბ., 1986.

43. Джуаншер Джуаншериани. Жизнь Вахтанга Горгасали. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1986.

44. Уложение Георгия V-го Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий, указатели Д. Л. Пурцеладзе. В производстве.

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1987.

47. თ ო ვ მ ა მ ე წ ო ფ ე ც ი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ქ. კუციამ, თბ., 1987.

48. ჟ ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი (XIV ს.), ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.

შინაარსი

წინასიტყვაობა 11
ალ-'უმარი, ალ-მუჰიბბი, ალ-კალკაშანდი და მათი თხზულებები . . 12
ალ-'უმარის, ალ-მუჰიბბის და ალ-კალკაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ (გამოკვლევა) 21
ალ-'უმარის ცნობები საქართველოს შესახებ (თარგმანი) . 51
ალ-მუჰიბბის ცნობები საქართველოს შესახებ (თარგმანი) . 53
ალ-კალკაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ (თარგმანი) 54
შენიშვნები 57
Резюме 71
საძიებლები 74

წინასიტყვაობა

უცხოური წყაროების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისათვის საყოველთაოდ ცნობილია. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XIV—XV საუკუნეების უცხოურ წყაროებს იმ ცნობილი გარემოების გამო, რომლის შესახებაც აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის დროზე ხაზგასმით აღნიშნავდა: „XIV—XV სს. ქართული საისტორიო ძეგლების მთლიანად დაღუპვამ საქართველოს ისტორიის ამ ხანის მკვლევარი ისეთ უცნაურ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ საქართველოს მაშინდელი ამბებისა და საერთო ვითარების გამოსარკვევად უცხო, თანაც სწორედ მტრისაგან დაწერილი წყაროს გამოყენების გარდა, თითქმის აღარავითარი სხვა საშუალება აღარ მოეპოვება“[1].

XIV—XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის უცხოური წერილობითი წყაროებიდან ყურადღებას იქცევს არაბული საისტორიო მწერლობის ძეგლები, რომლებმაც შემოგვინახეს მრავალი საყურადღებო ცნობა იმდროინდელი საქართველოს შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალ-'უმარის, ალ-მუჰიბბისა და ალ-კალკაშანდის თხზულებები, რომლებიც მოგვითხრობენ საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობებზე და ამასთან ერთად, შეიცავენ საინტერესო ინფორმაციას ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის თვალსაზრისითაც.

ალ-'უმარის თხზულებით „ათ-თა'რიფ ბი-ლ-მუსტალაჰ აშ-შარიფ“, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული, ისარგებლეს ალ-მუჰიბბიმ და ალ-კალკაშანდიმ და რიგ შემთხვევებში შეავსეს ის ახალი მასალებით. დამატებები შეეხო იმ ცნობებსაც, რომლებშიც საქართველოზეა საუბარი. ამდენად, სამი არაბი ავტორის ცნობები საქართველოს შესახებ ერთმანეთს ავსებენ და სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა წინამდებარე ნაშრომში მათი გაერთიანება და ერთად წარმოდგენა.

ალ-'უმარისა და ალ-მუჰიბბის ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შევიდა ალ-კალკაშანდის კომპილაციური თხზულების მეშვეობით. ამჯერად ისინი წარმოდგენილია უშუალოდ ორგინალზე დაყრდნობით.

---

1 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 278.

ალ-ʿუმარი, ალ-მუჰიბბი, ალ-ქალქაშანდი და მათი თხზულებები

XIV—XV საუკუნეებში ეგვიპტეში იქმნება სქელტანიანი ნაშრომები — ენციკლოპედიები, რომლებიც, ძირითადად, მამლუქთა სასულტნოს კანცელარიის (სამდივანმწიგნობრო) მოხელეთათვის იყო განკუთვნილი. ამ ენციკლოპედიებში თავმოყრილია აურაცხელი მასალა მეცნიერების სხვადასხვა სფეროს შესახებ, რაც მამლუქთა სასულტნოს ბიუროკრატიული აპარატის მოხელეს შეიძლება დასჭირვებოდა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამგვარ ენციკლოპედიებში, მართალია, ისტორიას გარკვეული ადგილი ეთმობა, მაგრამ მას მაინც დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს.

მამლუქთა პერიოდის ეგვიპტის ერთ-ერთი ცნობილი ენციკლოპედისტია შიჰაბ-ად-დინ აბუ ლ-აბბას აჰმად იბნ ჯაჰიჯა იბნ ფადლ ალლაჰ ალ-ʿუმარი, რომელიც დაიბადა 1301 წ. 11 ივნისს, დამასკოში, მაგრამ გაიზარდა და განათლება მიიღო ეგვიპტეში. ოჯახური ტრადიცია მას ადმინისტრაციულ საქმიანობასთან აკავშირებდა. მისი გვარი თითქმის ასი წლის განმავლობაში განაგებდა ეგვიპტის სახელმწიფო სამდივანმწიგნობროს. ალ-ʿუმარის, როგორც საკანცელარიო მოხელის, მაღალი პროფესიული დონე განპირობებული იყო იმით, რომ მას გააჩნდა ქʒთიბის (მდივანი, მწიგნობარი) ყოველდღიური პრაქტიკა და ჰყავდა თავისი დროის კარგი მასწავლებლები სხვადასხვა სფეროში. ერთ ხანს იგი ყადიდ მსახურობდა ეგვიპტეში, შემდეგ კი სულტან ალ-მალიქ ან-ნაʒირ ად-დინ მუჰამმადის (1292—1294, 1298—1302, 1305—1340) კარზე სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა. ამ თანამდებობაზე მან მამამისი შეცვალა. 1338 წელს ალ-ʿუმარიმ შეასრულა ჰაჯი — მოინახულა მექა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან დამასკოში გაატარა. ამის მიზეზი იყო მისი ფიცხი ხასიათი, რის გამოც იგი, საბოლოოდ თავისი მფარველის მიერ შერისხული იქნა. ალ-ʿუმარი გარდაიცვალა 1349 წელს.

ფართო ერუდიცია და მდიდარი ცოდნა ალ-ʿუმარის შესაძლებლობას აძლევდა წარმატებით ემუშავა როგორც ისტორიასა და ისტორიულ გეოგრაფიაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში, შეეთხზა

ლექსები. ალ-'უმარის მიაკუთვნებენ თერთმეტ ნაშრომს[1], რომელთაგან ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ერთი მათგანი, სახელდობრ, „ათთა'რიფ ბი-ლ-მუსტალაჰ აშ-შარიფ" („მაღალი ტერმინოლოგიის განმარტება"). ეს ნაშრომი ეძღვნება ეგვიპტის სულთან ალ-მალიქ ან-ნასირ მუჰამმად იბნ ყალაუნის (1293—1340) ვაჟიშვილს, ალ-მალიქ ალ-ქამილს. ალ-'უმარის ნაშრომი ეხება ტერმინოლოგიის საკითხებს, ანუ ის ტერმინები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ხელოსნობის, ხელობის, ხელოვნების დარგში, ასევე ტერმინები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო დარგში, ასახავს ამ ტერმინების ეტიმოლოგიას, მათ ისტორიულ განვითარებას, ზოგჯერ ეს ტერმინები ილუსტრირებულია ლექსიკური მაგალითებით. ალ-'უმარის ნაშრომი ეხება ასევე ტერმინებს, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციულ სფეროში, ასახავს ამ ტერმინების ეტიმოლოგიას, მათ ისტორიულ განვითარებას, ზოგჯერ ეს ტერმინები ილუსტრირებულია ლექსიკური მაგალითებით. ალ-'უმარის ნაშრომი ეხება ასევე ტერმინებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო დარგში, ასახავს ამ ტერმინების ეტიმოლოგიას, მათ ისტორიულ განვითარებას, ზოგჯერ ეს ტერმინები ილუსტრირებულია ლექსიკური მაგალითებით.

---

[1] ალ-'უმარისა და მისი თხზულების შესახებ იხ. Крачковский И. Ю., Энциклопедии мамлюкского периода, Избранные сочинения, IV, М., 1959, с. 405—416. Brockelmann C., Geschichte der arabischen Literatur, II, Weimar-Berlin, 1898—1902, s. 141, დამატებითი II ტომი გვ. 175—176; D. S. Rice, A Miniature in an Autograph of Shihāb al-Dīn Ibn Faḍlallāh al-'Umarī, „Bulletin of the School of Oriental Studies", vol. XIII, pt. 4, 1949—1951, p. 856—867. საკუთაროდ, სრული სახით არ არის გამოცემული ალ-'უმარის უმნიშვნელოვანესი ენციკლოპედია „მასალიქ ალ-აბსარ ფი მამალიქ ალ-ამსარ" („შეცნობათა გზები მსხვილ ქალაქებსა და სახელმწიფოებზე") ზოგჯერ თხზულება შემოკლებულ სახითაც იწოდება: „ახბარ ალ-მულუქ" („მეფეთა ამბები").

„მასალიქ"-ის პირველი ტომი გამოიცა კაიროში 1342/1924 წელს აჰმად ზაქი ფაშას მიერ. 1968 წელს ვისბადენში გამოქვეყნდა ამ თხზულების ნაწილი, რომელიც ჩინგის ყაენის სახელმწიფოს შეეხება. აქ დაწვრილებით არის მოთხრობილი ორი მონღოლური სახელმწიფოს — ოქროს ურდოსა და ილხანთა ირანის შესახებ. არაბულ ტექსტს ახლავს თარგმანი გერმანულ ენაზე და კომენტარები. იხ. Das Mongolische Weltreich, Al-'Umarī's Darstellung der mongolischen Reiche in seinem Werk Masālik al-abṣār fī Mamālik al-amṣār, mit Paraphrase und Kommentar herausgegeben von Klaus Lech, Otto Harasowitz, Wiesbaden, 1968. სხვადასხვა კუთხით ეს ნაშრომი მრავალ ავტორს აქვს შესწავლილი იხ. Condizioni degli Stati cristiani dell' Occidente secondo una relazione di Domenichino Doria da Genova, Texto arabo con versione italiana e note di M. Amari, Atti della R· Accademia dei Lincei, Classe di Scienze Morai, seria III. XI, 1883, p. 67—103, 306—308. Al-'Umarī's Bericht über Anatolien in seinem Werke Masālik al-absār fī mamālik al-amṣār, zu ersten Male hrsg. von E. Taechner, I, Leipzig, 1929. Ahmed Zeky, Memoire sur les moyens propres a'determiner en Egypte une ranaisanse des letters arabes, Kairo, 1910, p. 10-12. Blachere R., Extraits des principeux par la Faculte des Lettres d'Alger, VII, Paris-Beyrouth, 1932, p. 301—302: Schiaparelli G., Geographia Notizie d'Italia estratte dall' opera di Šihāb ad-dīn al-'Umari, intitolata Masalik al-absâr fi mamâlika al-amsâr, Rendiconti della Reale Accademia dei Lincei, Roma, Classe di Science morali, serie IV, 10, 1888, p. 304—316; Schefer Ch. Notice sur les relations des peuples musulmans avec les Chinois, depuis l'extension de l'Islamisme jusqua la fin du XV-e siecle, Centeraire de Publications de l'Ecole des langues orientales vivantes, Paris, 1895, p. 1, 43.

რევოლუციამდელ რუსულ ორიენტალისტიკაში ალ-'უმარის ნაშრომებით დაინტერესდა ვ. ტიზენჰაუზენი. მან გამოსცა კრებული, რომელშიც მოთავსებულია ტექსტების ფრაგმენტები არაბული წყაროებიდან ოქროს ურდოს ისტორიასთან დაკავშირებით, შესაბამისი თარგმანებითურთ. კრებულში არის ფრაგმენტები ალ-'უმარის თხზულებებიდანაც. იხ. Тизенгаузен В. Г., Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды, т. I, Извлечения из сочинений арабских. СПб., 1884, с. 207—251.

შარტება)[2]. სათაურის მიხედვით ძნელი არ უნდა იყოს იმის გააზრება, თუ რა მიზანს ისახავდა ამ, შედარებით მცირე კომპენდიუმის შედგენა. თხზულება ძირითადად განკუთვნილია კანცელარიის მოხელეთათვის სახელმძღვანელოდ. თხზულება შედგენილია 1340 წლის შემდეგ, როდესაც ავტორს უკვე გააჩნდა საკანცელარიო მუშაობის მდიდარი გამოცდილება. ნაშრომი იყოფა შვიდ თავად: პირველი შეიცავს მუსლიმი და არამუსლიმი გამგებლებისათვის გასაგზავნი ეპისტოლეების ფორმულარებს, მეორე დიპლომებისა და ბრძანებების ნიმუშებს, მესამეში მოცემულია სხვადასხვა სახის ფიცის ნიმუშები, მეოთხეში თავმოყრილია საგარანტიო დოკუმენტებისა და კონტრაქტების ნიმუშები, მეხუთე თავში მამლუქთა სახელმწიფოს (უმთავრესად ეგვიპტისა და სირიის) ადმინისტრაციული დაყოფის აღწერაა, მეექვსეში — ქვეყნის საფოსტო სამსახური და მეშვიდეში კი აღწერილია სხვადასხვა მცირე რეალიები.

ალ'უმარის ნაშრომი გამოირჩევა თხრობის სხარტი ფორმით, არსებითზე ყურადღების კონცენტრირებით რითაც იგი მნიშვნელოვნად განირჩევა შედარებით გვიანი პერიოდის ბევრი ავტორისაგან. ალ-'უმარის ეს თხზულება წარმოადგენს შესანიშნავ წყაროს შესაბამისი პერიოდის მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად. გარდა ამისა, მასში მოიპოვება საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ, რომელიც ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა არ შემოინახა. ალ-'უმარის ცნობებს საფუძვლად უდევს როგორც ოფიციალური დოკუმენტები, ასევე ავტორის უშუალო დაკვირვებები. იგი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო კარგად იყო ინფორმირებული ირანისა და საქართველოს შესახებ[3]. ალ-

---

„მასჰალიქ ალ-აბსარ"-ში დაცული ცნობა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ განხილული აქვს გ ო ჩ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ს: XIV ს. არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1985.

[2] شهاب الدين احمد ابن يحى ابن فضل الله العمرى ، التعريف بالمصطلح الشريف ، القاهرة ١٩١٢

ამ თხზულების შესახებ იხ. К р а ч к о в с к и й И. Ю., Энциклопедии мамлюкского периода, с. 405—416. „ათ-თარიფ"-ის ნაწილობრივი თარგმანი შესრულებული აქვს რ. ჰარტმანს. იხ. Politische Geographie des Mamlūkenreichs, Kapitel 5 und 6 des Staatshandbuchs Ibn Faḍlāllāh al-'Omarī's eingeleitet, übersetzt und mit Anmerkungen versehen von R. Hartmann, ZDMG, 70, 1916, s. 1—40, 477—511, Bd. 71, 1917, s. 429—431.

[3] D. M. L a n g, Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant (1314—1346), Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, 1955, vol. XVIII, part. I, p. 76.

ʿუმარის „თაʿრიფ“-ში მოცემულია საქართველოს ზოგადი გეოგრაფიული მიმოხილვა, დახასიათებულია იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება, რაც, ჩვენი აზრით, ასახავს მამლუქთა ეგვიპტის ოფიციალურ წრეებში არსებულ თვალსაზრისს. განსაკუთრებით საყურადღებოა ალ-ʿუმარის თხზულების ის ნაწილი, სადაც დაცულია საქართველოს მეფეებთან ეგვიპტის სულტნების მიმოწერის ნიმუშები. გარდა ამისა, თხზულებაში ვხვდებით ცნობებს ჰულაგუიანთა ირანის საქართველოსთან დამოკიდებულებისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის განთავისუფლების შესახებ.

ალ-ʿუმარის თხზულება შეავსო და რედაქცია გაუკეთა სირიელმა სწავლულმა თაკ ად-დინ ʿაბდ არ-რაჰმან ალ-ქადავი ალ-მუჰიბბის (ვარდ. 1384), რომელსაც ლაშქრის ნაზირის (ზედამხედველის, ინსპექტორის) თანამდებობაც ეკავა. მისი „თასკიფ ათ-თაʿრიფ ბი-ლ-მუსტალაʾ აშ-შარიფ“ (მაღალი ტერმინოლოგიის განმარტების სრულყოფა“) წარმოადგენს სახელმძღვანელოს ეგვიპტის მამლუქი სულტნების კარზე მოღვაწე სამდივანმწიგნობროს მოხელეთათვის, მათ მიერ საკანცელარიო საქმის წარმოებისა და დიპლომატიური მიმოწერისათვის. მასში, სხვა მასალასთან ერთად, მოცემულია წერილების ნიმუშები, განსაკუთრებით მამლუქი სულტნის ან-ნასირ მუჰამმადის ზეობიდან მოყოლებული. სულტან ალ-აშრაფ ნასირ ად-დინ შაʿბანის მმართველობის ბოლომდე (1292—1377). ისევე როგორც ალ-ʿუმარის თხზულება, ალ-მუჰიბბის თხზულებაც წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს მამლუქთა პერიოდის ეგვიპტის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად[4].

ალ-მუჰიბბის თხზულება დღემდე გამოუქვეყნებელია. ჩვენ ვისარგებლეთ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინს-

---

[4] ალ- მუჰიბბის თხზულების შესახებ იხილეთ: Крачковский И. Ю., Энциклопедии мамлюкского периода, с. 406, 407. B. Dorn, Das Asiatische Museum der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften zu St. Petersburg, SPb., 1846, s. 291., Азиатский музей Российской Академии наук, Краткая памятка, Петроград, 1920, с. 24 (—Der Islam, XVII, 1828, s. 69, 70), C. Brockelmann, Geschichte der Arabischen Litteratur, II, s. 176. ძველი ნუსხების შესახებ იხ. M. Casiri, Bibliotheca Arabico-Hispana Escurialensis, I, Matriti, 1760, p. 160, 161, № 547, A. Nicoll, Catalogi codicum manuscriptorum orientalium, Bibliothecae Bodleianae, Pars secunda., Arabicos complectens, Oxonii, 1835, p, 352—354,№ 363; J. Hammer, Geschichte des osmanischen Reiches, I—X, Pest, 1827—1835, №161; W. Pertsch, Die arabischen Handschriften der Herzoglichen Bibliothek zu Gotha, IV, Gotha, s. 1518 — 1520, № 2825; დამატებითი ცნობებისათვის იხ. G. Wiet, Les Biographies du Manhal Safi, Le Caire, 1932, p. 199, № 1384, p. 369, № 2451; Gaudefroy-Demombines, Da Syrie a l'époque des Mamelouks d'aprés les auteurs arabes, Paris, 1923, p. XII—XIII.

ტიტუტის ხელნაწერით 988 (796), რომელიც გადაწერილია 884/1479 წელს დამასკოში იბრაჰიმ იბნ 'აბდ არ-რაჰმან ატ-ტარაბულუსის მიერ (ნასხით). ნაშრომი შედგება ავტორის წინასიტყვაობისა და შვიდი ნაწილისაგან (ქისმ), რომლებიც იყოფა თავებად (ბაბ) და ქვეთავებად (ფასლ)[5].

ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია საქართველოს სამეფოსთან დაკავშირებით ალ-მუჰიბბის თხზულებაში დაცული ინფორმაცია, მეტადრე მისი ცნობები ეგვიპტის მამლუქი სულტნების მიმოწერის შესახებ საქართველოს მეფე დავითთან და „სუხუმისა და აბხასის“ გამგებელთან.

ალ-'უმარისა და ალ-მუჰიბბის[6] თხზულებათა დიდი ნაწილი, მათ შორის ცნობები საქართველოს შესახებ, მცირე დამატებებით შევიდა მამლუქთა პერიოდის ეგვიპტის ცნობილი ენციკლოპედისტის შიჰაბ ად დინ აბულ-'აბბას აჰმად იბნ'ალი ალ-კალკაშანდის (1355—1418) ნაშრომში „სუბჰ ალ-ა'შა ფი ს'ინა'ათ ალ'ინშა'“ (განთიადი ცუდად მხედველისა ეპისტოლოგრაფიის ხელოვნებაში“)[7].

ალ-'უმარის თხზულების მსგავსად, ალ- კალკაშანდის ენციკლოპედიაც სამდივანმწიგნობროს ქათიბებისათვის შედგენილი სახელმძღვანელოა. ალ-კალკაშანდის ენციკლოპედიაში თავმოყრილია ქათიბების ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო სხვადასხვა ხასიათის ცნობები და მონაცემები, აგრეთვე მასალა ეგვიპტისა და სირიის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის,

---

[5] تقي الدين عبد الرحمن القاضي المحبي ، تثقيف التعريف بالمصطلح الشريف

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. Каталог арабских рукописей Института народов Азии, выпуск 3, Л. И. Михаилова, история, М., 1965, с. 70—73; Тизенгаузен В. Г., Сборник материалов..., I, с. 331.

[6] ალ-მუჰიბბის თხზულებას რუსულ ორიენტალისტიკაში ყურადღება მიაქცია იმავე ვ. ტიზენჰაუზენმა, რომელმაც თხზულებიდან ამოკრიბა ოქრის ურდოს პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებული ცნობები და დაურთო რუსული თარგმანი. იხ. В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов.., I, გვ. 352—357; არაბული ტექსტი, 357—364 რუსული თარგმანი, უფრო ადრეულ პერიოდთან დაკავშირებული ცალკეული ცნობების თარგმანები ალ-მუჰიბბის თხზულებიდან გამოაქვეყნა ქ. კატრმერმა. იხ. Histoire des sultans mamlouks de l'Egypte, ecrite en arabe par Takieddin-Ahmad-Makrizi, trad. en français et accompagnee des notes philologiques, historiques, geographiques par E. Quatremere, II, 2. Paris, 1845, s. 307—316.

[7] شهاب الدين ابو العباس احمد ابن على القلقشندى ، صبح الاعشى فى صناعة الانشاء ، الجزء الاول — الجزء الرابع العشرة ، القاهرة ، ١٩٢٢ — ١٩١٩

რელიგიური ცხოვრებისა და მმართველობის სისტემის შესახებ. ის გამოირჩევა დოკუმენტური მასალის სიუხვით, რომელზედაც ალ-კალკაშანდის, როგორც „დივან-ალ-ინშას“ გამგებელს (1389 წლიდან), ადვილად მიუწვდებოდა ხელი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალ-კალკაშანდის თხზულება დიპლომატიური ურთიერთობების შესასწავლად. დიპლომატიური მიმოწერა ხორციელდებოდა დივან ალ-ინშას საშუალებით. ამ დივანში თავს იყრიდა უცხოეთიდან მიღებული ყოველგვარი სახის ეპისტოლე და ეს დივანი აგზავნიდა პასუხებსა და კორესპონდენციებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მამლუქთა ეგვიპტის სამეფო კარზე მიღებული ტრადიციის თანახმად, დივან ალ-ინშადან სულტნის სახელით გამოცემული ეპისტოლეები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან მიმართვაში გამოყენებული საპატიო ტიტულების ფორმითა და შინაარსით, რაც ადრესატის ვინაობით, მისი მდგომარეობით განისაზღვრებოდა. შესაბამისად მრავლფეროვანი იყო აგრეთვე ეპისტოლეების გაფორმების ტექნიკური მხარე. ისინი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან როგორც ქაღალდის ხარისხით და მისი მოცულობით, ასევე ხელწერის მრავალფეროვნებით. ასეთი დივანის ხელმძღვანელობა კი შეეძლო მხოლოდ ენციკლოპედიურად განათლებულ და ღრმად ერუდირებულ პიროვნებას. ამასთანავე, ცხადია, იგი მმართველი წრეების თვალში სანდო პირიც უნდა ყოფილიყო, რადგან სულტანი თავის შვილებს, უახლოეს ამირებსა და ვაზირებს არ გაანდობდა იმას, რაშიც დივან ალ-ინშას უფროსს გაუტყდებოდა[8].

მეცნიერული თვალსაზრისით ალ-კალკაშანდის თხზულება მრავალმხრივ არის საინტერესო. ამან განაპირობა მის მიმართ ევროპელ ორიენტალისტთა ინტერესი, გასული საუკუნიდან დღემდე[9].

---

[8] გაჰრელ მამლუქთა დროინდელი დივან ალ-ინშას შესახებ იხ., علي ابراهيم حسن ، تاريخ المماليك البحرية ، القاهرة ، ١٩٦٧ ، ص. ٣٠٨-٣٢٩.
Walter Björkman, Beiträge zur Geschichte der Staatskanzlei im islamischen Agypten, Hamburg, 1928; ვ. ბიორკმანის ნაშრომი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მას შესწავლილი აქვს ალ-კალკაშანდის თხზულების წყაროები. არაბი ენციკლოპედისტის წყაროების შესახებ იხილეთ აგრეთვე: R. Vesely, Zu den Quellen al-Qalqašandī's Ṣubḥ al-A'šā, Acta Universitatis Carolinea Pragensis, Philologica 2(1969), p. 13—24.

[9] იხ. Wüstenfeld F., Die Geographie und Verwaltung von Agypten nach dem Arab, des Abu 'l-Abbâs al-Calcaschandi, in Abhandlung d. Kgl. Gesellschaft d. Wiss. zu Göttingen, phil-hist. Cl, XXV (1879). Amari M., Trattato stipolato da Giacomo di Aragona colsultano di Egitto il 29 gennaio 1293, Roma, 1883, De'titoli che usava la cancellaria de' Sultani di Egitto nel

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ალ-ქალქაშანდის სახელის გამოჩენაც ვ. ტიზენჰაუზენთან არის დაკავშირებული[10]. 1886 წელს მკვლევარმა გამოსცა ალ-ქალქაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდისათვის ალ-ქალქაშანდის თხზულების მეცნიერული პუბლიკაცია ჯერ კიდევ არ არსებობდა. ვ. ტიზენჰაუზენმა ალ-ქალქაშანდის საქართველოს შესახებ არსებული ცნობების ტექსტი დაადგინა კემბრიჯისა და კაიროს ხელნაწერების შეჯერების საფუძველზე და დაურთო მას რუსული თარგმანი[11].

ალ-ქალქაშანდის ცნობები, რომლებშიც, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულია ალ-'უმარისა და ალ-მუჰიბბის ინფორმაცია საქართველოს

XIV secolo scrivendo ai reggitori di alcuni Stati italiani, Roma, 1886; Sauvaire H., Extraits de l'ouvrage d'el Qalqachandy, intitule lumie're de L'aurore pour t'écriture des hommes, Memoires de l'Acad. des scienses, belles-lettre et arts de Marseille, 1886; Lammens H., Correspondances diplomatiques entre les Sultans mamlcuks d'Egypte et les pussances chrétiennes. Revue de el'Orient chretien, IX, 1904; Quatremere E., Histoire des sultans mamlouks, II, I, p. 160—162, 187—191, II, 2, p. 289—290, 295—298; D'Hosson, Histoire des Mongols depuis Techinguiz Khan Jusqu'a Timour Bey ou Tamerlan, vol. III, The Hague Amsterdam, 1834—1835, p. 563—570, IV, 288—293; Gaudefroy-Demombines, La Syrie a l'epoque Mamelouken., III, Paris, 1923; Canard M., Une lettre du Sultan Malik Nāṣir Hasan a'Jean VI Cantacuzene (750/1349), Annales de l'Institut d'Etudes Orientales, Paris, III, 1937, p. 27—52; Spies O., An Arab account of India in the 14 th century, Bonn, 1936; Brockelmann C., al-Kalkashandi, Enzyklopaedie des Islam, II, Leiden-Leipzig, 1927, p. 741—750; Bosworth C. E., al-Kalkashandi, The Encyclopaedia of Islam, Naw Edition, IV, Leiden, 1974, p. 509—511.

[10] უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ვრცელი ენციკლოპედიის გარდა ალ-ქალქაშანდის მოპოვება აგრეთვე სხვა ნაწარმოებებიც. ერთი მათგანია «ماثر الأنافة في معالم الخلافة» წიგნი გამოცემულია 3 ტომად კუვეიტში 1964 წ. ამჟამად ფარაჯის მიერ. აქ უმთავრესად მოცემულია ავტორის თანადროული შეთანხმებები, ხელშეკრულებები, ისტორიული ცნობები და სხვ. ალ-ქალქაშანდის ეკუთვნის აგრეთვე «نهاية الارب في معرفة انساب العرب» არსებობს ამ ნაშრომის არაბული გამოცემა პროფესორ იბრაჰიმ ალ-აბიარის მიერ, კაირო, 1959. ასახელებენ აგრეთვე მის შემდეგ ნაშრომს: Daw' al-subḥ al-musfir wa-dianā al-dawḥ al-muthmir, Cairo, 1324/1906.

[11] В. Г. Тизенгаузен, Заметка Элькалкашанди о Грузинах, Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического Общества, т. I, вып. III, СПб., 1886, с. 208—216. მასვე აქვს „სჯბჰ ალ-ა'შდან" ამოკრებილი და თარგმნილი ოქროს ურდოს პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებული ცნობები. იხ. В. Г. Тизенгаузен, Сборник, I, 397—404 არაბული ტექსტი, გვ. 404—416 თარგმანი.

შესახებ, ვ. ტიზენჰაუზენის აღნიშნული პუბლიკაციის წყალობით მკვლევართა ყურადღების სფეროში მოექცა. ის განხილული და შესწავლილია არა ერთი მკვლევრის ნაშრომში[12], რომლებიც სათანადოდ არის გათვალისწინებული წინამდებარე გამოკვლევაში[13].

---

12 ალ-'უმარის, ალ-მუჰიბბისა და ალ-კალკაშანდის ცნობებით ფართოდ ისარგებლა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მკვლევარმა გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა და შესაბამისი პერიოდის საქართველოს როლი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებაში ჩვენთვის საინტერესო არაბი ისტორიკოსების ცნობების გათვალისწინებით წარმოადგინა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 266—170. ივ. ჯავახიშვილი სარგებლობდა ვ. ტიზენჰაუზენის მიერ შესრულებული რუსული თარგმანით, საიდანაც მან ეგვიპტის სულტნების მიერ საქართველოს მეფეებისათვის გამოგზავნილი ეპისტოლეების ნიმუშების ქართული თარგმანი შეასრულა. ალ-კალკაშანდის საქართველოს შესახებ ცნობების არაბული ტექსტი გამოაქვეყნა აკად. გ. წერეთელმა თავის „არაბულ ქრესტომათიაში". იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. ٧٦—٨١. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ქრესტომათიისათვის შედგენილ არაბულ-ქართულ ლექსიკონში მოცემულია ალ-კალკაშანდის ტექსტის ფრაგმენტების სათანადო განმარტებანი. იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951.

ალ-კალკაშანდის ცნობებს საქართველოს შესახებ ყურადღება მიაქცია ინგლისელმა მეცნიერმა დ. მ. ლანგმა 1955 წელს გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც გიორგი ბრწყინვალის მმართველობის პერიოდის საქართველოს შეეხება. იხ. დ. მ. ლანგის დასახ. ნაშრომი, გვ. 74—91. უნდა აღინიშნოს, რომ დ. ლანგმა, სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, პირველმა გაითვალისწინა ალ-'უმარის თხზულების-„ათ-თა'რიფის" კაიროს გამოცემაც.

13 А. А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, «Православный Палестинский сборник», т. IV, вып. I, СПб., 1888; Д. А. Кипшидзе, Житие Прохора, Муч. Луки и муч. Николая Двали, Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе, т. II, Ленинград, 1927. იხ. აგრეთვე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სეინაქსარული რედაქციები (X—XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე ნ რ ი კ ო გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1968; G. Peradze, An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as Revealed in the Writings of Non-Georgian piligrims, Georgica, (A Journal of Georgian and Caucasian studies) № 4 and 5, London, 1937, ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს.), კრებულში — XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1963; ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1963; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ., 1968; ბ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართული საელჩო მშვიდობიანობა, თბ., 1960; ა. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ეგვიპტის ისტორიის ურთიერთობიდან, „დროშა", 1958, № 9; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი ეპოქისტუდიანი, თბ., 1966; ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებ-

ლობისათვის XII—XIV საუკუნეებში თბ., 1980; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი 1980; დ. გოჩოლეიშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, 184, თბ., 1977. ალ-კალკაშანდის საქართველოს შესახებ ცნობების ქართული თარგმანი სათანადო არაბული ტექსტის გარეშე, გამოქვეყნებული აქვს მ. მეტრეველს: ალ-კალკაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ, კრ. „არმაღანი", თბ., 1977, გვ. 453—460; ი. დავიდი, ქართული პალესტინიანა, „ნაწერები", I, თელ-ავივი, იერუსალიმი, 1976.

ალ-'უმარის, ალ-მუჰიბბის და ალ-კალკაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ

(გამოკვლევა)

ალ-'უმარის, და მისგან გამომდინარე ალ-კალკაშანდის ინფორმაციებში შეიძლება გამოვყოთ ორი ნაწილი: პირველში მოცემულია საქართველოს ზოგადი გეოგრაფიული და პოლიტიკური დახასიათება, რომელიც, ჩვენი აზრით, ასახავს მამლუქთა ეგვიპტის ოფიციალურ წრეებში არსებულ თვალსაზრისს, მეორეში კი დაცულია საქართველოს მეფეებთან ეგვიპტის სულტნების მიმოწერის ნიმუშები.

ალ-'უმარის ცნობა, რომ ილხანებს საქართველოში მხოლოდ ერთი დუმანი (10 000) ლაშქარი ჰყავდათ, XIV ს. 20-იანი წლების მიწურულს ეხება, რადგან მას უშუალოდ მოსდევს თხრობა ილხანთა ირანის გამგებლის აბუ საიდის (1317—1335) ვაზირის, ჩობანის ვაჟის შეიხ მაჰმუდის შესახებ, რომელიც საქართველოში მყოფი მონღოლთა სამხედრო ძალის მეთაური[1] იყო. ალ-'უმარის თანახმად, იგი დაიღუპა მას შემდეგ, რაც მამამისს შეემთხვა „უბედურება" და იგი გაიქცა ოქროს ურდოს გამგებელთან, უზბეკთან (1312—1341).

ილხანთა ირანის გამგებლის მუჰამედ ხოდაბანდეს (1304—1316) ვაჟი აბუ საიდი მამის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე რომ ავიდა, მხოლოდ თოთხმეტი წლისა იყო. ცხადია, მას სახელმწიფოს მართვა არ შეეძლო, ამიტომ მეურვედ მიუჩინეს ილხანთა სახელმწიფოს მთავარი ამირა ჩობანი. ამირა ჩობანმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ქვეყნის ცალკეული ოლქების გამგებლებად და სამოქალაქო თანამდებობებზეც თავისი ვაჟები და სხვა ნათესავები დანიშნა. მონღოლი მომთაბარე ფეოდალები ვერ ეგუებოდნენ ჩობანის ასეთ აღზევებას და ყოველნაირად ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მისთვის უკვე მოწიფული აბუ საიდის თვალში. ეს ქიშპობა ბოლოს გადაიზარდა სისხლისმღვრელ ბრძოლაში ალ-'უმარის მიერ აღნიშნულ „უბედურებაში" იგულისხმება აბუ საიდის მიერ ჩობანის სიკვდილით დასჯა 1327 წელს თავის ორ ვაჟთან ერთად. მამის ტრაგიკულმა სიკვდილმა საფრთხე შეუქმნა დანარჩენ ცხრა ვაჟიშვილს, რომლებიც შეეცადნენ გაქცეულიყვნენ

[1] D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 77, 82; შდრ. В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 211.

უხსნათ თავი. ერთი მათგანი-თიმურთაში, ეგვიპტეში გაიქცა და იქ დაიღუპა[2]. ასეთივე ბედი ეწიათ ჰასანსა და ტალიშს, რომლებიც ხორეზმის გავლით მივიდნენ უზბეკ ყაენთან[3]. ჩვენი წყაროს მიხედვით, ასეთივე ბედი გაიზიარა უზბეკ ყაენთან გაქცეულმა მაჰმუდმაც. როგორც ვხედავთ, ალ-'უმარის ცნობები ჩობანის შთამომავლების, ანუ ჩობანიანთა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის საინტერესო მასალას შეიცავს.

საყურადღებოა ალ-'უმარისა და ალ-ყალყაშანდის ცნობა ქართველთა ლაშქრის შესახებ. ქართველები, მათი თქმით, „გულადი და ძამაცი ხალხია, ისინი ჰულაგუიანთა ლაშქრის ძალას და სიმდიდრეს წარმოადგენენ" ჰულაგუიანები კი „ენდობიან მათ და ეყრდნობიან" (იხ. თარგმანები). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 1256 წლამდე, სანამ ჰულაგუ ილხანთა ირანის ყაენი გახდებოდა, საქართველო პოლიტიკურად ოქროს ურდოსთან იყო დაკავშირებული, შემდეგ კი ილხანთა ირანის სიუზერენიტეტს დაექვემდებარა. მონღოლებს არ გაუუქმებიათ ადგილობრივი მმართველობის სისტემა. საქართველოს ისევ ქართველი მეფეები განაგებდნენ, მაგრამ ისინი ვალდებული იყვნენ გამოეყვანათ თავიანთი სამხედრო ძალები მონღოლთა სასარგებლოდ.

ყამთააღმწერლის თანახმად, მონღოლებმა საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა დაპყრობილ ქვეყნებში, ჩაატარეს აღწერა „კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენაკამდე, წალკოტით ბოსტნამდე"[4]. ასეთი საყოველთაო, დაწვრილებითი აღწერის შედეგად მათ ლაშქრად წარმავალ ქართველ მეომართა რიცხვი დაადგინეს. „ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მჭონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოჴდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მჴედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი"[5]. აღნიშნული ცნობის საფუძველზე ქართველ მოლაშქრეთა რიცხვი ივ. ჯავახიშვილის დაანგარიშებით 90000 მხედარს შეადგენდა[6].

---

[2] В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. II, извлечения из сочинения перс. М.—Л., 1941, с. 92, 100, 143. Hafiz-i-Abrū, Chronique des Mongols en Iran, texte persan, edite et traduet par K. Bayani, II, Paris, 1936, s. 107.

[3] В. Г. Тизенгаузен, Сборник..., II, с. 101; В. З. Пиралов, Место Чобанидов в политической истории Азербайджана, Известия АН АЗССР, серия истории, философии и права, Баку, 1972, № 1, с. 52—58.

[4] ყამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1966, გვ. 235.

[5] იქვე.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი მესამე, XIII—XIV სს., თბ., 1941, გვ. 55—56.

მონღოლთა მიერ დაკისრებული სამხედრო ბეგარის საფუძველზე ქართველთა ლაშქარი იძულებული იყო მიეღო მონაწილეობა მონღოლთა საომარ მოქმედებებში, „რომელიც ასე აუტანელი და უცხო იყო ფეოდალური საზოგადოებისათვის. ეს ლაშქრობები განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო ქართული ფეოდალური ლაშქრის მიწათმოქმედი ნაწილისათვის"[7].

ვიდრე მონღოლები ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ მიმართავდნენ ბრძოლებს, ქართველები მონაწილეობდნენ ირანის ისმაილიტების წინააღმდეგ ბრძოლებსა და ბაღდადის აღებაში 1258 წ. ჟამთააღმწერლის თანახმად, ბაღდადის აღებაში აქტიურად მონაწილეობდა დავით მეფე, რომლის „წინაშე იყვნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი"[8]. მას საკმაოდ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ბაღდადისათვის ბრძოლა და ქართველთა აქტიური მონაწილეობა ნასში. ქართული წყაროების გარდა ქართველების მონაწილეობას ბაღდადის აღებაში აღნიშნავენ სომხური, არაბული, სირიული წყაროები. მათ ეთანხმება აგრეთვე ევროპელი ავტორის ვილჰელმ ადამის (1316/17 წწ.) მითითება, რომლის თანახმადაც „მხოლოდ ქართველების საშუალებით შეძლო სპარსეთის იმპერატორმა (ილხანმა) ბაღდადის მაჰმადიანებზე გამარჯვება. ქართველები წინა რიგებში იბრძოდნენ"[9].

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველთა სამხედრო ძალები მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობაში იბრძვიან ეგვიპტის სულტნების წინააღმდეგაც.

სპარსული და არაბული წყაროებისაგან განსხვავებით, რომლებიც ილხანთა, ანდა ეგვიპტის მამლუქთა პოზიციებიდან გამოდიან, XIV ს. ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერელი ამ ლაშქრობებში აქცენტს ქართველთა მონაწილეობაზე აკეთებს, ხშირად ასახელებს მათ მონღოლთა ლაშქრის ავანგარდში და ამით ხაზს უსვამს ქართველების წვლილს საომარ წარმატებებში.

გრიგოლ აკანელიც აღნიშნავს, რომ სომეხთა და ქართველთა ჯარი ჰულაგუს „ძლიერ უყვარდა მათი დიდი სიმამაცისათვის, რასაც ისინი იჩენდნენ მის წინაშე ყოველ ბრძოლაში"[10].

---

[7] Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.), Тбилиси, 1938, с. 8.

[8] ჟამთააღმწერელი, გვ. 232.

[9] იხ. გ. ჯაფარიძე, საქართველო XII—XIV სს. ევროპელთა თვალით, ლიტერატურული საქართველო, № 32 (2031), 6.VIII.1976.

[10] გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961, გვ. 45.

ილხანთა პირველი ლაშქრობა მესოპოტამიასა და სირია-პალესტინაში 1259 წ. შემოდგომაზე დაიწყო. ჩრდ. მესოპოტამიასა და სირიას ამ დროს აიუბიანთა უკანასკნელი ნაშიერები განაგებდნენ, რომელთაც არავითარი რეალური ძალა არ გააჩნდათ მონღოლთა ლაშქრისათვის დასაპირისპირებლად.

აღნიშნულ ლაშქრობაში მონაწილეობდა საქართველოს მხედრობა დავით ულუს მეთაურობით[11]. მასში ქართველების მონაწილეობის შესახებ ცნობები მოიპოვება როგორც ქართულ (ჟამთააღმწერელი), ასევე სომხურ (გრიგოლ აკანელი, კირაკოს განძაკელი), სპარსულ (რაშიდ ად-დინი) და არაბულ (იბნ თაღრი ბარდი) წყაროებში. 1260 წ. 3 სექტემბერს ეგვიპტის ლაშქარმა სულტან კუტუზის მხედართმთავრის — ბაიბარსის მეთაურობით აინ-ჯალუთთან სასტიკად დაამარცხა მონღოლები. ამით დამთავრდა სირიისათვის მონღოლებსა და მამლუქებს შორის ბრძოლის პირველი ფაზა. ილხანებმა პირველად განიცადეს მარცხი გადამწყვეტ ბრძოლაში. აინ-ჯალუთთან გამარჯვებამ საყოველთაო პრესტიჟი მოუპოვა მამლუქებს და ააშორა მონღოლთა მუქარა ეგვიპტეს.

საქართველოს ლაშქარი შემდგომში აბაღა ყაენის (1265—1282) ზეობის დროს აღმოჩნდა ჩათრეული ეგვიპტესთან კონფლიქტში. ერთ შემთხვევაში მონღოლებსა და მამლუქებს შორის ბრძოლის მიზეზი იყო 1277 წელს სულტან ბაიბარსის ექსპანსია რუმის სასულტნოს წინააღმდეგ.

არაბი ავტორები (მუფადდალ იბნ აბი ლ-ფადაილი, ალ-ჲუნინი, აბუ ლ-ფიდა, იბნ ად-დავადარი, იბნ თაღრი ბარდი, იბნ ალ-იბრი, ალ-მაკრიზი) დაწვრილებით მოგვითხრობენ ამ ლაშქრობისა და ვადამწყვეტი ბრძოლის შესახებ და აღნიშნავენ მასში ქართველთა მონაწილეობას. დაწვრილებით მოგვითხრობს მასზე აგრეთვე ჟამთააღმწერელი. მონღოლებმა დამარცხება განიცადეს.

აბაღას სურვილს — დაუყოვნებლივ დაეწყო საპასუხო ლაშქრობა სირიაზე — ხელი შეუშალა საშინაო ვითარებამ. ამ გეგმის განხორციელება XIII საუკუნის 80-იანი წლების დაწყებამდე გადაიდო, როცა ბაჰრელ მამლუქთა სახელმწიფოს საიფ ქალაუუნი (1279—1290) ჩაუდგა სათავეში.

1281 წ. აბაღა ყაენმა თავის ძმას მანგუ დემურს მიანდო სირიაზე გალაშქრება. მანგუ დემურის მოწოდების თანახმად, ამ ომში დემეტრე

---

11 მონღოლებთან ერთად ქართველთა ლაშქრის მონაწილეობას სირია-ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართულ ომებში ეხება ჩვენი წერილი: საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა შეკვრა XIII—XIV საუკუნეებში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, 1978, გვ. 100—111. ამდენად, აქ ამ საკითხს დაწვრილებით აღარ განვიხილავთ, აღვნიშნავთ მხოლოდ მის მთავარ მომენტებს.

II-სთან ერთად მონაწილეობდა აგრეთვე სამცხის მთავარი ბექა. სწორედ ბექას და მის ლაშქარს განსაკუთრებით გამოუჩენია თავი პირველ ბრძოლაში, რომელიც, ჟამთააღმწერლის თანახმად, ქ. დარბუზაკთან (არაბ. დარბუსაქ. ქალაქი ანტიოქიის ჩრდილო-დასავლეთით) მომხდარა[12]. ამ პირველ ბრძოლაში მონღოლთა გაერთიანებულმა ლაშქარმა გაიმარჯვა. მონღოლებთან ერთად იბრძოდა ხუთი ათასი ქართველი (იბნ ალ-იბრი), იყვნენ აგრეთვე რუმელები და სომხები, კილიკიის მეფის ლეონ III (1270—1289) მეთაურობით. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1281 წლის 30 ოქტომბერს ჰომსის დიდ ხეობაში. მეფე დიმიტრი II თავისი ლაშქრით, პირადი სურვილის თანახმად, წინამძღოლად იყო დანიშნული. მონღოლთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. ღემეტრე II ძლივს გაღაურჩა სიკვდილს. იმ ორასი კაციდან, რომელიც მას მეწინავე რაზმად ჰყავდა გამოყოფილი, მხოლოდ სამი კაცი გადარჩა[13]. ქართველებისა და სომხების შენაერთებს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ ძირითადი ძალის — მონღოლების სუსტი მოქმედების გამო მოწინააღმდეგემ გაიმარჯვა და როგორც მონღოლებმა, ასევე ქართველებმა და სომხებმა დიდი ზარალი განიცადეს[14].

სირია-ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართული მონღოლთა საომარი ოპერაციები მხოლოდ ყაზან-ყაენის (1295—1304) დროს განახლდა. ამ პერიოდში ლაშქრობებისათვის შეიქმნა გარკვეული ხელსაყრელი პირობები, რაც გამოწვეული იყო მამლუქი სულტნების ბრძოლებით ტახტისათვის.

აღებულ პერიოდში (1299—1313 წწ.) მონღოლებმა სამჯერ გაილაშქრეს მამლუქთა ეგვიპტის წინააღმდეგ, სამივე ლაშქრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ვახტანგ III (1298—1308) და სამცხის ათაბაგი ბექა. ილხანთა მოკავშირე იყო აგრეთვე კილიკიის მეფე ჰეთუმ II.

ამ ლაშქრობებში ქართველთა მონაწილეობის შესახებ ცნობები მოიპოვება. ქართულ (ჟამთააღმწერელი), არაბულ (მუფადდალ იბნ აბი ლ-ფადაილი, ალ ჯუნინი, აბუ ლ-ფიდა, იბნ ად-დავადარი, იბნ თაღრი ბარდი, ალ-მაკრიზი), სომხურ (ნერსეს პალიენცი), ევროპულ (ჟ. სენტ-ვიქტორი, ოქტავ ეპიფანელი) და სხვა წყაროებში.

ისევე როგორც ადრე, არც ამ ლაშქრობებს მოჰყოლია მონღოლებისათვის პოზიტიური შედეგები. ამრიგად, ვერც ყაზან ყაენმა, ილხანთა ერთ-ერთმა ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელმა, ვერ შე-

---

12 ჟამთააღმწერელი, გვ. 279.

13 იქვე. გვ. 280.

14 Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках, М., 1969, с. 163.

ძლო სირიის დაპყრობა და მამლუქთა დათრგუნვა. მის ბრძოლებს მამლუქებთან არა ერთი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

რამდენიმე წლის შემდეგ მონღოლები კვლავ შეეცადნენ განეხორციელებინათ მათი დიდი ხნის ოცნება — სირია-ეგვიპტის დაპყრობა. 1312 წ. დეკემბერში მონღოლთა ლაშქარმა გადალახა ევფრატი კირკასიასთან და ალყა შემოარტყა სირიის ქ. რაჰბას.

ქართველ ჟამთააღმწერელს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ფიქსირებული აქვს მონღოლთა ყველა ის ლაშქრობა სირია-ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველები. მას არც აღნიშნული ლაშქრობა გამორჩენია, იგი მოხსენიებულია მის თხზულებაში[15]. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ სხვა ლაშქრობებში მონღოლებთან ერთად ქართველთა ლაშქრის მონაწილეობას აღნიშნავს ბევრი არაბული და სხვა წყარო, ამ შემთხვევაში არაბი ავტორი იბნ ად-დავადარი ჩვენთვის ცნობილ უცხოელ ავტორთაგან ერთადერთია, რომელიც მიუთითებს ქართველების მონაწილეობას 1312/13 წლის ლაშქრობაში. მისი ცნობა ორიგინალურია, რადგან ის ასახელებს ქართველთა ლაშქრის მხედართმთავარს და დიდ ამირებს[16].

არც აღნიშნულ ლაშქრობას მოუტანია მონღოლებისათვის წარმატება. ხანგრძლივმა ალყამ უშედეგოდ ჩაიარა და ისინი იძულებული იყვნენ დაბრუნებულიყვნენ უკან ცხელი ამინდებისა და სურსათის სიმცირის გამო. ეს მოხდა 1313 წლის 25 იანვარს[17].

ამ ლაშქრობით საბოლოოდ დამთავრდა ილხანებსა და ეგვიპტის მამლუქებს შორის თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლები და ბოლო მოეღო იმ მეტად მძიმე მოვალეობის შესრულებას, როგორიც ქართველთა ლაშქრის მონაწილეობა იყო შორეულ ომებში.

ილხანთა ირანის ლაშქრის შემადგენლობაში ქართველების მონაწილეობის შესახებ აზრი აქვს გამოთქმული ბ. სილაგაძეს. იგი წერს: „როცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ლაშქრობებზე და მათში ქართველი ჯარის მონაწილეობაზე მსჯელობენ, ჩვეულებრივ მიუთითებენ,

---

[15] ჟამთააღმწერელი, გვ. 323—324.

[16] Die Chronik des Ibn ad Dawādārī, Neunter Teil. Der Bericht über den Sultan al-Malik an-Nasir Muhammad Ibn Qalaun, hrsgb. von H. R. Roemer, Kairo, 1960, s. 255.

იბნ ად-დავადარის აღნიშნული ცნობის შესახებ იხ. დ. გოჩოლეიშვილი, იბნ ად-დავადარი 1312/13 წლის ქართველთა ერთი ლაშქრობის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსაყლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 106—112.

[17] علي ابراهيم حسن ، تاريخ المماليك البحرية ، الطبعة الثالثة ، القاهرة ، ١٩٦٧ ، ص. ١٦٢ .

რომ ქართველების ბრძოლა ეგვიპტის სულტნების წინააღმდეგ ხდებოდა „მონღოლთა მძლავრობით“. ეს ძირითადად მართალია... მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ეგვიპტის გამგებლებთან მათი ბრძოლა საკუთარი ინტერესებიდანაც გამომდინარეობდა. საქმე ისაა, რომ ქართველები ცდილობდნენ მამლუქი სულთნების მიერ მიტაცებული პალესტინის წმინდა ადგილების, კერძოდ კი ჯვრის მონასტრის დაბრუნებას და იქ თავიანთი კანონიერი უფლებების აღდგენას, მაგრამ ამისათვის საკუთარი ძალა არ ჰყოფნიდათ. ამიტომაც ისინი გამოდიოდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ მებრძოლ ირანელ მონღოლებთან ერთად სალაშქროდ და ამით, თუ ერთი მხრივ ილხანის ბრძანებას ასრულებდნენ, მეორეს მხრივ, თავის საქმესაც იკეთებდნენ“[18].

ასეთი მოსაზრება ანგარიშგასაწევია. მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველთა ლაშქრის მონაწილეობა მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობაში განპირობებული იყო მხოლოდ იმ სალაშქრო მოვალეობით, რომელიც მონღოლებმა საქართველოს, ისევე როგორც მათ მიერ დაპყრობილ სხვა ქვეყნებს დააკისრეს. გ. მიქაელიანი ხაზგასმით მიუთითებს: „ქართველი და სომეხი მთავრები, როგორც მონღოლი ყაენების ვასალები, იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ჰულაგუ ყაენის დაპყრობით ლაშქრობებში“[19].

ქართველთა ლაშქარი ისევე მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობებში, როგორც რუმის სასულტნოს და კილიკიის სომხეთის ლაშქარი, მარწყნელები და სხვა. ამასთანავე, ქართველებს უხდებოდათ მონღოლებთან ერთად ბრძოლა არა მარტო სირია-ეგვიპტის წინააღმდეგ. არამედ აგრეთვე ილხანების პირადი მტრების, ოქროს ურდოს წინააღმდეგაც. იბრძოდნენ ისინი აგრეთვე მცირე აზიაში, გილანში და სხვა. როგორც ცნობილია, რიგ შემთხვევაში ქართველი მეფეების განდგომას და ურჩობასაც ჰქონდა ადგილი.

რაც შეეხება „პალესტინის წმინდა ადგილების, კერძოდ კი ჯვრის მონასტრის დაბრუნებას და იქ თავიანთი კანონიერი უფლებების აღდგენას“. ამისათვის ქართველი მეფეები წარმატებით იყენებდნენ დიპლომატიურ საშუალებებს და ამ საკითხის დადებითად გადაჭრა ქართული დიპლომატიის წარმატებას უნდა მივაწეროთ.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ აღებული პერიოდის ფეოდალური საქართველოს მესვეურებს საკუთარი, პირადი მიზნებიც ამოძრავებდათ. მაგალითად, ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ, როგორც

---

18 გ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

19 Г. Г. Микаелян, История Киликийского Армянского государства, Ереван, 1952, с. 318.

გვაუწყებს ქამთააღმწერელი, სარგის ჯაყელს მონღოლებისაგან მიუღია აწყური (აწყუერი)[20].

როგორც ვნახეთ, ქართველთა ლაშქარი არც თუ ისე იშვიათად და საკმაოდ თავგამოდებითაც იბრძოდა მონღოლებთან ერთად მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ლაშქრობებთან დაკავშირებით მთავარი სიმძიმე, როგორც ეს მითითებული იყო, განსაკუთრებით მძიმე უღლად ფეოდალური ლაშქრის მიწათმოქმედ ნაწილს აწვა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას აფერხებდა. მონღოლების მიერ დაკისრებული ამ სამხედრო მოვალეობისაგან ქართველთა ლაშქრის განთავისუფლებას შესაბამისი დადებითი შედეგები უნდა გამოეღო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველთა მუდმივმა მონაწილეობამ ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ ბრძოლებში XIII ს. II ნახევარსა და XIV ს. დასაწყისში გამოიწვია საქართველოსა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობის გამწვავება. ამის ერთ-ერთი გამოძახილი უნდა იყოს ალ-'უმარის და ალ-კალკაშანდის მითითებები ქართველებისათვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წართმევის შესახებ. არაბი ავტორები არ მიუთითებენ, თუ როდის მოხდა ეს, ამიტომ სხვა წყაროთა მონაცემები უნდა მოვიშველიოთ. ალ. ცაგარელმა, პირველმა ქართველ მკვლევართა შორის, მიაქცია ყურადღება იმას, რომ „მუსლიმანი ავტორების თანახმად XIII ს-ის დასასრულს ზოგის მიხედვით სულტან ბეიბარსის (1260—1277) ზეობის დროს, მეორეთა მიხედვით კი კალაკუნის შვილის ნასირ მუჰამმადის დროს (1277—1279) წაართვეს ქართველებს ჯვრის მონასტერი იერუსალიმის ახლოს და მოაწყვეს იქ მეჩეთი მუეზინითურთ[21].

უფრო საფუძვლიანად განიხილა ეს საკითხი დ. ყიფშიძემ. მკვლევარმა უარყო არაბი ავტორის მუჯირ ად-დინის ცნობა, რომლის თანახმადაც ჯვრის მონასტერი ქართველებს ჩამოართვეს ალ-მალიქ ან-ნასირ მუჰამმად იბნ კალავუნის დროს. 1927 წელს მან გამოაქვეყნა XIII ს-ის ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლი „წმინდა ლუკა იერუსალიმელის წამება“, რომელშიც აღწერილია სულტან ფუნდუხტის ზეობის წლებში შეიხ ჯიდარის მიერ ჯვრის მონასტრის წინამძღვრის ლუკა მუხაძისის მოკვდინებისა და მონასტრის დარბევის ამბავი[22].

სულტან ფუნდუხტის ვინაობა დაადგინა დ. ყიფშიძემ. ეს არის სულტანი ბაიბარს ალ-ბუნდუკდარი. დ. ყიფშიძემ, ამასთანავე, არაბი

---

20 ქამთააღმწერელი, გვ. 271.

21 А. А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

22 Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

ისტორიკოსის იბნ ქასირის ცნობაზე დაყრდნობით, მიუთითა, რომ შეიხი ჯიდარი იყო ბაიბარსის თანამედროვე[23].

ქართული წყაროს საფუძველზე, დ. ყიფშიძემ ჯვრის მონასტრის დარბევის თარიღი ბაიბარსის ზეობის წლებით (1260—1277) შემოფარგლა.

ეს თარიღი კიდევ უფრო დააკონკრეტა ელ. მეტრეველმა. მან ყურადღება მიაქცია ჯვრის მონასტრის „დატყვევების“ დროინდელ ერთ ალაპს, რომელიც გაჩენილია მეფეთა მეფე ვახტანგისა და მისი მეუღლე რიფსიმესათვის. ალაპში ნათქვამია: „მას ჟამსა ოდეს ჯუარის მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაეღო, მაშინ რვაჲ თავი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სვიმონ მოვახმარეთ მონასტერსა“[24]

ელ. მეტრეველს გარკვეული აქვს, რომ ალაპში მოხსენიებული მეფე ვახტანგი არის ვახტანგ III (1298—1308), რომელმაც მონაწილეობა მიიღო მონღოლების მიერ ეგვიპტის წინააღმდეგ 1299 წ. ნოემბერში მოწყობილ ლაშქრობაში. ამ ლაშქრობის დროს მონღოლ-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა შეძლო ჰიმსისა და იერუსალიმის აღება. მკვლევრის აზრით, ვახტანგ მეფემ სწორედ იერუსალიმში ყოფნის დროს გაიღო ჯვრის მონასტრისათვის „რვაჲ თავი ლაჰრი და ათასი თეთრი“. ვინაიდან ეს მოხდა მაშინ „ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაღოთ“, ელ. მეტრეველი ჯვრის მონასტრის ჩამორთმევის თარიღად (1299—26) 1273 წ. მიიჩნევს[25], რასაც იმეორებს თ. პაპუაშვილი[26]. სრულიად განსხვავებული თარიღი — 1279 წელი აქვს აღნიშნული შეიხ ხიდრის მიერ ჯვრის მონასტრის „მიმძლავრების“ თარიღად ს. კაკაბაძეს[27].

ამავე ალაპის საფუძველზე ახდენს მონასტრის ჩამორთმევის თარიღის დადგენა-დაკონკრეტებას პ. ინგოროყვაც. მაგრამ, მისი აზრით, ვახტანგ III იერუსალიმში მხოლოდ 1300 წელს უნდა შესულიყო. აქედან გამომდინარე, ჯვრის მონასტრის წართმევის თარიღად იგი (1300—26) 1274 წ. ასახელებს[28].

---

23 იქვე, გვ. 46.

24 ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 164, ალაპი 206 (M—203), ტაბულა XVIII.

25 იქვე, გვ. 42. ამ თარიღს იზიარებენ სხვა მკვლევრებიც. იხ. ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 167. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 115.

26 თ. პაპუაშვილი, ქართული კულტურა XIII—XIV სს., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI—XV საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 826.

27 სარგის კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 73—74.

28 პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, თბ., 1963, გვ. 750.

ეს საკითხი შეიძლება განვიხილოთ არაბული წყაროების მონაცემების შუქზეც.

ჯვრის მონასტრის დარბევა-ჩამორთმევის ფაქტი XIV—XV სს. ბევრ არაბ ისტორიკოსს აქვს აღნიშნული. ესენია: ალ-ჲუნინი[29], მუფადდალ იბნ აბილ-ფადაილი[30] იბნ ად-დავადარი[31], იბნ ქასირი[32], ალ-მაკრიზი[33], მუჯირ ად-დინი[34]. ამ უკანასკნელის გარდა, დასახელებული ავტორები ჯვრის მონასტრის განადგურებას ბაიბარს ალ-ბუნდუყდარის ზეობის წლებში ათავსებენ, ე. ი. არა უადრეს 1260 და არა უგვიანეს 1277 წლისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამასვე ეთანხმება ქართული წყაროც „წმ. ლუკას წამება". რაც შეეხება ალ-'უმარის და ალ-ქალყაშანდის, ისინი ყურადღებას ამახვილებენ ქართველების მიერ ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხზე და არ მიუთითებენ მისი წართმევის კონკრეტულ თარიღს. ისინი აღნიშნავენ მხოლოდ, რომ „ადრე ეს მონასტერი ჰქონდათ ქართველებს... და გადააკეთეს მეჩეთად[35]...

არაბმა ისტორიკოსებმა კარგად იციან ჯვრის მონასტრის როლი და მნიშვნელობა. მაგალითად, ალ-ჲუნინის და აბი-ლ-ფადაილის თანახმად, ის არის „ქრისტიანთა სახელოვანი და დიდებული ეკლესია"[36].

არაბული წყაროები იცნობენ შეიხ ხიდრასაც. მისი სრული სახელია ხიდრ იბნ აბუ ბაქრ იბნ მუსა ალ-მიჰრანი ალ-'ადუვი, რომელიც ბაიბარსის თანამედროვე და მეტად გავლენიანი პიროვნება იყო[37]. მუფადდალ იბნ აბილ-ფადაილის თანახმად, შეიხი ხიდრი აზ-ზაჰირის მთელს სამფლობელოში ისე იქცეოდა, როგორც მას მოესურვებოდა და ინებებდა, რადგან იგი იყო პიროვნება, რომელიც ბატონობდა

---

[29] قطب الدين موسى بن محمد اليونيني ، ذيل مرآة الزمان ، المجلد الثالث ، حيدرباد ، ١٩٦٠ ، ص. ٢١٨

[30] Moufazzal Ibn Abil-Fazail, Histoire des Sultans Mamlouks, texte Arabe, publie et traduit en Français par E. Blochet, Patrologia Orientalis, t. XIV, Paris, 1920. s. 459.

[31] Die Chronik des Ibn ad-Dawādāri, Achtar Teil, Der Bericht über die Früken Mamluken, hrsg. von Ulrich Haarman, Kairo, 1971, s. 222.

[32] В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 213, Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[33] ალ-მაკრიზი, ტ. I, ნაწ. II, გვ. 657.

[34] ابو اليمن القاضى مجير الدين الحنبلى ، الانس الجليل بتاريخ القدس و الخليل الجزء الثانى ، القاهرة ، ١٨٦٥ ، ص. ٤٠٢

[35] ალ-'უმარი. გვ. 54. ალ-ქალყაშანდი, VIII, გვ. 28.

[36] ალ-ჲუნინი, III, გვ. 6. მუფადდალ იბნ აბილ-ფადაილი, XIV, გვ. 459.

[37] Al-Kutubi, Muhammad b. Shakir, Fawat al-Wafayat, Cairo 1951, p. 299.

სხვებზე[38]. ალ-ჲუნინი კი შენიშნავს, რომ ის „აკეთებდა იმას, რასაც მოისურვებდა და არავის შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მისთვის“[39]. არაბული წყაროებით მას თითქოს და წინასწარგანჭვრეტის უნარი გააჩნდა“[40]. სხვათა შორის, ქართული წყაროც მიუთითებს, რომ „გრძნეულებითა მისისათჳს ფრიადი კადნიერება ჰქონდა სურტანსა წინაშე ფუნდუხტს“[41].

არაბული წყაროების თანახმად, შეიხი ხიდრი არა მარტო თანამედროვეა ბაიბარსის, არამედ იგი სწორედ ის პიროვნებაა, რომელმაც დაანგრია ქრისტიანთა კუთვნილი იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, გადააკეთა იგი მეჩეთად და თვითონ თავისი ხელით მოკლა მისი წინამძღვარი (ﺭﺋﻴﺲ)[42]. ეს წინამძღვარი, როგორც ქართული წყარო მიგვითითებს, არის ლუკა მუხაისძე[43]. ირკვევა, რომ ჯვრის მონასტრის დარბევის შემდეგ ლუკა მუხაისძე სულტან ბაიბარსის წინაშე „საურვაღ წარსრულ იყო მონასტრისა“ და უკან მობრუნებული მოუკლავს შეიხ ხიდრის ბრძანებით მის მონას[44].

როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯვრის მონასტრის „დატყვევების“ თარიღის (1273 თუ 1274 წწ.) დადგენისას ჩვეულებრივ გამოდიან იქიდან, რომ ვახტანგ III-ის იერუსალიმში ყოფნის დროს (1299 თუ 1300 წწ.) ჯვრის მონასტერი უკვე 26 წელი იყო ტყვეობაში. ჯვრის მონასტრის დარბევის თარიღი არაბულ წყაროებში, სამწუხაროდ, მოცემული არ არის, მაგრამ ქართული და არაბული წყაროების შეჯერება საშუალებას იძლევა ეს თარიღი რამდენადმე წინ გადაიწიოს.

საქმე ის არის, რომ ჰიჯრის 671 წ. შაევალის თვეში (1273 წ. აპრილში), სულტანმა ბაიბარსმა დააპატიმრა შეიხი ხიდრი და ის საპყრო-

---

38 მუფადდალ იბნ აბილ ფადაილი, XIV, გვ. 459.

39 ალ-ჲუნინი, III, გვ. 6.

40 ალ-ქუთუბი, გვ. 229.

41 Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ 61.

42 ხიდრი საერთოდ რელიგიური ფანატიზმით გამოირჩეოდა. მას ჯვრის მონასტრის გარდა დაუნგრევია დამასკოში ებრაელთა სინაგოგა, ხოლო ალექსანდრიაში — ბერძენთა ეკლესია, ალ-ჲუნინი, III, გვ. 5—6; მუფადდალ იბნ აბილ-ფადაილი, XIV, გვ. 459, იბნ ად-დავადარი, IX, გვ. 222; ალ-მაკრიზი, გვ. 608; ალ-ქუთუბი, გვ. 300. გარდა ამისა, შესულა ერთხელ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში და იქაც საკუთარი ხელით მოუკლავს მისი წინამძღვარი, იხ. عماد الدين ابو الفداء اسماعيل ابن عمر ابن كثير ، البداية و النهاية فى التاريخ ، الجزء الثالث عشر ، القاهرة ، ١٩٣٢ ، ص. ٢٦٥ ،

43 Д. А. Кипшидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

44 იქვე.

ბილედან ცოცხალი აღარ გამოსულა[45]. ამის გამო 1274 წელი ჯვრის მონასტრის დარბევის თარიღად გამორიცხულია. ასევე მიუღებელია 1273 წელიც იმიტომ, რომ, ქართული წყაროს მიხედვით, ლუკა მუხაისძე მოკლა შეიხმა ხიდრმა 27 ივნისს[46], ხოლო, არაბული წყაროების მიხედვით, შეიხი ხიდრი 1273 წ. აპრილიდან საპყრობილეშია. ამდენად, ქართული წყაროს მიერ დასახელებული 27 ივნისი შეიძლება 1272 წელზე მოდიოდეს.

ზემოხსენებული აღაპი ჯვრის მონასტრის „დატყეევებიდან" საკმაოდ დიდი ხნის, ვახტანგ III-ის გარდაცვალების, ან ჯვრის მონასტრის გათავისუფლების შემდეგ დაიწერა; ამდენად, მის შემდგენელს შეიძლება მოსვლოდა შეცდომა თარიღში, მაგრამ განსხვავება არ შეიძლება დიდი იყოს. ჯვრის მონასტრის დარბევა, ლუკა მუხაისძის მოკვლა და მონასტრის მეჩეთად გადაკეთება XII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში მოხდა და არ უნდა სცილდებოდეს 1272 წლის 27 ივნისს.

როგორც ვნახეთ, არც არაბული და არც ქართული წყაროები ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის წართმევის მიზეზს არ მიუთითებენ. „ლუკა იერუსალიმელის წამებაში" აღნიშნულია მხოლოდ, რომ: „... ვითარ იხილა ეშმაკმან, მოშურნემან ჩვენისა ცხოვრებისამან, კეთილად წარმართებულება მისი (იგულისხმება ლუკას მოღვაწეობა ჯვრის მონასტერში — დ. გ.) იწვებოდა შურითა და აღუდგინა მსგავსივე მისი სიბოროტითა კაცი ყოვლითურთ ეშმაკშემოსილი სპარსი, რომელსა ეწოდებოდა შეხ ხიდარ"[47]. ამასთან დაკავშირებით უთუოდ საინტერესო უნდა იყოს იბნ ალ-ვასიტის ცნობა[48], რომლის თანახმად: „ბაიბარსს თურმე ეჭვი მიუტანია მონასტრის ბერებზე, რომ იქნებ იერუსალიმში კოპტი პილიგრიმების მეშვეობით დაზვერვით იხფორმაციას აწვდიდნენ მონღოლებს მამლუქების შესახებ. და რომ ამან განაპირობა მათი დასჯა და მონასტრის მეჩეთად გადაკეთება"[49].

---

[45] ალ-დჰაბი, III, გვ. 267; მუფადდალ იბნ აბილ-ფადაილი, XIV, გვ. 381; იბნ ად-დავადარი, IX, გვ. 171; ალ-ჭუთუბი, გვ. 299.

[46] „იწამა მაშა ჩუენი ლუკაჲ თუესა იუნისს: კზ: სურტნობასა ფუნღრუხტანისა", Д. А. Кипшидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

[47] Д. А. Кипшидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[48] ცნობა მოცემულია პაიფელი მეცნიერის ბუტრუს აბუ მანნეჰის ნაშრომში: „ქართველები იერუსალიმში მამლუქთა პერიოდში" (Butrus Abu-Manneh, The Georgians in Jerusalim in the Mamluk Feriod, XXI Deutscher Orientalistentag von 24 bis 29 Marz 1980 in Berlin, Wiesbaden, 1983), იხ. გ. ჯაფარიძე, ქართველები იერუსალიმში ახლად მიკვლეული არაბული დოკუმენტების შუქზე, „ლიტერატურული საქართველო", 15.11.85, № 7 (2344), გვ. 14.

[49] ბ. აბუ მანნეჰთან მითითებულია: Chazi Ibn al-Wasiti, al-Radd 'ala al-Dhimmiyyin, Journal of the American Oriental Society, 21, 1924, p. 411.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრის მონასტრის წართმევას გარკვეული გამოძახილი ჰქონდა საქართველოში. იგი „ქართველებმა განიცადეს როგორც დიდი ეროვნული უბედურება, ამიტომ დღიდან „დატყვევებისა“ მონასტრის განთავისუფლებისათვის არა ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული როგორც მონასტრის კრებულის, ასევე ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ“[50].

ჯვრის მონასტრის აღაპებში აისახა ქართველთა ზრუნვა მის მიმართ „დიდი დაჭირვების ჟამს“. ვგებულობთ, რომ გაჭირვების ჟამს მონასტრის მსახურნი უყურადღებოდ არ მიუტოვებიათ და მონასტერს უხვად მიუღია სხვადასხვა სახის შესაწირავები. ამ დროის ერთ-ერთი აღაპის შინაარსი ასეთია: „ამ (ა)სვე დღესა აღაპი სუანთ კრ(ი)სთუსა ვარდანის ძისა მსახურთ უხუცესისა არიშიანისა, მოგუცა ათას ხუთასი თეთრი მ(ა)ს ჟ(ამს)ა, ოდეს ჯ(უარ)ისა მონასტერი სპარსთა დაჭირვით ქონდათ, და ძმანი მეტოქს შიგან ვიყვენით, დიდსა დაჭირკებასა შ(იმ)ა ვიყვენით. დიდად ნუგეშინისგუცა“[51].

ჯვრის მონასტრის დაბრუნება და ქართველთა პრივილეგიების აღდგენა პალესტინაში დიდი ეროვნული საქმე იყო. ცხადია, ქართველები ყოველ ღონეს იხმარდნენ ამისათვის.

სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა ქართველ მეფეთა მრავალრიცხოვანი ელჩობები, რომლებიც ფიქსირებულია XIV ს. I მეოთხედში როგორც არაბულ, ისე ქართულ წყაროებში.

პირველ ასეთ ელჩობას 1305/6 წ. აღწერენ ალ-მაკრიზი, ალ-აინი და მუჯირ ად-დინი, რომელიც ამ ავტორთაგან ყველაზე გვიანდელია და ფაქტიურად იმეორებს მათ ცნობებს.

705 წ. ჰ. ამბების გადმოცემის დროს ალ-მაკრიზი წერს: „ჩამოვიდა [კაიროში — დ. გ.] კონსტანტინოპოლის იმპერატორის დესპანი და მასთან ერთად [იყო] ქართველთა დესპანი საჩუქრებით და წერილით, რომელიც შეიცავდა თხოვნას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გახსნის შესახებ, რათა ქართველებს მოეხილათ იგი. [სამაგიეროდ] ქართველები იქნებოდნენ სულტნის მორჩილნი და შეეწეოდნენ მას, როცა დასჭირდებოდა. გაიცა ბრძანება ეკლესიის გახსნის შესახებ და გახსნა. დესპანები გაბრუნდნენ სათანადო პასუხით“[52].

---

[50] ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები..., გვ. 41.

[51] იქვე, გვ. 92.

[52] احمد بن علي المقريزي ، كتاب السلوك لمعرفة دول الملوك ، الجزء اول القسم الثاني ، القاهرة ، ١٩٥٧ ، ص. ١٧ ،

ამ ცნობის ფრანგული თარგმანი დამოუშებული აქვს ვ. ტიზენჰაუზენს ალ-მაკრიზის კატრმერისეული გამოცემიდან. იხ. В. Г. Тизенгаузен, Заметка... с. 212.

ოდნავ ვრცელია ალ-აინის ცნობა. არაბი ავტორი წერს, რომ 705 წ. „ჩამოვიდნენ კონსტანტინოპოლში ქართველთა მეფის დესპანები. რომლებიც მიემგზავრებოდნენ უმაღლესი კარისაკენ (კაირო). ალ-აშქარიმ თავის მხრივ გააყოლა დესპანი და გაისტუმრა. ისინი ჯერ ზღვით მივიდნენ ალექსანდრიაში, შემდეგ მისრში (კაიროში). მათ თან ჰქონდათ წერილი, რომელშიც ითხოვდნენ, რომ მას (სულტანს) დაებრუნებინა მათთვის (ქართველებისათვის) დიდებული იერუსალიმის ეკლესია, რომელიც მათ ეკუთვნოდათ და რომელსაც ეწოდებოდა ალ-მუადდალიდა. რამდენიმე ხნით ადრე ის (მონასტერი) წაართვეს მათ და მოაწყვეს იქ მეჩეთი მინარეთითურთ. ის დაუბრუნეს მათ. იბნ ქასირმა აღნიშნა, რომ ის მათ წაართვა შეიხმა ხიდრმა აზ-ზაჰირის ზეობის დროს და გადააკეთა მეჩეთად. დაუბრუნდათ (მონასტერი) მათ (ქართველებს) სწავლული ხალხის გადაწყვეტილების საფუძველზე და მიეცათ უფლება ამხედრებულიყვნენ სწორად. მანამდე ისინი (ჯდებოდნენ ცხენებზე) ერთ მხარეს ორივე ფეხების ჩამოშვებით[53].

و فيها وصل رسل من جهة ملك الكرج الى القسطنطينية لاجل الابواب الشريفة فجهز الاشكرى معهم رسولا من عنده و ارسلهم فوصلوا فى البحر الى الاسكندرية ثم الى مصر برسالة يسألون فيها ان يعاد اليهم كنيسة معروفة بهم بالقدس الشريف تسمى المعدلية كانت قد اخذت منهم منذ مدة و بنى فيها مسجد و مأذنة فاعيدت اليهم و قال ابن كثير و كان الشيخ خضر انتزعها منهم فى الدولة الظاهرية فجعلها زاوية فاعيدت عليهم بمقتضى فتاوى العلماء و اذن لهم فى الاستواء فى الركوب و كانوا قبل ذلك يركبون عرضا من ناحية واحدة.

ამრიგად, ალ-მაკრიზისა და ალ-აინის ცნობების თანახმად, ჰიჯრის 705 წ. ქართველთა ელჩობა ეგვიპტეში 1272 წ. ჩამორთმეული ჯვრის მონასტრის დაბრუნებას ისახავდა მიზნად.

აღნიშნულ ცნობებს პირველად ყურადღება მიაქცია ვ. ტიზენჰაუზენმა და შემდეგ შემოვიდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ვ. ტიზენჰაუზენმა ალ-კალკაშანდის ცნობების კომენტირების დროს სქოლიოში გამოიტანა ალ-მაკრიზის, ალ-აინის და მუჯირ ად-დინის ცნობები ჯვრის მონასტრის განთავისუფლების თაობაზე. ამ მონაცემებიდან გამოვიდნენ შემდეგ ის მკვლევრები, რომლებიც ჯვრის მონასტრის გათავისუფლების თარიღს ეხებიან. მაგრამ ჰიჯრის 705 წ.

---

[53] ابن بدر الدين محمود العينى ، عقد الجمان فى تاريخ اهل الزمان ، المجلد الرابع.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი, № 524, გვ. 238. შდრ. В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 212—213.

გრძელდება 1305 წ. 24 ივლისიდან 1306 წ. 12 ივლისამდე, აძდენად, არ არის საეჭლდებულო, რომ ეს ამბავი მოდიოდეს მაინცდამაინც 1305 წელზე. იგი შეიძლება 1306 წელზეც გავრცელდეს. მუჯირ ად-დინის გამომცემელი H. Souvaire აღნიშნავდა, რომ ჰიჯრის 705 წ. ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1305 წ. 24 ივლისს იწყებაბ: (705 comm. 24 Juillet 1305)[54]. ეს თარიღი კი ჰიჯრის 705 წლის შესატყვისად, როგორც ქართველთა ეგვიპტეში ელჩობის წელი, მექანიკურად გადმოიტანა ა. ცაგარელმა და აქედან მოხვდა იგი მეცნიერთა გამოკვლევებში[55].

აღნიშნული თარიღი — 1305 წ. მტკიცედ დამკვიდრდა ჯვრის მონასტრის განთავისუფლების წლად. მას იზიარებენ დ. ყიფშიძე[56], ელ. მეტრეველი[57], დ. ლანგი[58], პ. ინგოროყვა[59], ბ. სილაგაძე[60], ი. სიხარულიძე[61], აბუ მანნეჰი[62] და სხვები.

დ. ყიფშიძემ არაბ ავტორთა ცნობები შეუდარა ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ აღაპს, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ(ა)სვე დღ(ე)სა წირვ(ა)ჲ და აღ(ა)პი საუკუნოჲ დ(ავი)თ მეფეთა მეფის(ა)ჲ და მეორედ აღმ(ა)შენებლის(ა)ჲ წ(მიდ)ისა მონასტრისაჲ. რომელმან სარკინოზთ(ა)ვ(ა)ნ წარტყუეწული მონ(ა)სტერი და ეკლ(ე)სიაჲ მიზგითად შეცვ(ა)ლებულ ეკლესიადვე სალოცველად შეცვ(ა)ლა და კ(უალა)დ აგო ნ(ა)ათეს(ა)ვსა ქართველთ(ა)სა, რომლისა საუკუნომც არს საკსენებელი[63]. ზემოხსენებულ აღაპში ჯვრის მონასტრის დაბრუნება მიეწერება დემეტრე თავდადებულის ძის დავით მეფის (1293—1311) ხანას. ამიტომ დ. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ეს აღაპი მხარს უჭერს ჯვრის მონასტრის დაბრუნების თარიღად 1305 წ. მიჩნევას[64].

მკვლევართა მეორე ჯგუფის (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. მენთეშაშვილი, ნ. კანდელაკი) მიხედვით ჯვრის მონასტრის დახსნა მოხდა XIV ს. 20-იან წლებში გიორგი ბრწყინვალის დროს (1314 —

---

54 В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 212.

55 А. А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 95, ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

56 Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 46—47.

57 ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 43, 106.

58 D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

59 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 697, 733, 742, 745 და სხვ.

60 ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

61 ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

62 B. Abu-Manneh, The Georgian in Jerusalem..., s. 165.

63 Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

64 იქვე, გვ. 47.

1346)[65], მაგრამ, როგორც უჩვენებს ბ. სილაგაძე, ამ დროს ადგილი ჰქონდა პიპა ქვენიფნეველის ელჩობას ეგვიპტეში, რომლის მიზანი იყო არა ჯვრის მონასტრის, არამედ „კლიტენი იერუსალიმისანის“ ანუ „იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავის“ დახსნა[66].

ბ. სილაგაძის აზრით, ჯვრის მონასტრის დაბრუნება მოხდა 1305 წ. და მისი დამხსნელი არის დავით VIII. თუმცა მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ ამ დროს დავითი ყაზან ყაენთან (1295—1305) უთანხმოების გამო მთიულეთში იყო გახიზნული[67], აღმოსავლეთ საქართველოს კი მისი ძმა ვახტანგ III (1298—1308) განაგებდა. მკვლევარი ფიქრობს, რომ 1305 წ. მოხდა ეგვიპტე-საქართველოს შორის ურთიერთობის არსებითი შეცვლა და „დაიწყო ახალი ხანა, ხანა ერთმანეთის პატივისცემის პრინციპზე დამყარებული კეთილი დამოკიდებულებისა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე იარსება“[68]. იგი იქვე წერს: „მაგრამ 1305 წლის ამ შეთანხმებას მარტო საქართველოსათვის როდი ჰქონდა მნიშვნელობა. მას ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტისათვის, რადგან, ჯერ ერთი, მასსა და საქართველოს შორის ამდენხანს არსებული მტრული დამოკიდებულება იცვლებოდა კეთილგანწყობილი ურთიერთობით, რაც გამორიცხავდა ეგვიპტის წინააღმდეგ მუდამ მომქმედ ილხანთა ლაშქარში ქართველთა ჯარის მონაწილეობას; მეორე, ამ შეთანხმების შედეგად ეგვიპტე საქართველოს სახით იძენდა მეტად საჭირო მოკავშირეს, რომელიც თვით ქართველი მეფის პირობის თანახმად შეეძლო გამოეყენებინა თავისი ძლიერი და შეურიგებელი მოწინააღმდეგის — ილხანთა მიმართ“[69]. უნდა აღინიშნოს, რომ 1305 წლიდან არ შეწყვეტილა ქართველთა მონაწილეობა ილხანთა ლაშქრის შემადგენლობაში ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართულ ომებში. როგორც ვნახეთ, 1312/13 წელსაც მონაწილეობენ ქართველები ილხანთა ირანის ბრძოლაში სირიის წინააღმდეგ[70]. ამდენად, 1305 წლის მიჩნევა „ახალი ხანის“ დასაწყის თარიღად ეგვიპტე-საქართველოს ურ-

---

[65] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 404. ნ. ბერძენიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, ნაწ. I, თბ., 1958, გვ. 253; ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 18; ბ. კანდელაკი, დასახ. ნაშრ., გვ. 131—133.

[66] ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

[67] იქვე, გვ. 97.

[68] იქვე, გვ. 99.

[69] ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[70] იხ. დ. გოჩოლეიშვილი, იბნ ად-დავადარი 1312/13 წლის ქართველთა ერთი ლაშქრობის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, თბ., 1976, გვ. 106—111.

თიერთობის ისტორიაში, მართებულად არ გვეჩვენება. 1305 წ. მიიჩნევს ჯვრის მონასტრის დაბრუნების თარიღად თ. პაპუაშვილიც[71].

მართალია, 1305 წ. ელჩობა მიზნად ისახავდა ჯვრის მონასტრის განთავისუფლებას, რაზეც მიუთითებენ ზემოთ დასახელებული არაბი ავტორები, მაგრამ იგივე ავტორები და დღემდე ჩვენთვის უცნობი მუფადდალ იბნ აბილ-ფადაილი მიუთითებენ, რომ ჯვრის მონასტრის დახსნას ადგილი ჰქონდა ჰიჯრის 710/1310 წელს, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ანგარიშგასაწევია.

ჰ. 710 წ. ჯვრის მონასტრის დაბრუნების თარიღად ვხვდებით ალ-მაკრიზისთან. მხედველობაში გვაქვს ალ-მაკრიზის კაიროს გამოცემის ტექსტი, რომელიც ე. კატრმერის გამოცემაში არ არის. ე. ტაზენჰაუზენის დროს გამოცემული იყო ალ-მაკრიზის შრომა არასრულად და ისიც არა ყველა ხელნაწერის გათვალისწინებით ე. კატრმერის მიერ. ჩვენ დროში სრული მეცნიერული გამოცემა განახორციელა არაბმა მეცნიერმა მუჰამმად მუსტაფა ზიადმა. ახალ გამოცემაში 1305 წლის ელჩობა შესულია, მაგრამ 710 წლის ამბების აღწერისას ალ-მაკრიზი წერს: „რაჯაბის თვეში ჩამოვიდნენ [კაიროში] ალ-აშქარის [ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე II 1282—1328] და საქართველოს მეფის დესპანები!— დიდებული საჩუქრებით. მათ ითხოვეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გახსნა. მიეწერათ მათ პასუხად, რომ ეს ეკლესია დაიხურა აზ-ზაჰირის დროს შეიხ ხიდრის მიერ და აიგო მასში მეჩეთი. ამის დარღვევა კი შეუძლებელია. გაიცა ბრძანება, რომ მათთვის გაეხსნათ კაიროს იაკობიტთა ეკლესია და ებრაელთა სინაგოგა. ნება მიეცათ ამხედრებულიყვნენ სწორად"[72].

710 წლის რაჯაბის თვეში ათავსებს აგრეთვე ქართველთა ხელახალ ელჩობას მონასტრის გამოხსნის მიზნით ალ-აინიც. იგი წერს: „რაჯაბის თვეში ეწვივნენ უმაღლეს კარს ალ-აშქარის — კონსტანტინოპოლის გამგებლის ელჩები, რომლებსაც ახლდნენ ქართველთა დესპანები. ისინი ითხოვდნენ იერუსალიმის მუსალლაჰიას ეკლესიის დაბრუნებას. შეიხმა ხიდრმა აზ-ზაჰირის ზეობაში წაართვა მათ ის და

---

71 თ. პაპუაშვილი, ქართული კულტურა XIII—XV საუკუნეებში, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 827.

72 ალ-მაკრიზი, ტ. II, ნაწ. I, გვ. 90.

و قدم رسول الاشكرى بهدايا سنية فى رجب و رسل ملك الكرج و سألوا فتح الكنيسة المطلة بالقدس فكتب الجواب بان هذه الكنيسة غلقت من الايام الظاهرة على يد الشيخ خضر و بنى فيها مسجد ، و لا يمكن نقض ذلك ، و رسم ان تفتح لهم كنيسة اليعاقبة بالقاهرة التى بالقاهرة و كنيسة اليهود و أذن لهم ان يركبون على الاستواء

დაუბრუნდათ სწავლული ხალხის გადაწყვეტილების საფუძველზე"[73].

აშკარაა, რომ როგორც ალ-მაკრიზის, ისე ალ-აინის წყაროებში, რომლებიც მომხდარი ამბების თანადროულები იყვნენ, ძითითებული იყო ქართველთა ორივე ელჩობა, როგორც 1305/6, ისე 1310 წლებში და ამიტომ მათ თხზულებებში ორივე ცნობა აისახა.

განსხვავება ალ-მაკრიზისა და ალ-აინის ცნობებს შორის იმაშია, რომ ალ-მაკრიზის თანახმად არც 1310 წლის ელჩობას მოჰყოლია დადებითი შედეგი, მაშინ როდესაც ალ-აინი აღნიშნავს მონასტრის დაბრუნების ფაქტს[74]. მაგრამ ორივე ავტორის ცნობების მნიშვნელობა დიდია. უეჭველია, რომ 1305/6 წ. ჯვრის მონასტრის განთავისუფლებისა და გამოხსნის შემთხვევაში 1310 წლის ელჩობა ზედმეტი იქნებოდა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შუფადდალ იბნ აბილ-ფადაილის თხზულებას, როგორც ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელს. ეს არის ამბის თანამედროვე ერთადერთი წყარო, რომელშიც ჩვენ გვეგულება ცნობა ჯვრის მონასტრის განთავისუფლების თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ იგი აქამდე არ ყოფილა გათვალისწინებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. შუფადდალის თანახმად 710 წელს: „ალ-აშქარის დესპანები ქართველთა დესპანების თანხლებით ეწვივნენ მაღალ კარს, დიდებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების თხოვნით. [აღნიშნული მონასტერი] მიიტაცა შეიხმა ხიდრმა აზ-ზაჰირის ზეობაში და გადააქცია მეჩეთად, როგორც აღინიშნა. დაუბრუნდათ ის [ქართველებს] სწავლული ხალ-

---

[73] ალ-აინი, გვ. 280. و فيها في رجب وصل رسل الاشكرى صاحب القسطنطينية الى الابواب الشريفة و صحبتهم رصل الكرج يسألون اعادة الكنيسة المصلحية التي القدس بيت المقدس و كان الشيخ خضر في الدولة الظاهرية انتزعها من ايديهم فاعيدت بمقتضى الفتاوى الشرعية

გ. ტიზენჰაუზენმა იცოდა ამ ცნობის შესახებ, მაგრამ მან თარგმნა ალ-აინის მხოლოდ ის ცნობა, რომელიც 1305 წელს შეეხება იხ. В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 213.

[74] სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ ალ-მაკრიზის როგორც პირველ (1305/6), ასევე მეორე (1310 წ.) ცნობებში, საქართველოს მეფე სთხოვს ეგვიპტის სულტანს მხოლოდ ჯვრის მონასტრის გახსნას (فتح) და არა დაბრუნებას (اعادة), როგორც ეს აღნიშნულია არაბ ისტორიკოსებთან.

ხის გადაწყვეტილების საფუძველზე. მართლაც, მისი [ეკლესიის] წართმევა არ შეიძლება"[75].

ამრიგად, მუფადდალის და ალ-აინის თანახმად, ჯვრის მონასტრის დახსნა მოხდა 1310 წელს. განსაკუთრებით საინტერესოა მუფადდალის ცნობა. მუფადდალს, ზემოთ აღნიშნულ ყველა წყაროსთან შედარებით, უნდა მიეცეს გარკვეული უპირატესობა, რადგან იგი ჩვენთვის საინტერესო ამბის თანადამხვდურია[76].

1310 წლით დათარიღებას არც ქართული აღაპის ცნობა არ ეწინააღმდეგება. დავით VIII, როგორც მიჩნეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, მეფობდა 1310 წლამდე. ამ თარიღის შემდეგ ის მეფედ აღარ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, 1312 წ. ნოემბერში, როცა ილხანთა ახალი, უკანასკნელი ლაშქრობა დაიწყო სირიაში მამლუქთა წინააღმდეგ, მეფედ ხის მისი ძე გიორგი მცირე[77].

1310 წელი ჯვრის მონასტრის დახსნის თარიღად უფრო რეალურად გვეჩვენება. 1305 წლისათვის დავით მეფეს საამისო პირობები არც გააჩნდა, როგორც აღინიშნა, ის გახიზნული იყო მთიულეთში[78].

1308 წ. ვახტანგ III გარდაცვალების შემდეგ დავითმა შეძლო ტახტის დაბრუნება და მისი დამოკიდებულებაც მონღოლებთან გარკვეულად შეიცვალა.

1308 წ. შემდეგ დავით VIII-ს ჰქონდა ყველა საშუალება, მათ შორის მატერიალურიც, რათა ეზრუნა ჯვრის მონასტრის დაბრუნებასა და მის კეთილმოწყობაზე.

ჯვრის მონასტრის დაბრუნება ეგვიპტის სულტნისათვის ადვილი არ იყო. როგორც ალ-'უმარისა და ალ-კალკაშანდის ცნობებიდან ჩანს,

---

[75] و فيها (يعنى ٧١٠) وصلت رسل الاشكرى و صحبتهم الكرج الى الابواب الشريفة يسألون اعادة الكنيسة بالمصلبة بالقدس الشريف، اليهم و كان الشيخ خضر قد انتزعها فى الدولة الظاهرية و جعلها زاوية كما تقدم قاعيدت اليهم بمقتضى فتاوى العلماء، انه لا يجوز اغتصابها.

Moufazzal Ibn Abib—Faxeil, Histoire des Sultans Mamlouks, texte Arabe, publie, et traduit en Français par E. Blochet, Patrologia Orientalis, t. XX, Paris, 1928, გვ. 195 მუფადდალის ეს ცნობა შესულია ევროპულ ლიტერატურაში. იხ. M. Canard, Byzance et las musulmans du Proche Orient, Une Lettre du Sultan Malik Nâsir Hasan a Jean VI Cantacuzene, 750/1349, London, 1975, p. 25.

[76] მუფადდალს ზუსტად აქვს აღნიშნული ჯვრის მონასტრის სახელწოდება الكنيسة المصلبة ასევე ზუსტია ამ შემთხვევაში ალ-მაკრიზიც. სხვა ავტორებთან ეს სახელი დამახინჯებულია: المعلقة ანდა المصلحة

[77] ჟამთააღმწერელი, გვ. 324.

[78] საერთოდ კი ძნელი სათქმელია, ვის მიერ იყო მოწყობილი 1305 წლის ელჩობა — დავითის, ვახტანგ III-ის თუ — კონსტანტინეს (1293—1327) მიერ.

ამან გამოიწვია გარკვეული საზოგადოებრივი ფენის გულისწყრომა. მაგრამ, გარკვეული მოსაზრების გამო, ეგვიპტის სულტანმა ქართველების თხოვნა დააკმაყოფილა. ეს მომენტი არც არაბულ წყაროებს გამორჩენიათ. ალ-'უმარი და ალ-კალკაშანდი მიუთითებენ, რომ „მონასტრის დაბრუნება არ მომხდარა ტყუილუბრალოდ“ — [illegible] მონასტრის დაბრუნების დროს (1310 წ.), ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ილხანთა ირანის ლაშქრობები ეგვიპტის წინააღმდეგ. ამდენად, ქართველებისათვის ჯვრის მონასტრის დაბრუნებით ეგვიპტის მესვეურნი ილხანთა ირანის მოკავშირე საქართველოს კეთილგანწყობისაკენ ისწრაფოდნენ. ჯვრის მონასტრის დაბრუნება ქართველებისათვის დიდად სასიხარულო ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა იყო. მონასტრის დაბრუნების შემდეგ, ისევე როგორც „ტყვეობის“ დროს, მას საქართველოდან დიდძალი შესაწირავები მოსდიოდა, რაც სათანადოდ აისახა კიდეც აღაპებში[79].

ალ-'უმარი და ალ-კალკაშანდი აღნიშნავენ, რომ ჯვრის მონასტრის დახსნის თაობაზე სულტნის მაღალ კართან მიმოწერა გაუმართავს საქართველოს მეფეს ბარტილმას (Bartl) ბარტილმა, ალ-'უმარის თანახმად, იყო „ყველაზე დიდებული ქრისტიან მეფეთა შორის და ყველაზე წარჩინებული წარმოშობის ნათლისღებულთა შორის“. ბარტილმა იყო ახლო ურთიერთობაში ილხანთა ირანის უძლიერეს ვაზირთან ჩობანთან და მეფე მას მოუხმობდა ხოლმე მნიშვნელოვანი საქმის დროს და სთხოვდა დახმარებას გაჭირვების ჟამს. მას მიიჩნევდა მისი ლაშქრის საყრდენად და უბედურების განმაშორებლად. ამავე დროს ბარტილმა ალ-'უმარის თანამედროვეა[80].

არაბული ბარტილმა ქართულად ბართლომეს უნდა შეესაბამებოდეს. მაგრამ ამ სახელის ქართველი მეფე არაა ცნობილი. მკვლევრები, რომლებიც ამ სახელის იდენტიფიკაციას ცდილობენ, ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებს გამოთქვამენ.

ვ. ტიზენჰაუზენი ბარტილმას ქვეშ ბაგრატიონს ან პრწყინვალეს ხედავს. იგი კითხვის ნიშნით წერდა: „შეიძლება ასეთი წაიკითხვა: ბაგრატიონი ან პრწყინვალე (Brisginvale, le Brillant), როგორც იწოდებოდა გიორგი V[81]. მისი დაკვირვება ამ სიტყვების გარეგნული მსგავსებიდან გამომდინარეობს.

---

[79] ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები..., გვ. 93, 151 (M—149), ტაბულა XIV, გვ. 90, 117 (M—114), ტაბულა XIV.

[80] ალ-'უმარი, გვ. 53.

[81] B. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 211.

ა. ცაგარელი, დ. ყიფშიძე და ს. კაკაბაძე ბარტილმას ვახტანგ III-ედ მიიჩნევენ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე[82].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბარტილმა გიორგი ბრწყინვალე უნდა იყოს[83]. მკვლევარი გამოდის ბარტილმას ალ-'უმარისეული დახასიათებიდან, რაც კარგად ესადაგება გიორგი ბრწყინვალის პიროვნებას.

დ. ლანგს მიაჩნია, რომ ალ-'უმარის ცნობაში იგულისხმება გიორგი ბრწყინვალე. მაგრამ ამაზე დროს აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში, როდესაც ალ-'უმარის თხზულება დაიწერა (1341 წ.). გიორგი ბრწყინვალე აღარ იყო ახლო კონტაქტში მამლუქთა კართან და ალ-'უმარიმ ერთმანეთში აურია მეფე და მისი ვასალი, საქართველოს და სომხეთის მთავარსარდალი, სიუნიის დიდი მთავარი ბირთველ ორბელიანი[84].

უკანასკნელ ხანებში ბარტილმას ვინაობა ელ. მეტრეველმა და ბ. სილაგაძემ დაუკავშირეს დავით VIII-ს, რომელმაც დაიხსნა ჯვრის მონასტერი[85].

ალ-'უმარის ცნობის ანალიზის დროს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მიექცეს ბარტილმას მიერ მონასტრის დახსნის ფაქტს და ფონეტიკურად მის მსგავსებას რომელიმე სახელთან. ბარტილმა არ უნდა ნიშნავდეს ბრწყინვალეს. სიტყვის ასეთ გაგებას წინ ეღობება წმინდა ფონოლოგიური მიზეზი: ბარტილმადან ბრწყინვალე არ მიიღება.

გარდა ამისა, მეტად საეჭვოა, რომ ეგვიპტეში არ არსებულიყო სათანადო ცნობები, თუ ვის მიერ და რამდენჯერ იყო ვაგზავნილი ელჩობა ქართული მონასტრების განთავისუფლების შესახებ. საეჭვო ღირებულების ფონეტიკური მსგავსების ძიების მაგიერ უფრო ლოგიკური იქნება არსებული ისტორიული სიტუაციის აღდგენა და იმ ნიშნების გათვალისწინება, რომლებითაც ხასიათდება ეს მეფე. თავის დროზე, როგორც ითქვა, სწორედ ამის საფუძველზე გააიგივა ბარტილმასთან გიორგი ბრწყინვალე ივ. ჯავახიშვილმა[86].

ბარტილმა ალ-'უმარის თანამედროვეა. იმის მიხედვით, ბარტილმა

---

82 А. А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 55; Д. А. Кипшидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 47; სარგი კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ეეფხისტყაოსანი, გვ. 74.

83 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 267.

84 D. M. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 82, იხ. აგრეთვე გვ. 77, შენ. 4.

85 ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 45; ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 97.

86 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 399.

შის დროს ცოცხალია[87]. როგორც აღინიშნა, ალ-'უმარიმ თავისი თხზულება 1340 წ. შემდგომ დაასრულა, დაწყებით კი, ერთობ საეჭვოა XIV ს. 20-იან წლებზე ადრე დაეწყო (ის ხომ 1301 წელს დაიბადა). ამის გამო გამორიცხულია, რომ თანამედროვეთა შორის მას ეახტანგ III (გარდ. 1308 წ.), ან დავით VIII (გარდ. 1311 წ.) დაესახელებინა. გვრჩება მხოლოდ კონსტანტინე, რომელიც 1327 წლამდე მეფობდა იმერეთში და გიორგი V (1314—1346).

ალ-'უმარი მიუთითებს ბარტილმას და ჩობანის კეთილმეგობრულ დამოკიდებულებაზე. ჩობანი, როგორც სამხედრო მეთაური, XIII ს. მიწურულიდან ფიგურირებს ილხანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, მაგრამ მისი აღზევება დაკავშირებულია აბუ საიდის (1317—1335) ტახტზე ასვლასთან. ის ხდება მცირეწლოვანი ყაენის რეგენტი, ამირ-ალ-უმარა, ჭორწინდება აბუ საიდის დაზე — დულანდიზე[88]. მალე სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვანი პროვინციის გამგებლად მისი წვილები ინიშნებიან.

ალ-'უმარის ცნობაში სწორედ დიდების ზენიტში მყოფი ჩობანი იგულისხმება. ამ პერიოდში კი ჩობანს კეთილმეგობრული ურთიერთობა შეიძლება ჰქონოდა კონსტანტინესთან, ან გიორგი V-სთან.

ქართული წყაროების თანახმად, ჩობანს ძ.ეთი ურთიერთობა გიორგი V-სთან ჰქონდა. აბუ საიდის გაყაენებასთან დაკავშირებით ურდოში მისულ გიორგის ჩობანი სიხარულით შეხვდა: „განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო"[89]. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ გიორგი ბრწყინვალეს „ჩოფან-ნოინი მწედ ჰყვანდა"[90].

ალ-'უმარისეულ დახასიათებაში ბარტილმა ჩანს დიდ სახელმწიფო მოღვაწედ, რა რანგისაც არ იყვნენ ვახტანგ III, დავით VIII, კონსტანტინე და, მით უმეტეს, ბირთველ ორბელიანი.

ამ რანგის სახელმწიფო მოღვაწე ალ-'უმარის თანადროულ საქართველოში იყო მხოლოდ გიორგი V, ბრწყინვალედ წოდებული.

მაგრამ ბარტილმა, იგივე გიორგი ბრწყინვალე, არ არის მონაკ-

---

87 ალ-'უმარი, გვ. 53.

88 Из «Истории Шейх Увейса», В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов..., I, с. 101; Абу Бакр ал-Кутби, Тарих-и шейх Увейс, Баку, 1984, с. 78. და სხვა; ი ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 399—400.

89 ქამთაარმწერელი, გვ. 325; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 255.

90 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 256.

რის დამხსნელი. ამასთან დაკავშირებით ელ. მეტრეველი წერს: „არა გვაქვს საფუძველი არც იმისათვის, რომ ბარტილმასთან გავაიგივოთ გიორგი ბრწყინვალე. ხოლო, თუ მივიღებთ, რომ კონტექსტის მიხედვით აქ აუცილებლად გიორგი ბრწყინვალე უნდა იგულისხმებოდეს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ავტორი ცდება, როდესაც გიორგის მიაწერს ჯვარის განთავისუფლებას“[91].

როგორც ჩანს, ალ-'უმარი შეცდომას უშვებს, როცა ჯვრის მონასტრის დახსნას გიორგი V-ს — ბარტილმას უკავშირებს. 1310 წლისათვის, როცა ეს ამბავი მოხდა, ალ-'უმარი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მაგრამ სწორედ მის მოწიფულობის ხანაზე მოდის გიორგი ბრწყინვალის ღონისძიებები ჯვრის მონასტრის აღდგენის საქმეში. ჯვრის მონასტრის აღაპებში აღნიშნულია: „ჯვრის მონასტრის მ ე ო რ ე ღ ა ღ მ შ ე ნ ე ბ ლ ი ს ა მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა თ ვ ი ს გავაჩინეთ მათდა სამლოცველოდ აღაპი“[92]. გარდა ამისა, ჯვრის მონასტრის მესვეურებს „გიორგი ბრწყინვალესათვის განუწესებიათ ხუთი აღაპი (ეს იმ დროს, როდესაც ჯვარის მეურვე დანარჩენ მეფეთათვის, დავით VIII-სათვის, ვახტანგ III-თვის და კონსტანტინესათვის განწესებულია თითო აღაპი)“[93] გიორგი ბრწყინვალეს, როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, დიდი წვლილი მიუძღვის „იერუსალიმის კლიტეინის“ გამოხსნაში (პაპა ქვენიფნეველის ელჩობა)[94] და, ალბათ, სხვა პრივილეგიების მიღებაშიც. ყოველივე ამის მომსწრე იყო ალ-'უმარი და, შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზთა გამო დაუკავშირა მან ბარტილმას მოღვაწეობა ჯვრის მონასტრის დახსნას. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის გაუგებარი რჩება სახელის ამგვარად დამახინჯების მიზეზი.

ქართველთა ხშირი კონტაქტები ეგვიპტესთან გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა ეგვიპტელებს ჩვენ ქვეყანაზე. მათი წარმოდგენები საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური ვითარების შესახებ მონღოლთა ბატონობის ხანაში, აისახა ალ-'უმარის თხზულებაში დაცულ ცნობებში. ეგვიპტელებს საქართველო ესახებოდათ „დიდ ქვეყნად და სახელგანთქმულ სახელმწიფოდ“.

---

91 ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები..., გვ. 45; შდრ. ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 96, სქოლიო 46.

92 იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 805.

93 იქვე, გვ. 769.

94 ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 444—445; ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი, საძიებლები და შენიშვნები დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 350.

უეჭველია, ეგვიპტის სულტნები, როცა ეს შესაძლებელი იყო, ანგარიშს უწევდნენ ქართველთა სამხედრო ძალას, იმ როლს, რასაც ისინი თამაშობდნენ ილხანთა ლაშქარში. გიორგი ბრწყინვალის მეფობის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა განაპირობებდა საქართველოს პრესტიჟის განმტკიცებას საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც ნათლად ასახავს მიმოწერის ის ფორმა, რომელიც დაცულია ალ-'უმარის თხზულებაში. ალ-'უმარის ინფორმაციის მეორე ნაწილი ეხება საქართველოს მეფესთან (ან მეფეებთან) ეგვიპტის სულტნების მიმოწერას. მას არ მოჰყავს ერთი რომელიმე კონკრეტული წერილი, არამედ იძლევა იმის ნიმუშს, თუ როგორ უნდა იქნეს შედგენილი ეგვიპტის მამლუქი სულტნების კანცელარიაში ამ წერილის შესავალი და შესაძლოა დასკვნითი ნაწილიც („დალოცვა, რომელიც შეეფერება საქართველოს მეფეს").

ძნელი სათქმელია, როდის შემუშავდა ალ-'უმარისეული ნიმართვის ეს მაღალი სტილი. შესაძლოა, რომ გარკვეული ნაწილი აღებული იყო იმ მიმოწერიდან, რომელიც არსებობდა ფატიმიანთა და აიუბიანთა ხანის ეგვიპტესა და საქართველოს მესვეურებს შორის. მიმართვის აღნიშნული ფორმების დახვეწას განაპირობებდა ურთიერთობა მამლუქთა ეგვიპტესთანაც, უმთავრესად გიორგი ბრწყინვალის დროს.

ალ-'უმარისთან დაცული მიმოწერის წესი, ვფიქრობთ, არსებობდა XIV ს. I ნახევრის ბოლომდე მაინც. მართალია, არა გვაქვს კონკრეტული მითითებები ამ ხანაში ელჩობების შესახებ ეგვიპტესა და საქართველოს შორის, მაგრამ მათ, უეჭველად, უნდა ჰქონოდათ ადგილი.

ეგვიპტე-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა მომდევნო პერიოდშიც გრძელდება. მაგრამ ეგვიპტის სულტნების მიმოწერის სტილი საქართველოს მეფეებთან უფრო თავშეკავებული ხდება, რაც აისახა ალ-მუჰიბბისა და ალ-ყალყაშანდის თხზულებებში.

ალ-მუჰიბბისთან მოტანილი მიმოწერის წესი, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „მტკიცედ იყო დაცული უკანასკნელ დრომდე". თავად ის 1384 წ. გარდაიცვალა, მაგრამ მიმოწერის აღნიშნული წესი უფრო ადრე უნდა შემუშავებულიყო. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა თვით ტექსტი, სადაც დასახელებულია ქართველთა ორი მეფე — დავითი, რომელიც ფლობს თბილისს და დადიანი, რომელიც ფლობს სუხუმს და აბხაზს. ბ. სილაგაძე აღნიშნავს, რომ დავით მეფეში უნდა იგულისხმებოდეს დავით VIII, რასაც ვერ გავიზიარებთ. მკვლევრის თანახმად, ალ-მუჰიბბი „პირდაპირ ამბობს: ქართველთა

შეფეს, რომელიც მაშინ (ე. ი. 1305 წელს სულთანთან ქართველი ელჩების გამოცხადების დროს — ბ. ს.) თბილისს განაგებდა, დავითი ერქვაო. ეს დავითი უსათუოდ დავით VIII-ა (სხვა დავითი იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ არ ჰყოლია)"[95], მაგრამ ამგვარ ცნობას ალ-მუჰიბბი არ იძლევა. ასეთი დასკვნის საშუალებას არ გვაძლევს არც ალ-კალკაშანდის ტექსტი, სადაც ავტორი, როგორც ინტერპოლატორი, ალ-'უმარის და ალ-მუჰიბბის ცნობების შეჯერებისას აღნიშნავს: „რაც შეეხება „თასკიფს", იქ აღინიშნა, რომ ქართველებს ჰყავთ ორი მეფე. ერთი მათგანია ზემოხსენებული თბილისის მფლობელი. „თასკიფში" ნახსენებია, რომ იმ დროს მისი სახელი იყო დავითი[96] (ხაზგასმა ჩვენია — დ. გ.). სიტყვა „იმ დროს" ჩამატებულია ალ-კალკაშანდის მიერ და ეხება იმ პერიოდს, რომლის შესახებაც წერდა ალ-მუჰიბბი. ეს პერიოდი კი სრულიადაც არ არის XIV ს. დასაწყისი.

დ. ლანგს ალ-მუჰიბბის მიერ დასახელებული დავით მეფე მიაჩნია დავით IX-დ (1346—1360)[97]. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელ მკვლევარს არავითარი არგუმენტი არ მოჰყავს, ეს მოსაზრება მართებულად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ ალ-მუჰიბბის აღწერა მის თანამედროვე ამბებს შეეხება. მის თანამედროვე ქართველ მეფეთა შორის ერთადერთი იყო დავით IX (დავით VIII ჯერ კიდევ მაშინ გარდაიცვალა, როცა ალ-მუჰიბბი მცირეწლოვანი იყო)[98]. ის, რომ ალ-მუჰიბბის ცნობა ავტორის თანადროულია, კარგად ჩანს დადიანის მოხსენიებითაც. ეს ფაქტი საქართველოს სამეფოს საშინაო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხვარაზმშაჰ ჯალალ ად-დინის შემოსევებმა და მერე XIII ს. 30-იან წლებში მონღოლთა მფლობელობის დამყარებამ შეასუსტეს ცენტრალური ხელისუფლება, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლები და შეუ-

---

95 ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ.98.

96 اما فی تقیف قد ذکر ان للکرج ملکین احدهما صاحب تفلیس المقدم ذکره انه اسمه اذ ذاك «داود»

იხ. ალ-კალკაშანდი, VIII, გვ. 28; გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, გვ. 79.

97 D. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

98 ამდენად, არაბი ავტორის ცნობა სრულიადაც არ ამაგრებს სომხური წყაროს ცნობას, რომლის თანახმადაც 1304 წ. თბილისში მეფედ ზის დავით VIII. იხ. ა. აბდალაძე, საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ცნობათა შუქზე, საისტორიო კრებული, V, თბ., 1976, გვ. 85.

ალ-'უმარის მიერ აღნიშნულ ცვლილებებზე ლაპარაკობს ალ-კალკაშანდიც.

ალ-კალკაშანდიმ, მართალია, ალ-'უმარის და ალ-მუჰაპარს აღნიშნული ცნობები გაიმეორა, მაგრამ ამასთანავე სხვადასხვა სიტყვები და ფრაზებიც დაუმატა. მაგალითად, ალ-'უმარის მიერ საქართველოს მეფის შესახებ მოყვანილ მრავალრიცხოვან ეპითეტებს მან დაუმატა შემდეგი სიტყვები: „ბერძენთა შთამომავალი, სირიელ მეფეთა სიწმინდე, ტახტგვირგვინების მფლობელთა შთამომავლებს შორის რჩეული"[106].

ალ-კალკაშანდის თხზულებაში დაცული ეგვიპტის სულტნების საქართველოს მეფეებთან მიმოწერის მაღალი სტილი, როგორც აღინიშნა, უფრო ადრინდელი ვითარების ამსახველია და არ ეხება XIV ს. 30—40-იანი წლების შემდგომ პერიოდს.

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა იცვლება 1335 წ. ილხანთა ირანის დასუსტებისა და დაშლის შემდეგ.

ალ-კალკაშანდი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ უბრწყინვალეს შიჰაბ, აღ-დინ იბნ 'აბდ ალლაჰ ალ-'უმარის დროს საქართველო დაკავშირებული იყო ილხანთა ირანის მბრძანებლის აბუ საიდის ძლევამოსილი ვაზირის — ჩობანის მეგობრობისა და კეთილი დამოკიდებულების გამო საქართველოს მეფესთან. ილხანთა ირანთან დაკავშირებული საქართველო, როგორც ითქვა, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენდა ეგვიპტისათვის. ამიტომ ეგვიპტის სულტნების დიპლომატიური ნაბიჯი გამართლებული იყო. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს კანცელარიიდან საქართველოს მეფისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებში გამოიყენება მაღალფარდოვანი ეპითეტები მის განსადიდებლად. ამ პერიოდში მიმოწერის ფორმა და სტილი უმაღლესი და უდიადესი იყო. როგორც ა. პოლიაკი მიუთითებს: „კაიროში ფიქრობდნენ, რომ საქართველომ შეძლო მაშინ მოეპოვებინა ასეთი მდგომარეობა, მიუხედავად ძლიერი მონღოლური გარნიზონის (10000 მხედარი) მეზობლობისა"[107]. ამასთანავე, როგორც ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, „როდესაც მოისპო თათრების სახელმწიფო ირანში და დაეცა მათი ძლიერება, ეგვიპტის სულტნის ქართველთა მეფესთან არსებული მიმოწერის ხარისხი დაქვეითდა"[108]. არაბულ ეპისტოლოგრაფიაში ფრიად განსწავლული ალ-კალკაშანდის ამ განცხადებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

---

106 ალ-კალკაშანდი, VIII, გვ. 28.

107 А. Н. Поляк, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

108 ალ-კალკაშანდი, VIII, გვ. 28; გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, გვ. 81.

მითითებულ აბხასს, ასეთი ქალაქი არ გვეგულება. აქ უნდა იგულისხმებოდეს აფხაზეთის ის ტერიტორია, რომელიც დადიანებმა დაიპყრეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალ-მუჰიბბის მიერ მოხსენიებული დადიანი, რომელთანაც ეგვიპტის სულტნები აწარმოებდნენ მიმოწერას, არის გიორგი დადიანი (1345—1384). ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს მისი ტიტული „მალიქი" (ملك), რაც არაბულად ნიშნავს როგორც მეფეს, ასევე მთავარს[104].

აქედან გამომდინარე, ალ-მუჰიბბის მიერ მოხსენიებული მიმოწერის წესი საქართველოს მეფე-მთავრებთან 1346—1360 წლებზე მოდის და არ სცილდება XIV ს. 80-იან წლებს, რადგან ალ-მუჰიბბი 1384 წელს გარდაიცვალა. მიმოწერის ეს წესი თავისი ტონითა და ხარისხით მნიშვნელოვნად დაბალია ალ-'უმარისთან შედარებით. ალ-მუჰიბბისთან ვკითხულობთ: „მაღალი ალლაჰი დღეგრძელ ჰყოფს მის მეფურ უდიდებულესობას, დიადს, დიდებულს, მამაცს, რაინდს, წმინდანს, მორწმუნეს, მავანს, ქრისტიანული სარწმუნოების დიდებას, ჯვრის რელიგიური საზოგადოების განძს, ქრისტიანობის სიამაყეს, აბხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა მეფეს, მეფეთა და სულტანთა მეგობარს" (იხ. თარგმანი).

ალ-მუჰიბბის აღნიშნული ადგილი შემდგომ სიტყვასიტყვით შეიტანა თავის ენციკლოპედიაში ალ-კალკაშანდიმ. უკვე ალ-კალკაშანდის ამ ცნობაში ვ. პოლიაკი „თბილისის მეფეთა" ძალაუფლების დასუსტების გამოხატულებას ხედავს: „კაიროდან აწარმოებდნენ მიმოწერას როგორც „თბილისის" მეფეებთან, ასევე ქალაქების „სუხუმისა და აბხასის" მმართველებთან. ერთსაც და მეორესაც უწოდებდნენ საქართველოს მეფეებს"[105].

როგორც ალ-მუჰიბბი აღნიშნავს, უკვე ალ-'უმარიმ აღნიშნა ცვლილებები მიმოწერის წესში და მისი გამეორება არ სცნო საჭიროდ. სამწუხაროდ, ალ-'უმარის თხზულების დღემდე არსებულ ერთადერთ გამოცემაში მითითება მათ შესახებ არა გვაქვს. ალ-მუჰიბბის მიხედვით,

---

104 უფრო გვიანდელ ხანაში, XV ს. შუა წლებში, ქართულ წერილობით წყაროებში დადიანები მეფედაც კი იწოდებიან. მაგ., 1459 წელს გიორგი მეფის მიერ ბურგუნდიის დუკთან გაგზავნილ წერილში იხსენიება „სამეგრელოს მეფე ბენდია" (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ეკ. 59); იხ. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

105 А. Н. Поляк, Новые арабские материалы позднего средневековья о Восточной и Центральной Европе, Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, М., с. 53.

ქმნეს ხელსაყრელი ნიადაგი ერისთავებს მთავრებად გახდომისათვის[99].

XIV ს. 20-იან წლებში გიორგი დადიანმა ისარგებლა დაეით ნარინის მემკვიდრეებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით, „მიიტაცა საერისთაო ცხომისაცა და დაიპყრა თჳთ სრულიად ოდიში ანაკოფიამდე“[100]. ო. სოსელიას დასკვნით, XIV ს. 20-იან წლებში ვიორგი დადიანი ერთბაშად მთავრის თითქმის ყველა ნიშნით გეველინება[101]. მცირე ხნით (1323—1327 წლებში) მეფისაგან სრული დამოუკიდებულობა მოიპოვა გიორგის ძემ მამია დადიანმა და აღიჭურვა მთავრის ყველა ატრიბუტით. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობა ხანგრძლივი არ იყო, დადიანმა მისი წინაპრებისათვის სამშართველოდ რწმუნებული ქვეყანა მემკვიდრეობით დაიჩემა და მისი გადაყენება ამიერიდან მეფეებს აღარ შეეძლოთ..

სებასტოპოლის (ცხუმის) კათოლიკეთა ეპისკოპოსის — პეტრე გერალდის 1330 წლის წერილში კენტერბერის არქიეპისკოპოსის და ინგლისის სხვა ეპისკოპოსებისადმი აღნიშნულია, რომ „ამ მხარის მბრძანებელი (უნდა ვიგულისხმოთ მამია დადიანი — 1323—1345) მთელი საქართველოს მხედართმთავარიც ყოფილა („qui est princeps militiae in tota Georgiania“). ჩანს, მამია დადიანს ამირსპასალარობა მიანიჭა საქართველოს მეფემ — გიორგი V, რომელიც, ვახუშტის მიხედვით, სწორედ ამ დროს გადავიდა დასავლეთ საქართველოში[102].

დადიანების ბრძოლა საქართველოს მეფეებთან დამოუკიდებლობისათვის 1327 წლიდან XVI ს. შუა წლებამდე გაგრძელდა და საბოლოოდ გამარჯვება დადიანებს დარჩათ. გიორგი ბრწყინვალისა და დავით IX-ის დროს დადიანად დასმის აქტი, მართალია ფორმალურად, მეფის სანქციით ხდებოდა, მაგრამ დადიანობის „წართმევა და ცვალობა“ მეფეს არ შეეძლო[103].

ალ-მუჰიბბის ცნობაში სწორედ დადიანების გაძლიერება და სამეგრელოს სამთავროს ჩამოყალიბების ფაქტი აისახა, რაც XIV საუკუნის 20-იან წლებამდე (მით უმეტეს დავით VIII-ის დროს) არ იყო ყველა ნიშნით აშკარად გამოხატული.

ვახუშტის თანახმად, დადიანები ფლობენ ქ. ცხომს — სუხუმს, რომელსაც ალ-მუჰიბბიც ასახელებს; რაც შეეხება ალ-მუჰიბბის მიერ

---

99 ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, საქართველოს მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, II, თბ., 1951, გვ. 175.

100 ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 801.

101 ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

102 ვ. კიკნაძე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, მნათობი, № 9, 1982, გვ. 158.

103 ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

აღნიშნული ცნობა გაძლევს იმის საშუალებას მივუთითოთ, რომ XIV საუკუნის 30-იან წლებამდე მამლუქთა ეგვიპტესა და საქართველოს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობა საერთაშორისო ვითარებით იყო განპირობებული. სრულიად საკმარისი იყო ილხანთა ირანის, ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფოს, მთლიანობის მოსპობა, რომ საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობაში გარკვეული ცვლილებები მომხდარიყო. ა. პოლიაკი ალ-ყალყაშანდის ცნობების საფუძველზე აღნიშნავს: „ჰულაგუიანთა სახელმწიფოს დაცემამ კაიროს სასულტნოს საზღვრებთან ქართველთა ლაშქრის გამოჩენის საფრთხე განარიდა და შეამცირა კაიროში ამიერკავკასიისადმი ინტერესი"[109].

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ XIV ს. 20-იანი წლებისათვის თვით ილხანთა ირანსა და მამლუქთა ეგვიპტეს შორის ურთიერთობა ძირფესვიანად შეიცვალა. ილხანმა აბუ-საიდმა დაიწყო მოლაპარაკება ეგვიპტის მამლუქ სულტან ან-ნასირ მუჰამადთან და 1323 წ. ჰულაგუიანთა სახელმწიფოსა და ეგვიპტეს შორის დაიდო სამშვიდობო ზავი. აღნიშნული მომენტი ბევრ არაბ ისტორიკოსს აქვს ფიქსირებული. იბნ ად-დავადარის თანახმად, 723/1323 წწ. ეგვიპტის სულტანს ეწვია აბუ საიდის დესპანი, რომელმაც ითხოვა ზავი[110]. მონღოლებსა და ეგვიპტეს შორის დაიდო ზავი, რომლის მეშვეობითაც მრავალი წლის მანძილზე დამყარდა სიწყნარე ამ ორ სახელმწიფოს შორის. ზავის დადებაში დიდი როლი უთამაშია ჩობანს[111], აბუ საიდი და ნასირ მუჰამადი ერთმანეთს დესპანებს უგზავნიან.

აღსანიშნავია, რომ 1335 წ. ილხანთა ირანის სახელმწიფოს დაშლასთან ერთად მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაქვეითება გიორგი ბრწყინვალეს მეფობის მეორე პერიოდში. 1335 წლიდან ასეთი დაქვეითება, პროფ. ვ. გაბაშვილის აზრით, უდავოა[112].

ამრიგად, ეგვიპტე-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში გარკვეული ცვლილებები უნდა მომხდარიყო მხოლოდ XIV ს. 30-იანი წლების შემდგომ. ეს ცვლილებები აისახა მიმოწერის ფორმებში. მიმოწერის ამაღლებული ტონი, როგორც ვნახეთ, ალ-მუჰიბბისთან მნიშვნელოვნად იცვლება. ეს მოხდა გიორგი ბრწყინვალეს უშუალო მეშვეობის დაქვეითების დროს.

---

[109] А. Н. Поляк, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[110] იბნ ად-დავადარი, IX, გვ. 313.

[111] იქვე.

[112] ვ. გაბაშვილი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხასგრძლივობის საკითხისათვის, აღმოსავლური კრებული, თბ., 1960, გვ. 142.

შაგრამ ამასთან ერთად, XIV—XV სს. მანძილზე მამლუქთა ბატონობის ხანაში ქართველები სირია-პალესტინაში ინარჩუნებენ თავიანთ ეკლესია-მონასტრებს და გარკვეულ პრივილეგიებს. ეს ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოს პრესტიჟი ეგვიპტის მმართველ წრეებში მაინც მაღალი იყო და ეგვიპტის მამლუქები საქართველოსთან მეგობრული დამოკიდებულების შენარჩუნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ალ-ʿუმარის ცნობები საქართველოს შესახებ

ქართველთა სამეფო

(თარგმანი)

ქართველთა ქვეყნის დედაქალაქია თბილისი[1]. ეს ქვეყანა მდებარეობს მოხსენიებულ არ-რუმსა და არმენიას შორის. იგი დიდი ქვეყანა და სახელგანთქმული სახელმწიფოა. ის თითქოს გამოყოფილია ამ ორი (რუმი, არმენია) ქვეყნისაგან. მას ჰყავს მეფე და მეფობა იქ მუდმივია. მასზე ბატონობს ირანის სამეფოს ჰულაგუიანთა სახლის სულტანი, რომლის ფირმანები მოდის (საქართველოში), მაგრამ მისი [სულტნის ფირმანების] ნიაღვარი ნაპირებს არ ღეკავს[2] და არ დაძრწიან ამ ქვეყნის სანახებში მისი მხედრები გაჩაღებული ომის გამო. შას (სულტანს) იქ ჰყავს მხოლოდ ერთი დუმანი ლაშქარი[3], რომელსაც იყენებს ამ (ქვეყნის) საზღვრების დასაცავად და მის საქმეთა სამართავად. მათი (ქართველების) მიწაწყალი ვრცელია, მის სანახებში ბინადარი მოსახლეობაა და [არიან] მომთაბარენიც, რომლებიც გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე.

უკანასკნელი, რომელსაც ჰქონდა ამ ქვეყანაში სახელი და რომელსაც პატივისცემის გამო მიეტევა დაცემა[4], იყო შაჰი მაჰმუდი ძე ჯუბანისა (ჩობანი — დ. გ.). იგი იყო მამაცი ადამიანი, მოუხელთებელი და მკაცრი[5] [მტრებისათვის]. როდესაც მამამისს შეემთხვა უბედურება, იგი მფარველობას ეძებდა სულტან უზბეკ-ხანის კარზე, მაგრამ არ დასცალდა, არ გაეხსნა განსაცდელის რგოლები[6] და ეწია აღსასრული, რომლის უკუგდება ვერ შეძლო.

[რაც შეეხება] ქართველთა ლაშქარს, იგი მტკიცედ დგას ჯვრის სარწმუნოებაზე და გულადი და მამაცი ხალხია. მუსლიმები მათ უწოდებენ „ალ-ქურდ"[7], ქრისტიანები კი — „ალ-ქურჯ". ისინი ჰულაგუიანთა ლაშქრის ძალასა და სიმდიდრეს წარმოადგენენ, ხოლო [ჰულაგუიანები] ენდობიან მათ და ეყრდნობიან, განსაკუთრებით ჯუბანის შვილები, შვილთაშვილები და სხვა შთამომავალნი ქართველებისადმი ჯუბანის წარსული სიკეთისა და ქველი საქმეების გამო, რომელიც იყო მათი მეფის ბარტილმას გულწრფელი მეგობარი, ნერგავდა მასთან სიკეთეს და მოუწოდებდა დაეცვა (მინდობილი) საგანძური.

იგი (ჯუბანი) იყო მისთვის ყველაზე საყვარელი რჩეულთა შორის და ყველაზე გულწრფელი გულწრფელ მეგობართა შორის. მოუხმობდა (მეფე) მას (ჯუბანს) მნიშვნელოვანი ამბის დროს და სთხოვდა დახმარებას გაჭირვების ჟამს. მიიჩნევდა მას თავისი ლაშქრის საყრდენად და უბედურების განმშორებლად. ბარტილმა, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა[8], ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის და უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის.

მან დაიწყო მიმოწერა სულტნის მაღალ კართან ჯვრის მონასტრის გამო, რათა აეღოთ მასზე დამპყრობლური ხელი, (რის შედეგადაც) გამოიცა სულტნის ფირმანები (ქართველებისათვის) მისი დაბრუნების შესახებ. (ადრე) ეს მონასტერი წაართვეს (ქართველებს) და გადააკეთეს მეჩეთად. იგი მღებარეობს დიდებული იერუსალიმის ეკარგლებს გარეთ. (მონასტრის ქრისტიანებისათვის დაბრუნება) ემძიმათ ულემებსა და ღვთისმოშიშებს, თუმცა (მონასტრის დაბრუნება) ტყუილუბრალოდ არ მომხდარა. არ იშურებდა (ქართველთა მეფე) მისთვის (ჯუბანისათვის) მის (სულტნის) წინააღმდეგ ძველსა და ახალ ქონებას და ამბობენ, რომ აქეზებდა ჯუბანს (ამ) ქვეყნის წინააღმდეგ[9].

(საქართველოს მეფესთან) მიმოწერის წესი[10]

მაღალი ალაჰი ხანგრძლივს ეოფს ბრწინვალებას მისი მეჯური უდიდებულესობისა, დიდებულისა[11], გულადისა[12], მამაცის[13], ლომისა[14], მეთაურისა[15], მრავალგზის თავდამსხმელისა[16], ლომგულისა[17], ტახტის მპყრობელისა[18], გვირგვინოსნისა[19], თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა[20], თავის სამწყოს მიმართ სამართლიანისა[21], საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა[22], ქართველთა სულტნისა[23], ზღვებისა და სრუტეების სამეფოს განძისა[24], რაინდთა სამეფოს დამცველისა, ტახტ-გვირგვინოსანთა შთამომავლისა[25], რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის განმამტკიცებლისა[26], ქრისტიანობის შემწისა[27], საქრისტიანოს გმირთა მესიისა[28], თავისი განხრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა[29], ნათლისღებულთა ბურჯისა[30], რომის პაპის შემწისა[31], მუსლიმთა ერთგული მეგობრისა[32], ძლიერ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა[33], მეფეთა და სულტანთა მეგობრისა[34].

[ზოგჯერ] ითქმის მუსლიმთა გულწრფელად მოყვარული, მეფეთა და სულტანთა სწორი.

მისი (ქართველთა მეფის) შესაფერისი დალოცვა:

დაე, დაიცვას (ქართველთა მეფემ) სამეფო თვისი სიყვარულით და არა ლაშქრით, აღთქმის შესრულებით და არა სპითა და ალმის ფრიალით, იმ კეთილი თვისებებით ჩვენში რომ არის და არა იმ (თვისებებით) თავისად რომ მიაჩნია, ჩვენი გამჭრიახი განსჯით და არა იმით რომ ცეცხლს ანთებდეს თავისი კვესით.

ალ-მუჰიბბის ცნობები საქართველოს შესახებ[36]

(თარგმანი)

ქართველებს ჰყავთ ორი მეფე — დავით მეფე[37], რომელიც თბილისს განაგებს, და დადიმანი[38] — მეფე, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბხასს[39]. ყოველ მათგანთა მიმოწერის წესი ნახევარ ფურცელზეა.

მაღალი ალლაჰი დღეგრძელ ჰყოფს მის მეფურ უდიდებულესობას, დიადს, დიდებულს[40], მამაცს, რაინდს, წმინდანს[41], მორწმუნეს[42], მავანს, ქრისტიანული სარწმუნოების დიდებას, ჯვრის რელიგიური საზოგადოების განძს, ქრისტიანობის სიამაყეს[43], აბხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა[44] მეფეს, მეფეთა და სულტანთა მეგობარს. [ყოველ მათგანს] ეწოდება ქართველთა მეფე.

აღნიშნა აწ განსვენებულმა ყადიმ შიჰაბ ად-დინმა მიმოწერაში მომხდარი ცვლილებები, რომელთა გამეორება აქ არ არის საჭირო, რადგანაც რაც მე აღვნიშნე დარჩენილია მტკიცედ მიმოწერაში უკანასკნელ დრომდე.

ალ-კალკაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ

(თარგმანი)

აღმოსავლეთის მხარის ურწმუნო მეფეებთან მიმოწერის შესახებ. სულ ორი სახელმწიფოს[45] ქრისტიან მეფეებს ეგზავნებათ წერილები ამ [ეგვიპტის] სახელმწიფოდან.

პირველია მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველების ქვეყანა. აღინიშნა „ათ-თა'რიჰში", რომ მუსლიმები მას უწოდებენ „ალ-ქურდ", ქრისტიანები — „ალ-ქურჯ". „ათ-თა'რიჰ"-ში ნათქვამია აგრეთვე, რომ ეს ქვეყანა მდებარეობს რუმისა და არმენიის ქვეყნებს შორის. იგი დიდი ქვეყანაა და სახელგანთქმული სახელმწიფოა. ის თითქოს გამოყოფილია ამ ორი [რუმი, არმენია] ქვეყნისაგან. მას ჰყავს მეფე და მეფობა იქ მუდმივია. მისი დედაქალაქია თბილისი. მართავს მას ირანის სამეფოს ჰულაგუიანთა მოდგმის სულტანი, რომლის ფირმანები მოდის [საქართველოში], მაგრამ მისი ნაღვაწი ნაპირებს არ ლეკავს და არ დაძრწიან ამ ქვეყნის სანახებში მისი მხედრები გაჩაღებული ომის გამო. მას (სულტანს) იქ ჰყავს მხოლოდ ერთი დუმანი ლაშქარი, რომელსაც იყენებს ამ [ქვეყნის] საზღვრების დასაცავად და მის საქმეთა სამართავად. მათი (ქართველების) მიწა-წყალი ვრცელია, მის დაბლობებში ხალხი ბინადარი და მომთაბარეა, რომელიც გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე.

უკანასკნელი, ვისაც ჰქონდა ამ ქვეყანაში სახელი და რომელსაც პატივისცემის გამო მიეტევა დაცემა, იყო შეიხი მაჰმუდი ძე ჯუბანისა. იგი იყო მამაცი ადამიანი, მოუხელთებელი და მკაცრი [მტრებისათვის]. როდესაც მამამისს შეემთხვა უბედურება, იგი მფარველობას ეძებდა სულტან უზბეკ-ხანის კარზე, მაგრამ არ დასცალდა, არ გაეხსნა განსაცდელის რგოლები და ეწია აღსახრული, რომლის უკუგდება ვერ შეძლო.

შემდეგ აღინიშნა [„ათ-თა'რიჰში"]: ქართველთა ლაშქარი მტკიცედ დგას ჯვრის სარწმუნოებაზე, გულადი და მამაცი ხალხია, ისინი ჰულაგუიანთა ლაშქრის საიმედო ძალას და სიმდიდრეს წარმოადგენენ. ხოლო [ჰულაგუიანები] ენდობიან მათ და ეყრდნობიან, განსაკუთრებით ჯუბანის შვილები, შვილთაშვილები და სხვა შთამომავალნი, ქართველებისადმი ჯუბანის წარსული სიკეთისა და ქველი საქ-

მეების გამო. ის იყო მათი მეფის ბარტელმას გულწრფელი მეგობარი, ნერგავდა მასთან სიკეთეს და მოუწოდებდა დაეცვა (მინდობილი) საგანძური. იგი (ჯუბანი იყო მისთვის ყველაზე საყვარელი რჩეულთა შორის და ყველაზე გულწრფელი გულწრფელ მეგობართა შორის. მოუხმობდა [მეფე] მას (ჯუბანს) მნიშვნელოვანი ამბის დროს და სთხოვდა დახმარებას გაჭირვების ჟამს. მიიჩნევდა მას თავისი ლაშქრის საყრდენად და უბედურების განმშორებლად.

ამის შემდეგ [ალ-'უმარიმ] დაურთო, რომ ზემოხსენებული ბარტილმა, რომელიც ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის. მან დაიწყო მიმოწერა [ეგვიპტის] სულტნის მაღალ კართან, ჯვრის მონასტრის გამო, რათა აეღოთ მასზე დამპყრობლური ხელი, (რის შედეგადაც) გამოიცა მბრძანებლის ფირმანები [ქართველებისათვის] მისი დაბრუნების შესახებ. [ადრე] ეს მონასტერი, რომელიც მდებარეობს დიდებული იერუსალიმის ფარგლებს გარეთ, წაართვეს ქართველებს და გადააკეთეს იგი მეჩეთად. მონასტრის ქრისტიანებისათვის დაბრუნება ძძიმე იყო ულემებისა და ღვთის მოშიში ხალხისათვის, თუმცა [მონასტრის დაბრუნება] უმიზნოდ არ მომხდარა. ითქვა, რომ იგი (ქართველთა მეფე) აქეზებდა ჯუბანს (ამ) ქვეყნის წინააღმდეგ და არ იშურებდა მისთვის (ჯუბანისათვის) მის (სულტნის) წინააღმდეგ ძველსა და ახალ ჭონებას.

[ალ-'უმარიმ] აღნიშნა, [ეგვიპტის სულტნებსა და საქართველოს მეფეებს] შორის მიმოწერის [შემდეგი ნიმუში]:

„დიდებულმა აღლაჰმა დღეგრძელ ჰყოს ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, დიდებულისა, რაინდისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა. თავის საჭურჭლის მიმართ სამართლიანისა, საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვებისა და სრუტეების სამფლობელოთა განძისა, რაინდთა საწყობის დამცველისა, წინაპართა ტახტ-გვირგვინების მემკვიდრისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ბერძნების შთამომავლისა[16] სიროელ მეფეთა რჩეულისა[17], ტახტ-გვირგვინოსანთა შთამომავლებს შორის რჩეულისა[18], კრისტიანობის განმამტკიცებლისა, იესოს სარწმუნოების შემწისა, საქრისტიანოს გმირთა მკურთხეველისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა, ნათლისღებულთა ბურჯისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე ძლიერისა, მეფეთა და სულტანთა მეგობრისა.

მისი (ქართველთა მეფის) შესაფერისი დალოცვა[19], რომელიც გადმოსცა „ათ-თა'რიჴ"-ში (ალ-'უმარიმ).

დაე, დაიცვას (ქართველთა მეფემ) სამეფო თვისი საიკარულით და არა ლაშქრით, აღთქმის შესრულებით და არა სპითა და ალმის ფრიალით, იმ კეთილი თვისებებით ჩვენში რომ არის და არა იმ

(თვისებებით) თავისად რომ მიაჩნია, ჩვენი გამჭრიახი განსჯით და არა იმით, რომ ცეცხლს ანთებდეს თავისი კვესით. ზოგჯერ ითქმის „მუსლიმთა გულწრფელად მოყვარული“, ნაცვლად „მუსლიმთა ერთგული მეგობრისა“.

რაც შეეხება „ათ-თასკირ̌ს“, იქ აღნიშნულია, რომ ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია ზემოხსენებული თბილისის გამგებელი და აღნიშნა [ალ-მუჰიბბირ̌], რომ მისი სახელი იყო მაშინ „დავითი“, მეორე „სუხუმისა და აბხასის გამგებელი“. ეს არის ყირიმის ზღვის სამხრეთით მდებარე ორი ქალაქი, როგორც აღინიშნა ზემოთ „ჩრდილოეთის მხარის გზებისა და სახელმწიფოების“ თავში. მაშინ მის გამგებელს ეწოდებოდა დადიანი. აღნიშნა [ალ-მუჰიბბირ̌], რომ ყოველ მათგანთა მიმოწერის წესი ნახევარ ფურცელზეა: „მაღალი ალლაჰიმც დღეგრძელ ჰყოფს არსებობას მისი მეფური უდიდებულესობისა, დიადისა, კეთილშობილისა, მამაცისა, რაინდისა, წმინდანისა, აღსავსისა მადლითა. მავანისა, ქრისტიანული სარწმუნოების დიდებისა, ჯვრის რელიგიური საზოგადოების განძისა, ქრისტიანობის სიამაყისა, აბხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა მეფისა[50], მეფეთა და სულთანთა მეგობრისა. ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე.

შემდეგ მიუთითა [ალ-მუჰიბბირ̌]: კიდეც აღნიშნა აწ განსვენებულმა ყადიმ შიჰაბ ად-დინ იბნ ფადლ ალლაჰმა მიმოწერაში მომხდარი ცვლილებები, რომელთა გამეორება არ არის საჭირო, რადგან რაც მე აღვნიშნე, შემორჩენილია მტკიცედ მიმოწერაში უკანასკნელ დრომდე.

მე (ალ-კალკაშანდ̌ი)[51] ვამბობ ამას იმიტომ, რომ უბრწყინვალეს შიჰაბ იბნ ფადლ ალლაჰის დროს ის (საქართველოს მეფე) იყო დაცული თათრების კეთილი განწყობილებისა და [ქართველების] ჯუბანისადმი მიმხრობის გამო, როგორც ეს ითქვა ზემოთ. [ეგვიპტის სულტანის საქართველოს მეფესთან] მიმოწერა მაშინ იყო უმაღლესი და უდიადესი[52].

ხოლო როდესაც მოისპო თათრების სახელმწიფო ირანში და ჩაქრა მათი სიმტკიცე, დაქვეითდა საქართველოს მეფესთან არსებული მიმოწერის ხარისხი. „გზებში და სახელმწიფოებში“ ქალაქ თბილისზე თხრობის დროს კიდეც აღინიშნა, რომ ის ეკუთვნის არარანის იქლიმს და რომ დაიპყრეს ის მუსლიმებმა, შემდეგ კვლავ სძლიეს მათ ქართველებმა და დაეუფლნენ მას. მის პატრონს უწოდებენ თბილისის მფლობელს, ისევე როგორც სომხეთის სისის გამგებელს სისის მფლობელს, ხოლო კვიპროსის გამგებელს — კვიპროსის მფლობელს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. თბილისი მოხსენიებულია აგრეთვე ალ-კალკაშანდის ენციკლოპედიის გეოგრაფიულ ნაწილში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილი ძირითადად კომპილაციურია. მასში თავმოყრილია ცნობები, რომლებიც ამოკრებილია წინარე ხანის არაბი ავტორების თხზულებებიდან. ესენია მაგალითად: X ს. I ნახევრის არაბი ისტორიკოსის აბუ ლ-კასიმ იბნ ჰაუკალის „ქითაბ ალ-მასალიქ ვა-ლ-მამალიქ („წიგნი გზებისა და სახელმწიფოების შესახებ"), აბუ რ-რაჰან ალ-ბირუნის (973—1048) თხზულება, რომელიც ცნობილია „ალ-კანუნ ალ-მას'უდის („მას'უდის კანონი") სახელწოდებით იბნ სა'იდ ალ-მაღრიბის (1214—1286) „ქითაბ ჯუღრაფიდა ფი-ლ-აჯლიმი ს-საბ'ა" („გეოგრაფიული წიგნი შვიდი სარტყლის შესახებ"), აბუ ლ-ფიდა'ს (1273—1336) „თაკვიმ ალ-ბულდან" („გეოგრაფიული ცნობარი") და სხვ. საინტერესოა ალ-კალკაშანდის მითითება იმის შესახებ, რომ თბილისი „ჩვენს დრომდე (ე. ი. ალ-კალკაშანდის დრომდე — XIV ს. ბოლო და XV ს. დასაწყისი) ქართველებს უპყრიათ, ეგვიპტის სულტანს აქვს მიმოწერა მის გამგებელთან — საქართველოს მეფესთან" (ალ-კალკაშანდი, IV, გვ. 361—362).

2. მოცემული კონტექსტი შეიძლება ასეც გადაითარგმნოს: მისი [სულტნის ფირმანების] ნაკადი (მდინარება) ნიაღვარივით არ მოდის [საზღვრებს არ ლეკავს, არ გადადის]. როგორც ჩანს, სამართლიანად შენიშნავს ვ. ტიზენჰაუზენის ნაშრომის რედაქტორი ე. როზენი: „эти метафоры значат просто, что султан не принимает никаких мер крутых против Грузии. Его указы доставляются в Грузию — и только" В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 211. იგულისხმება, რომ საქართველოს ურთიერთობა ირანთან დროის ამ კონკრეტულ მონაკვეთში ისეთია, რომ ილხანთა ირანის გამგებლის ფირმანები არ იწვევენ რაიმე არასასურველს საქართველოსათვის.

3. ტექსტშია تومان ათასი, რაშიც იგულისხმება ათი ათასი ქაღალდისაგან შედგენილი ლაშქარი. ქართულ ისტორიულ წყაროებში დადასტურებულია დუმანი. „ცხრა დუმანი მჯედარი... რომელ არს ცხრა ბევრი"; „ბევრისა მთავარი, რომელსა დუმნის თავად უწოდეს". იხ. ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 235 და 207. საქართველოს დუმნებად დაყოფის შესახებ იხ. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან, ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 89—100.

4. ალ-'უმარის ტექსტში ეს წინადადება ასეთი სახით არის წარმოდგენილი: صرعة الهيبة في اقبات რასაც ჩვენ ასე ვთარგმნით: „პატივისცემის გამო მიეტევა დაცემა". ვ. ტიზენჰაუზენი მას შემდეგნაირად თარგმნის: „гибель которого случилось там", В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 211. ვ. ტ ი ზ ე ნ ჰ ა უ ზ ე ნ ი ს გამოცემაში ნაცვლად ზმნისა اقبات (ვნებითი გვარი ზმნისა اقبا IV თემაში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: პატივი, მიტევება, იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 207), წერია: اقبات, ხოლო თარგმანში ასეთი სახითაა: „гибель кото-

рого случилось там"..., В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 211. ალ-'უმარისა და ალ-კალკაშანდის თხზულებების გამოცემებში შესაბამის ადგილზე გვაქვს أقيل ასევეა გ. წერეთლის 1949 წელს გამოცემულ „არაბულ ქრესტომათიაში" გამოქვეყნებულ ალ-კალკაშანდის ტექსტშიც, (იხ.. გვ. 77). ამ ქრესტომათიის ახალ 1975 წლის გამოცემაში კი რატომღაც შეცვლილია და წერია أقبل

5. ტექსტშია كان رجل مر المذاق „был... человек, горький на вкус"— ეწერს ვ. ტიზენჰაუზენი ალ-კალკაშანდის შესაბამისი კონტექსტის თარგმანში, სქოლიოში კი მიუთითებს: „т. е. опасный для своих врагов", В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 211. ვ. ტიზენჰაუზენი სწორია, არაბულიდან სიტყვასიტყვით ეს ადგილი შეიძლება სწორედ ასე ითარგმნოს. მას, ჩვენი აზრით, უთუოდ გადატანითი მნიშვნელობა აქვს. ამის გამო ჩვენ თარგმანში ვწერთ, რომ იგი იყო „მკაცრი (მტრებისათვის)".

6. ალ-'უმარის ტექსტშია ზმნა انفرجت ასევეა ალ-კალკაშანდისთანაც. ვ. ტიზენჰაუზენი აღნიშნავს, რომ მის მიერ გამოცემულ ალ-კალკაშანდის ტექსტში არის تفرجت, თუმცა „თა'რიხის" ლეიდენისა და ლონდონის ნუსხებში არის „ინფარაჯათ". როგორც ვ. ტიზენჰაუზენის ნაშრომის რედაქტორი შენიშნავს, ორივე ვარიანტი კარგია და შესაბამისად კონტექსტი: لا انفرجت و لا حلق شدّة შეიძლება გადაითარგმნოს: „не раздвинулись кольца беды [охватившие его]" В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 211.

7. ალ-'უმარისა და მისგან გამომდინარე ალ-კალკაშანდის თხზულებებში „ალ-ქურდ". كرد شر. اكراد ჩვეულებრივ ქურთს ნიშნავს. ამ შემთხვევაში როგორც ვხედავთ, „ალ-ქურდ" „ალ-ქურჯ"-ის სინონიმია. შდრ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 212.

8. ვ. ტიზენჰაუზენის მიერ მოხმობილ ალ-კალკაშანდის ტექსტში ეს წინადადება ასეთი სახით არის წარმოდგენილი: برطلما المذكور عبد لي منّي به يرزق — იგი ასე თარგმნის ამ წინადადებას: „Барталему этого я помню, когда ему посылались подарки", ხოლო სქოლიოში მიუთითებს: „я невполне уверен в правильности перевода этих слов", В. Г. Тизенгаузен, Заметка..., არაბული ტექსტი, გვ. 209, თარგმანი, გვ. 212. ავტორის ეჭვი საუსებით გამართლებულია. მას ტექსტში დაშვებული აქვს შეცდომა, რამაც არასწორი თარგმანი გამოიწვია. როგორც ალ-'უმარის, ასევე მისგან გამომდინარე ალ-კალკაშანდის (იხ. ალ-კალკაშანდი, VIII, გვ. 28, აგრეთვე გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, გვ. 78) ეს წინადადება ასეთი სახით აქვთ: برطلما عبد لي حيّ به يرزق რაც, ალბათ, ასე უნდა გადაითარგმნოს: „ბარტილმას (რამდენადაც მე მას) ეიცნობ, ცოცხალია, კარგადაა".

9. ალ-'უმარის ამ ფრაზაში შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ქართველთა მეფე შოუწოდებდა ჩობანს ეგვიპტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვ. ტიზენჰაუზენს მიაჩნია, რომ „он [царь грузинский] побуждал Джубана к завладению странами [грузинскими], В. Г. Тизенгаузен, Заметка... გვ. 213. ამ თარგმანში საუსებით მართებულად შეიტანა ეჭვი ვ. როზენმა: „мне кажется, что это место значит только, что царь побуждал Джубана вообще к завоевательной поли-

тикс"... იქვე. ე. როზენის აზრით, ეს გამოთქმა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გიორგი ბრწყინვალე არწმუნებდა ჯუბანს პალესტინა წაართმია მამლუქებისათვის, შდრ. D. M. Lang, Glorgia in the reign of Giorgi the Brillant, გვ. 78. შესაძლებელია, საქართველოს მეფე აქეზებდა ჩობანს მამლუქთა ეგვიპტის წინააღმდეგ სალაშქროდ წმინდა ადგილების განთავისუფლების მიზნით.

10. როგორც აღინიშნა, ალ-'უმარი და ალ-კალკაშანდი სახელმწიფო კანცელარიას — „დივან-ალ-ინშა'ს" განაგებდნენ, ამიტომ მათ თხზულებებში მოცემულ ცნობებს გარკვეულწილად კანცელარიის მოხელეთა სახელმძღვანელოს როლიც ენიჭებათ. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მათ ქრონოლოგიათა აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებთან მიმოწერის ნიმუშებ- და ის ტიტულატურა, რომელიც მამლუქთა ეგვიპტის სამეფო კარზე შემუშავებული დიპლომატიური ეტიკეტით შეეფერებოდა ამა თუ იმ კონკრეტულ მმართველს და სახელმწიფო მოღვაწეს. ალ-'უმარისა და ალ-კალკაშანდის თხზულებებში ძნელი უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ტიტულატურა დამადასტურებელია იმ დიდი ტრადიციისა, რომელიც აღნიშნული პერიოდის ეგვიპტის მამლუქი სულტნების კარზე არსებობდა. რაც შეეხება იმ ტიტულატურას, რომელიც საქართველოს მეფის მიმართ იყო გამოყენებული, თითქმის ყველა ახსნილი და განმარტებულია ალ-კალკაშანდის ენციკლოპედიის შესაბამის ქვეთავებში. უნდა აღინიშნოს, რომ ალ-კალკაშანდის ცალ-ცალკე აქვს განხილული ე. წ. განცალკევებული, ანუ მარტივი ტერმინები — ლაკაბები (الالقاب المفردة) და შედგენილი, ანუ რთული ლაკაბები (الالقاب المركبة) პირველ შემთხვევაში იგულისხმება ერთი, ცალკე მდგომი სიტყვით გამოხატული ლაკაბი, ხოლო მეორე შემთხვევაში — ორი ან რამდენიმე სიტყვით შედგენილი ლაკაბები. ალ-კალკაშანდისეული ტიტულატურის ახსნა-განმარტებების საერთო სათაურიდან ჩანს, რომ ის განკუთვნილია ურწმუნო მეფეებისათვის (ملوك الكفار) — იგულისხმება ქრისტიანი მეფეები (იხ. ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 78).

11. ტექსტშია الجليل რაც, ალ-კალკაშანდის მიხედვით, ნიშნავს დიდს, დიდებულს, წარჩინებულს. არაბი ენციკლოპედისტი აღნიშნავს, რომ გამოყენება მეფეებთან მიმოწერის დროს — „ალ-მალიქ ალ-ჯალილ" („დიდებული მეფე"). თუმცა, ალ-კალკაშანდი დასძენს, რომ ურწმუნოს განდიდება არ ეგების და უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ტერმინი, რომელიც ალლაჰის ეპითეტად არის გამოყენებული, ურწმუნო მეფეების მიმართ არ ყოფილიყო ნახმარი (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 80, შდრ. იქვე, გვ. 11).

12. ტექსტშია العالم ალ-კალკაშანდის მიხედვით, ეს არის ტიტული, რომელიც გამოიყენება მეფეებთან მიმოწერის დროს. იგი შემდეგ დასძენს, რომ როგორც სხვა მუსლიმურ ტიტულებზე საუბრის დროს იყო აღნიშნული, მისი მნიშვნელობა იგივეა, რაც ტიტულისა „აშ-შუჯა'", ე. ი. მამაცი, გულადი, მხნე (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 87). სხვა ადგილას ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ „ალ-ჰუმამ" არის „მახვილის ხალხთა" (არბაბ ას-სუიუჭ) ტიტული, (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 34). არაბ ენციკლოპედისტს იქვე ეს ტიტული ასეთი სახითაც აქვს ფიქსირებული — „ჰუმამ-დ-დაულა", რაც ნიშნავს „სახელმწიფოს რაინდს (გმირს)".

13. ტექსტშია اللباس ალ-კალკაშანდი ამ ტიტულს სპეციალურად არ განმარტავს. მისი ძირითადი მნიშვნელობებია: 1. მამაცი, ვაჟკაცური, გულადი, 2. ლომი.

14. ტექსტშია الضرغام ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს ტერმინი მეფეებთან მიმოწერაში გამოიყენება და ნიშნავს ლომს. მეფეებს „ლომს“ იმიტომ უწოდებენ, რომ გამოხატონ მათი სიმამაცე (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 81). იგი იქვე მიუთითებს, რომ ასეთივე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე „ალ-ასად“, რაც აგრეთვე ლომს ნიშნავს. არაბი ენციკლოპედისტი ამ ტერმინის განმარტებისას აღნიშნავს, რომ ისიც ადამიანის სიმამაცის გამოსახატავად იხმარება (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 79).

15. ტექსტშია الصَّمَدَع ალ-კალკაშანდი მიუთითებს, რომ ეს ტერმინი მეფეებთან მიმოწერაში გამოიყენებოდა. მისი მნიშვნელობის განმარტებისას აღნიშნავს, რომ ის არის ას-სააჲდის ეკვივალენტი. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს თავისი ხალხის მთავარს, წინამძღოლს (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 81). ჩვენ შეიძლება დაეუმატოთ, რომ ას-სააჲდის მნიშვნელობებია აგრეთვე: ბატონი, მეთაური, ხოლო ას-სამადი: 1. მეთაური, ბელადი, კეთილშობილი, გულადი, 2. ლომი (გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 100, 103).

16. ტექსტშია الكرّار ალ-კალკაშანდისთან ხაზი აქვს გასმული იმ ყარამოებას, რომ პირველი „რა“ აუცილებლად თეშდიდიანი (გაორმაგებული) უნდა იყოს. იგი შემდეგ აღნიშნავს, რომ ეს ტიტული გამოიყენებოდა მეფეთა მიმართ. ალ-ქარრარ ფორმა მიღებულია ფორმისაგან ალ-ქარ, რომლის ანტონიმი არის ალ-ფარ, (პირველი ნიშნავს დაბრუნებას, მეორედ თავდასხმას, ხოლო მეორე — ლტოლვას, გაქცევას) ალ-კალკაშანდის განმარტებით, „ალ-ქარრარ“ არის ის, კინც კვლავ და კვლავ ბრუნდება მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად და არ გაურბის მას (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 82). აღნიშნული ტერმინის ძირითადი მნიშვნელობებია: მრავალგზის თავდამსხმელი, მუდმივ თავდამსხმელი, დაუძინებელი მებრძოლი.

17. ტექსტშია الفضنفر 1. დიდი, მოხუცი ლომი, 2. გმირის აღმნიშვნელი ეპითეტი, ლომგული (გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 174). ალ-კალკაშანდის თანახმად, „ალ-ღადანფარ“-ი ლომის ერთ-ერთი სახელია. კანცელარიის მდივნები მას ამ შემთხვევაში იყენებენ, როცა ვინმეს შესახებ ამბობენ, რომ ის ლომივით მამაცია (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 82). აღსანიშნავია, რომ ამ განმარტების დროს ალ-კალკაშანდის ორი სინონიმი აქვს გამოყენებული ლომის აღსანიშნავად: ალ-ასად და ად-დირღამ.

18. ტექსტშია المتخت რაც ტახტის მფლობელს ნიშნავს. ალ-კალკაშანდის თანახმად, ის არის ტიტული, რომელიც მეფეთა მიმართ გამოიყენება. შეეფერება აგრეთვე იმათ, ვინც მეფის მსგავსად ფლობს ტახტს (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 82). აქ ალ-კალკაშანდის ნახმარი აქვს სიტყვა „ალ-მალიქ“, რაც, როგორც ცნობილია, აღნიშნავს როგორც მეფეს, ასევე მთავარს.

19. ტექსტშია المتوج ალ-ყალყაშანდის თანახმად, მეფეთა შესაფერისი ტიტულია. ის გამოიყენება მათ მიმართ, ვისაც დამსახურებულად ადგას გვირგვინი (ალ-ყალყაშანდ, VI, გვ. 82).

20. ტექსტშია عالم في العالم, რაც ნიშნავს „თავის სარწმუნოებაში განსწავლულს". ალ-ყალყაშანდ განმარტავს მხოლოდ „ალ-'ალიმ"-ს (მცოდნე, განსწავლული, მეცნიერი), რომელიც არაბი ენციკლოპედისტის თანახმად, სულტნის შესაფერისი ერთ-ერთი ტიტულია და უპირისპირდება „ალ-ჯაჰილ"-ს (უვიცი, ბრიყვი, სულელი, უგუნური). ის, კეშმარიტად, განსწავლული ხალხის ერთ-ერთი ტიტულია. ასე მიმართავენ მეფეებს მათი განდიდების მიზნით, რადგან სწორედ ცოდნა არის ის, რითაც თითოეული ცდილობს გამორჩევას (ალ-ყალყაშანდ, VI, გვ. 19—20).

21. ტექსტშია راعي في العادل „სამართლიანი თავის სამწყსოს მიმართ" ალ-ყალყაშანდ განმარტავს სხვა მსგავს ტიტულებს: „ალ-'ადილ ფ რ ჰამლაჰი" და „ალ-'ადილ ფ რ მიღლათიჰი" (სამართლიანი თავისი სამეფოს მიმართ, სამართლიანი თავისი რელიგიური თემის მიმართ) და აღნიშნავს, რომ ორივე მეფეთა შესაფერი ტიტულია. „ალ-'ადილ", ალ-ყალყაშანდის თანახმად, უმაღლესი ტიტულია, რომელსაც უწოდებენ მეფეებსა და პროვინციის მმართველებს, რადგან სამართლიანობაზეა დაფუძნებული სახელმწიფოს არსებობა. არაბი ენციკლოპედისტი იქვე აღნიშნავს, რომ „ალ-ადილ"-ის ანტონიმია „ალ-ჯა'ირ" (სასტიკი, უსამართლო, დესპოტი, ტირანი) იხ. ალ-ყალყაშანდ, VI, გვ. 19, 84.

22. ტექსტშია بقية الملوك الأغريقية „საბერძნეთის მეფეთა [შორის] რჩეული". ალ-ყალყაშანდ აღნიშნავს, რომ ეს ტიტული გამოიყენებოდა ბერძნული რელიგიური საზოგადოების იმ რჩეულ მეფეთა შორის ზოგიერთების მიმართ, რომლებიც უკავშირდებიან პირველ (უძველეს) ბერძნებს (ალ-ყალყაშანდ, VI, გვ. 85). არაბი ენციკლოპედისტი გაკვირვებულია იმ გარემოებთ, რომ ალ-'უმარ თავის „ათ-თა'რიჭ"-ში მას ქართველი მეფის მიმართ გამოყენებულ ტიტულებს შორის მოიხსენიებს და იქვე ცდილობს განმარტება მოუძებნოს ამ ფაქტს: „შესაძლებელია, რომ (ალ-'უმარ) ქართველთა მეფე (ბერძნული) რელიგიური თემის წარმომადგენლად მიიჩნია" — წერს იგი (ალ-ყალყაშანდ, გვ. 85).

აღნიშნული ტიტულის შესწორება სცადა ვ. ტიზენჰაუზენმა. იგი აღნიშნავდა: „В место بقية الأغريقية (=греческих) я читаю بقية الأزقية (=грузинских)", მაგრამ, იქვე, სრულიად სამართლიანად, მიუთითებს გამოცემის რედაქტორი. „Эта поправка кажется мне ненужной. Называть христианского царя „лучшим из греческих царей"—простая вежливость со стороны мусульманского властителя. О генеалогической правде египетская канцелярия очень мало заботилась", В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 214.

23. ტექსტშია سلطان الكرج (ქართველთა სულტანი). ამ ტიტულს ალ-ყალყაშანდ სპეციალურად არ განმარტავს, რადგან, როგორც საგანგებო ტიტული, ის მხოლოდ საქართველოს მეფის მიმართ იქნებოდა გამოყენებული.

24. ტექსტშია ذخر ملك البحار و الخلج „ზღვებისა და სრუტეების სამეფოს განძი“. ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს არის ტიტული, რომელიც შეეფერება ყველა მეფეს, რომლის სახელმწიფო ზღვის სანაპიროზე მდებარეობს (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 88. შდრ. გვ. 14). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ-კალკაშანდი იქვე განმარტავს ავრეთვე ტიტულს „ზღვებისა და სრუტეების დამცველი“ (صاحب البحار و الخلجان). არაბი ენციკლოპედისტის თანახმად, ეს ტიტულიც გამოიყენებოდა იმ მეფეების მიმართ, რომელთა სახელმწიფოებს გააჩნდათ ზღვაზე გასასვლელი (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 87).

25. ტექსტშია وارث التبجان و الاسرة في آباء „ტახტგვირგვინოსანთა შთამომავალი“. ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს ტიტული ეკუთვნის იმას, ვისაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები თავის სამფლობელოში. ეს ტიტული უახლოვდება ტიტულს وارث التبجان რომელიც აღნიშნავს პიროვნებას, რომელსაც თავისი სამფლობელო მიღებული აქვს წინაპრებისაგან მემკვიდრეობით. ალ-კალკაშანდის თანახმად ესეც მეფეთა შესაფერისი ტიტულია (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 94).

26. ტექსტშია معز النصارية „ქრისტიანობის განმადიდებელი“ (განმამტკიცებელი). ალ-კალკაშანდის თანახმად, ეს ტიტული გამოიყენება ურწმუნო, კერძოდ კი, ქრისტიანი მეფეების მიმართ (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 93).

27. ტექსტშია مؤيد المسيحية „ქრისტიანობის შემწე“, იგივე, რაც مؤيد العيسوية ალ-კალკაშანდის თანახმად, ეს არის ტიტული, რომელიც გამოიყენება ქრისტიანი მეფეების მიმართ. იგი, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ, ნაცვლად ტიტულისა مؤيد المسيحية ზოგჯერ ითქმის مؤيد العيسوية (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 94), რასაც ჩვენი ტექსტის ფრაგმენტიც ადასტურებს.

28. ტექსტშია مسيح الابطال „საქრისტიანოს გმირთა მესია“. ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს არის ტიტული, რომლითაც მიმართავდნენ ისეთ დიდ [ურწმუნო] მეფეებს, როგორიცაა, მაგალითად, კონსტანტინოპოლის გამგებელი (صاحب القسطنطينية). ალ-ქალკაშანდი სიტყვას المسيح დაუმატა სიტყვა الابطال და წარმოგვიდგინა იმ ტიტულებთან ერთად, რომლებიც გამოხატავენ სიმამაცეს და რელიგიურ რწმენას (ალ-კალკაშანდი, გვ. 92).

29. ტექსტშია معظم البيت المقدس „იერუსალიმის განმადიდებელი“. ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს არის ერთ-ერთი ტიტული, რომელიც გამოიყენება [ურწმუნო] მეფეების მიმართ. ზოგჯერ, დაზუსტების მიზნით, მას ემატება [სიტყვები] და ითქმის: معظم البيت المقدس بعقد النية „[თავისი] გადაწყვეტილებით იერუსალიმის განმადიდებელი (რაც ჩვენი ტექსტითაც დასტურდება). „შეეფერება ყველა [ურწმუნო] მეფეს, რადგან ყოველ მათგანს სწამს განდიდება იერუსალიმისა, რო-

მელიც ცნობილია კერთხევით, თაყვანისცემითა და სიწმინდით“ (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 93).

30. ტექსტშია عماد بنى المعمودية „ნათლისღებულთა ბურჯი“. ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს ტიტული გამოიყენება მათი [ერწმუნო] დიდი მეფეების მიმართ (ملوك بارك), რაც შეეხება عماد, იგი ნიშნავს მაღალ ნაგებობებს (الابنية الرفيعة). (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 90).

31. ტექსტშია ظهير بابا الباب رومية „რომის პაპის შემწე“. ალ-კალკაშანდის მიხედვით, ეს არის ტიტული, რომელიც გამოიყენებოდა ქრისტიანი მეჯვეების მიმართ (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 89).

32. ტექსტშია موالى المسلمين „მუსლიმთა გულწრფელი მეგობარი“. ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს ქრისტიან მეფეთა ტიტულია (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 94).

33. ალ-კალკაშანდის განმარტებული აქვს خاصة الاصدقاء ტექსტში კი გვაქვს خاصة الاصدقاء المقربين „დაახლოებულ მეგობართაგან უწმინდესი“. არაბი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ეს მეფეთა შესაფერისი ტიტულია (ალ-კალკაშანდი, ტ. VI, გვ. 87).

34. ტექსტშია صديق الملوك و السلاطين „მეფეთა და სულტანთა გულწრფელი მეგობარი“. ალ-კალკაშანდის თანახმად, ეს ტიტული გამოიყენება ქრისტიანი მეფეების მიმართ. მასში იგულისხმება (ქრისტიანი გამგებლებს) მეგობრობა და სიყვარული მუსლიმი მეფეებისა და სულტნების მიმართ (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 89). ალ-კალკაშანდი სხვა ადგილას მიუთითებს, რომ ას-სადრეის (გულწრფელი მეგობარი) მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე „ალ-ხალილ (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 47).

35. ტექსტშია لا بما يظن انه عنده من و بما فى راينا اوى ვ. ტიზენჰაუზენი მას ასე თარგმნის: „не теми (качествами и подвигами), которые приписываются ему, нашим проницательным суждением (требующим его поддержи). იქვე შენიშვნაში წერია: „т. е. не его кераки и старгинями, как бы они не были обдуманы„ (В. Г. Тизенгаузен, Заметка..., с. 214). ჩვენს თარგმანში: არა იმ (თვისებებით) თავისად რომ მიაჩნია, ჩვენი გამჭრიახი გონებით“.

36. როგორც აღნიშნა ალ-მუსაბბიხის თხზულების სათაურის პიველი სიტყვა არის تقيف (თასკრიფ), მაგრამ ე. კატრემერი მას თასკრიფად კი არ კითხულობდა, არამედ ფიქრობდა, რომ აქ იყო სიტყვა تقيف (თანკრიფ) E. Quatremere Histoire des Sultans Mamlouks del'Egypte, II, გვ. 307. ლენინგრადის აღმოსაელეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერში სრულიად აშკარად იკითხება تقيف (თასკრიფ).

37. ვ. ტიზენჰაუზენისა და გ. წერეთლის მიერ გამოცემულ ტექსტებში არის داود ალ-კალკაშანდის კაიროს გამოცემაში კი გვაქვს داود რაც, ია თქმა უნდა, უფრო სწორია (ალ-კალკაშანდი, VIII, გვ. 29).

38. ალ-მუჰიბბის ხელნაწერში იკითხება დვდიმანი (ديادا), ალ-კალკაშანდის-თან გვაქვს დიაჲდანი (ديادى) გ. წერეთელმა თავის დროზე გაასწორა ეს შეცდომა და ალ-კალკაშანდის ტექსტის მისეულ გამოცემაში დატოვა ديادا დვდიმანი (გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, გვ. 80).

39. გ. წერეთლის მიერ გამოცემულ ტექსტში გვაქვს ابخاز (იხ. არაბული ქრესტომათია გვ. 80), კაიროს გამოცემაში ابخاس (იხ. ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, VIII, გვ. 29). საერთოდ არაბულ წყაროებში ეს სახელი ორივე ფორმით გვხვდება.

40. ტექსტშია المكرّم „დიდებული“. ეს ტერმინი, როგორც ტექსტიდან ჩანს, მოხსენიებულია ალ-მუჰიბბის „თასკრჭ“-ში. ალ-კალკაშანდი ხაზს უსვამს მის გრაფიკულ გამოსახვას. იგი წერს, რომ აუცილებელია გაორმაგებული რჳ(,) და დასძენს, რომ ის არის ალ-მალრიბის მეფეთა ტიტული და ნაწარმოებია სიტყვიდან ალ-ქარჳმა (الكرامة). (ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, VI, გვ. 30). როგორც ცნობილია, მალრიბი გულისხმობს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკას (ეგვიპტის გამოკლებით). ამდენად გაოცებას იწვევს, თუ როგორ მოხვდა მალრიბთა მეფეთა ტიტული ქართველი მეფის ტიტულატურათა შორის.

41. ტექსტშია القديس, რაც ნიშნავს წმინდანს. არაბი მემატიანე მიუთითებს, რომ ეს ტიტული შეეფერება სასულიერო პიროვნებებს, პაპებს, პატრიარქებს და სხვა (ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, VI, გვ. 82).

42. ტექსტშია الروحانى ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს ტერმინი იხმარება მორწმუნეთა მიმართ და იქვე მიუთითებს, თუ როგორ უნდა დაიწეროს ის (ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, VI, 81).

43. ტექსტში თანმიმდევრულად არის აღნიშნული სამი ტიტული: عز الامة المسيحية ، كنز الطائفة الصليبية ، فخر دين النصرانية რომლებიც ახლოსდებიან ერთმანეთს და აღნიშნავენ „ქრისტიანული რელიგიის (მოძღვრის) სიამაყეს, განძს, დიდებას“. ამ ტერმინების განმარტება ალ-კალკაშანდისთან ვერ ვნახეთ. სამაგიეროდ მას განმარტებული აქვს فخر الملّة المسيحية — „ქრისტიანული რელიგიის სიამაყე“, რაც ახლობრივად ზემოთ აღნიშნული ტერმინის فخر دين المسيحية ეკვივალენტია. ალ-კალკაშანდი აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი იხმარება მეფეთა მიმართ და შეეფერება მელქიტ და იაკობიტ მეფეებს (ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, VI, გვ. 90). არაბი ისტორიკოსი განმარტავს აგრეთვე ტიტულს عز الملة النصرانية „ქრისტიანული სარწმუნოების სიამაყე“, რაც შინაარსობრივად ასევე იდენტურია ზემოთ აღნიშნული ტიტულებისა. იგი მიუთითებს, რომ ეს ტიტული იხმარება დიდი მეფეების მიმართ (ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, VI, გვ. 90).

ალ-კალკაშანდის თავის ენციკლოპედიაში ცალკე აქვს აგრეთვე გამოტანილი საქართველოს მეფის ალ-'უმარ'ისეული ტიტულატურა (იხ. ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, VI, გვ. 175).

როგორც ვხედავთ, იმ ტიტულების უმრავლესობა, რომლებიც გამოიყენებოდა ქართველი მეფის მიმართ, საერთოდ იხმარებოდა ქრისტიანი მეფეების, ხოლო

ზოგჯერ დიდი ხელმწიფეების მიმართ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ალ-კალკაშანდის თხზულებაში ახსნილი და განმარტებულია სხვადასხვა ტიტული, რომლებითაც მიმართავდნენ ვეზირებს, ამირებს, პროვინციის მმართველებს, სხვადასხვა რანგის მოხელეებს, რელიგიის მსახურთ, ვაჭრებსა და სხვა. მასში მოითხოვებულია აგრეთვე წერილისათვის საჭირო ქაღალდის ზომა, წერილის წინაარსის თანმიმდევრობა, მისი ძირითადი ნაწილისა და დაბოლოების ფორმები. ეს ყველაფერი მაშლუქთა პერიოდის ეგვიპტის დიპლომატიური მიმოწერის მაღალი დონის უშუალო დამადასტურებელია.

44. ტექსტშია الجرجان — ჯურჯანი, გურგანი. არაბი გეოგრაფები ჩვეულებრივ, ჯურჯანს უწოდებენ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთ პროვინციას. ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს ქართლი. იხ. W. Björkman-ი, დასახ. ნაშრ., გვ. 166. გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 38.

45. ალ-კალკაშანდის თანახმად, აღმოსავლეთის მხარის ორი [ურწმუნო] სახელმწიფოს მეფეებთან აწარმოებენ მიმოწერას ეგვიპტის მამლუქი სულტნები. პირველი სახელმწიფო, როგორც ვნახეთ, საქართველოა, რაც შეეხება მეორე სახელმწიფოს, იგი ჩვენ მიერ შესრულებულ თარგმანში არა ჩანს. ალ-კალკაშანდი კი მიუთითებს, რომ ის არის „სომხების სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია სისი“ (ალ-კალკაშანდი, VIII, გვ. 29). იგულისხმება კილიკიის სომხური სახელმწიფო რომელიც არსებობდა 1080—1357 წლებში.

46. ტექსტშია ناتب اليونان ეს ტიტული ალ-'უმარისა და ალ-მუჰიბბისთან არ გვხვდება. ის ალ-კალკაშანდიმ დაუმატა ქართველი მეფის ტიტულებს. სიტყვას „სალარნ“ აქვს რამდენიმე მნიშვნელობა. სალარულ ჯუნან შეიძლება ითარგმნოს როგორც ბერძნების შთამომავალი, ასევე ბერძნების შვილი და ბერძნებით ამოღებული (მახვილი).

47. ტექსტშია خلاصة ملوك السريان „სირიელ მეფეთა რჩეული“. ეს ტიტული ალ-'უმარისა და ალ-მუჰიბბისთან არ გვხვდება, ის ალ-კალკაშანდის ჩამატებულია, რომელიც მიუთითებს, რომ „ტიტული შეეფერება ყველას, ვინც სირიელ მეფეთა შთამომავლობას უკავშირდება, ხოლო სირიელები მსოფლიოს უძველესი ხალხია“ (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 87).

48. ტექსტშია بقية أبناء التخوت و التيجان „ტახტგვირგვინოსანთა შთამომავლებს შორის რჩეული“. ეს ტიტული ალ'უმარის და ალ-მუჰიბბის თხზულებებში არ გვხვდება, მას უმატებს ალ-კალკაშანდი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ეს ტიტული არის (ურწმუნო) მეფეთა შესაფერისი. ის შეეფერება აგრეთვე ყველა მელქიტ დიაკობიტ მეფეს“ (ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 85).

49. ალ-კალკაშანდის კაიროს გამოცემის ტექსტში საკმაოდ სწორად არის აღნიშნული, რომ ეს „დალოცვა“ ფიქსირებულია ალ-'უმარის „ათ-თა'რიფში“ (იხ. ალ-კალკაშანდი, VIII. გვ. 28), ე. ი. ალ-'უმარის თხზულებიდან გადმოტანია ალ-კალკაშანდის ვ. ტიზენჰაუზენის მიერ გამოცემულ ალ-კალკაშანდის ტექსტში არასწორად არის მითითებული, რომ ტექსტის ეს მონაკვეთი აღებულია ალ-მუჰიბბის „თასკრფიდან“ იხ. В. Г. Тизенгаузен, Заметка... გვ. 209, ასევეა გ. წერეთლის „არაბულ ქრესტომათიაში“, გვ. 79.

50. ალ-კალკაშანდის კაიროს გამოცემის ტექსტშია ملك الجبال و الكرج و الجرجان ნაცვლად სიტყვისა الجبال წერია الجبل. როგორც ცნობილია, „ალ-ჯიბალ“

ნიშნავს ირანის ერაყს, რაც მოცემულ კონტექსტში საესებით უადგილოა. აღნიშნული ნაწილი, როგორც ვნახეთ, ალ-კალკაშანდის ამოღებული აქვს ალ-მუჰიბბის „თასკრჰიდან“. ეს თხზულების ხელნაწერში კი სრულიად აშკარად იკითხება „აბხაზ“. სწორედ ასეა ვ. ტიზენჰაუზენის მიერ გამოცემულ ალ-კალკაშანდის ტექსტში. (იხ. В. Г. Тизенгаузен, Заметка... с. 209). დ. ლანგსაც აქვს აღნიშნული, რომ ალ-კალკაშანდს „სუბჰ ალ-ამშს“ კაიროს გამოცემაში „აბხაზ“-ის ნაცვლად წეცდომით წერია „ალ-ჯიბალ“ (იხ. D. M. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 79). გ. წერეთლის მიერ გამოცემული ალ-კალკაშანდის თხზულების ტექსტის სათანადო ადგილზე არის „აბხაზ“ (იხ. გ. წერეთლის არაბული ქრესტომათია, გვ. 80).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალ-კალკაშანდს ცალკე აქვს გამოტანილი აგრეთვე საქართველოს მეფის ტიტულატურა ალ-მუჰიბბის „თასკიჰიდანაც“. საინტერესოა ის გარემოება, რომ ალ-მუჰიბბისეულ ტიტულებში მას ჩამატებული აქვს القمقام ალ-კამკამ, რაც ნიშნავს „დიდსულოვანს“. ალ-მუჰიბბის „თასკრჰიდან“ შეიტანა მან თავის ენციკლოპედიაში ბიზანტიის იმპერატორის ტიტულატურაც, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ის არის ملك الكرج و السريان أعظم „ქართველთა და სირიელთა სარწმუნოების განმადიდებელი“ (ალ-კალკაშანდ, VI, გვ. 177, აგრეთვე ტ. VIII, გვ. 45), რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს საქართველოს აღიარებას მახლობელ აღმოსავლეთში XIV ს. II ნახევარში (ალ-მუჰიბბის მოღვაწეობის დროს).

უთუოდ საინტერესოა აგრეთვე შემდეგი გარემოება. ალ-კალკაშანდს აღნუსხული აქვს ფესის გამგებლის (صاحب الفاس) წერილი ეგვიპტის სულტნისადმი. როგორც ცნობილია, ფესი XIII—XIV საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში მარინიდების სახელმწიფოს დედაქალაქი იყო. ფესის გამგებელი, მიღებული წესის შესაბამისად მიმართავს ეგვიპტის მმართველს სულტნის შესაფერისი ტიტულატურით და უწოდებს მას: هازم جيوش الارمن و الفرنج و الكرج و التتار „სომხების, ფრანკების, ქართველებისა და მონღოლების ლაშქრების დამმარცხებელს“ (იხ. ალ-კალკაშანდ, VIII, გვ. 88). როგორც ჩანს, იმდენად მნიშვნელოვან ფაქტად იყო მიჩნეული (სხვებთან ერთად) ქართველთა ლაშქარზე გამარჯვება, რომ „ქართველთა ლაშქრის დამმარცხებელი“ სულტნის ტიტულის რანგში იყო აყვანილი.

51. ალ-კალკაშანდი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მას ზოგიერთ რეესტრში უნახავს საქართველოს მეფის სხვა ტიტულატურაც, რადგან აღნიშნული ტიტულატურა არ შედის საქართველოს შესახებ ცნობების ძირითად ტექსტში, მოვიყვანთ ქართულ თარგმანთან ერთად მის არაბულ ტექსტსაც. ალ-კალკაშანდი წერს:

و صورتها على ما رأيته فى بعض الدساتير فى القاب ملك الكرج

ايضا «حضرة الملك الجليل ، العالم فى ملته ، العادل فى مملكه ، المتوج من الله فلان ، سيد ملوك النصرانية ، أكبر زعماء الملة المسيحية ، ضابط المماليك الكرجية ، . . خليل الملوك و السلاطين»

ფორმა, რომელიც მე ვნახე ზოგიერთ სხვა რეესტრში საქართველოს მეფის ტიტულების შესახებ: დიადი მეფური უდიდებულესობა, თავის რელიგიაში განსწავლული, თავისი სამეფოს მიმართ სამართლიანი, ალლაჰის მიერ გვირგვინდა-

დგმული მავანი, ქრისტიან მეფეთა წინამძღოლი, ქრისტიანული რელიგიის მესვეურთა შორის უდიდესი, ქართველთა სამეფოების მეთაური... მეფეთა და სულტანთა გულწრფელი მეგობარი.

ალ-კალკაშანდის ტექსტის გამომცემელი აღნიშნავს, რომ მრავალწერტილით აღნიშნულ ადგილზე ხელნაწერში არის სიცარიელე, დაახლოებით ერთი სიტყვის ოდენობის (იხ. ალ-კალკაშანდი, VI, გვ. 177).

როგორც ვხედავთ, ალ-კალკაშანდის აღნუსხული აქვს მიმართვის ფორმელა. ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში სიტყვა „მავანის“ ნაცვლად კონკრეტული ისტორიული პირის სახელი უნდა მოთავსდეს.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს აგრეთვე იმ ტიტულების გაცნობა, რომლებიც გამოიყენებოდა თავად ეგვიპტის სულტნების მიმართ, როდესაც მისი სახელით დივან ალ-ინშადან ეგზავნებოდათ წერილი საქართველოს მეფეებს. ასეთი სახის წერილების ნიმუში მოეპოვებათ როგორც ალ-'უმარის, ასევე ალ-კალკაშანდის. ალ-კალკაშანდისთან ასეთი ნიმუში მოცემულია ენციკლოპედიის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ეგვიპტის სულტნების ტიტულატურაზე, რომელიც გამოიყენებოდა ბიზანტიელ, ქართველ, ფრანგ, ეთიოპელ და სხვა ურწმუნო მეფეებთან გაგზავნილ ეპისტოლეებში.

الطرف الثانى

(من المكاتبة عن ملوك الديار المصرية على المصطلح — المستقر عليه الحال ، الى ملوك الكفر)

و آعلم أن ملوك الكفر المكاتبين عن هذه المملكه جميعهم نصارى من الرُّوم ، و الفرنج ، و الكُرج ، و الحبشة وغيرهم ، اذ كانوا هم المستولين على اكثر الممالك ، ...قال فى «التعريف» و جميع الكتب المكتوبة الى ملوك الكفر لا يشملها الخطّ الشريف اصلا ، بل يكتب فوق البسملة فى الكتاب بخط الكاتب عِوَضَ العلامة الشريفة أسطر العلامةتصيرة ببياض من الجانبين ما صورته

«من السلطان الأعظم الملك الناصر — مثلا — العالم ، العادل ، المجاهد ، المرابط ، المثاغر ، المؤيّد ، المظفّر ، المنصور ، الشاهنشاه ، فلان الدنيا ، و الدين ، سلطان الاسلام و المسلمين ، محى العدل فى العالمين ، وارث الملك ، ملك العرب و العجم و التُرك ، ظلّ الله فى ارضه ، القائم بسنّته و فرضه ، اسكندر الزمان ، مملّك اصحاب المنابر ، و التخوت و التيجان ، واهب الأقاليم

و الامصار ، مبيد الطغاة و البغاة و الكفار ، حامي الحرمين و القبلتين ، جامع كلمة الايمان ، ناشر لواء العدل و الاحسان ، سيد ملوك الزمان ، امام المتقين ، قسيم أمير المؤمنين ، ابي فلان ، ابن السلطان الشهيد الملك الفلاني فلان ، خلّد الله سلطانه ، و نصر جنوده و جيوشه و اعوانه».

მუხლი მეორე

(ეგვიპტის მეფეების მიერ ურწმუნო მეფეებთან მიმოწერაში დამკვიდრებული ტიტულატურის შესახებ)

უწყოდე, რომ ურწმუნო მეფეები, რომლებთანაც არსებობს მიმოწერა ამ [ეგვიპტის] სახელმწიფოდან, ყველა ქრისტიანია. ესენია: ბიზანტიელების, ფრანკების, ქართველების, ეთიოპიელების და სხვათა [მეფეები] მაშინ, როდესაც განაცებდნენ ისინი უმეტეს სამფლობელოებს. ... აღნიშნა [ალ-'უმარიმ] „ათ-თა'რიფ"-ში, რომ ურწმუნო მეფეებისათვის მიწერილი ყველა წერილი არ შეიცავს მაღალ მიმართვას დასაწყისშივე. არამედ [წერილში] ბასმალას [„სახელითა ალლაჰისა მოწყალისა მწყალობელისა" — დ. გ.] წინ ქათიბის მიერ ნაცელად მაღალი მინიშნებისა, იწერება მოკლე სტრიქონი და ორიენ მხრივ რჩება სიცარიელე. ასეთია ნიმუში.

„უდიდეს სულტან ალ-მალიქ ან ნასირისაგან (იგულისხმება სულტანი ალ-მალიქ ან-ნასირ მუჰამმად იბნ კალავუნი (1293—1294, 1298—1308, 1309—1340). მაგალითად: განსწავლული, სამართლიანი, სარწმუნოებისათვის მებრძოლი, საზღვრის მეთვალყურე, გასასვლელის გამკვეთი, შემწე, გამარჯვებული, ძლევამოსილი, შაჰინშაჰი, ქვეყნისა და რელიგიის მავანი (ტექსტში فلان الدنيا و الدين სიტყვის فلان მნიშვნელობაა: ასეთი და ასეთი, მავანი. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ შეიძლება მის ნაცელად მოთავსდეს რომელიმე ეპითეტი, რაც მთლიანობაში ასეთი სახით შეიძლება წარმოგვიდგეს, მაგალითად: عز الدنيا و الدين „ქვეყნისა და რელიგიის დიდება" ან جلال الدنيا و الدين „ქვეყნისა და რელიგიის სიდიადე"), ისლამისა და მუსლიმთა სულტანი, ამა ქვეყნის მცხოვრებთა შორის სამართლიანობის განსახიერება, სამფლობელოს მემკვიდრე, ხელმწიფე არაბთა, ირანელთა და თურქთა, ალლაჰის ჩრდილი დედამიწაზე, თავისი გადაწყვეტილებისა და მოვალეობის მიმართ მტკიცე, ამ დროის ისქანდერი, მინბარების, გვირგვინების და ტახტების მფლობელთა მეუფე, ქალაქებისა და მხარეების მბრძანებელი, ბოროტმოქმედთა, წინააღმდეგთა და ურწმუნოთა მომსპობი, ორთა ყიბლათა და ორთა წმინდა ადგილთა (იგულისხმება მექა და მედინა — დ. გ.). დამცველი, ფიცთა სიტყვის შემკრები, სამართლიანობისა და სიკეთის დროშის გამშლელი, ამა დროის მეფეთა მბრძანებელი, ღვთის მოშიშთა იმამი, მართლმორწმუნეთა მბრძანებლის თანამზრახველი, მამა მავანისა, ძე სულტნისა მაეან გარდასულ მეფის მავანი, ალლაჰმც

ხანგრძლივ ჰყოფს მის ძლიერებას, მისი სპის, ლაშქრის და შემწეთა განარჯევებას" (იხ. ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, VIII, გვ. 25).

52. როგორც ცნობილია, XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველომ მოიპოვა განსაკუთრებული უფლება აღმოსაველეთის ქვეყნების ქრისტიანული მოსახლეობის მფარველობაზე, ხოლო მუსლიმურ ქვეყნებში მოგზაურ ქართველებს ფართო პრივილეგიები მიენიჭათ. მათ უფლება ჰქონდათ შესელიყვნენ იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით. ამავე დროიდან უნდა მოდიოდეს ის უფლებაც, დროდადრო რომ კარგავდნენ და მაინც ინარჩუნებდნენ ქართველი მოგზაურები. ლაპარაკია ცხენზე სწორედ შეჯდომაზე, რაც გამოიხატებოდა ორივე მხარეს ფეხების ჩამოშვებაში, ნაცვლად, დამამცირებელი ერთ მხარეს ორივე ფეხის გადაწყობისა და ის ტრადიციაც, რომლის მიხედვითაც ქართველ მლოცველებს არაბი მოხელე, რომელიც, როგორც წესი, ერთი და იმავე არაბული გვარის წარმომადგენელი იყო, ხვდებოდა ალეპოში, მიჰყვებოდა იერუსალიმში და შემდეგ უკანვე აცილებდა. კითხვაზე, თუ რა იყო მიზეზი მამლუქთა კეთილგანწყობილებისა და მფარველობისა ქართველებისადმი, საინტერესოა აბუ მანნეჰის ჰოსაზრება. იგი ფიქრობს, რომ ამას ორი მიზეზი განაპირობებდა: მამლუქთა ბოლო პერიოდში სულტნებისა და სხვა მამლუქების კავკასიური წარმოშობა აადვილებდა მათ ურთიერთგაგებას, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ვაჭრობა. ტყვეების შესასყიდად, რაც აქ სულტანმა კალაუნმა დაიწყო, მამლუქთა ვაჭრებს საქართველოს ტერიტორიაზე გავლა სჭირდებოდათ, (იხ. ბ. ა ბ უ მ ა ნ ნ ე ჰ ი, ქართველები იერუსალიმში, გვ. 165). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ახლად გამოვლენილი XIV ს. ლათინურ ენაზე შედგენილი ერთი დოკუმენტის მონაცემი, რომლის მიხედვით: „სებასტოპოლის (ცხუმის) კათოლიკეთა ეპისკოპოსის პეტრე გერალდის 1330 წლის წერილში კენტერბერის არქიეპისკოპოსისა და ინგლისის სხვა ეპისკოპოსებისადმი აღნიშნულია, რომ „ერთ დროს აქ ასი ქრისტიანი მიჰყიდეს სარკინოზებს. მათ ეს ქრისტიანები სარკინოზთა ქვეყანაში წაიყვანეს და იქ სარკინოზებად აქციეს" (ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვერდი 157).

სირია-პალესტინაში ჩასულ ქართველ პილიგრიმებს უნდა ეხებოდეს ალ-კალკაშანდის თხზულებაში ფიქსირებული ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც არ მოეპოვებათ არც ალ-'უმარის და არც — ალ-მუჰიბბის. ეჭვს გარეშეა, რომ ქრისტიანული რელიგიის ცენტრის — იერუსალიმის — „წმინდა ადგილების" მოსანახულებლად და მოსალოცად ჩასულ ქრისტიან პილიგრიმებს, მათ შორის ქართველებსაც, ეგვიპტის მამლუქი სულტნების სათანადო ნებართვა უნდა ჰქონოდათ. ალ-კალკაშანდის მითითებული აქვს, რომ არსებობდა ნებართვის სპეციალური ფორმა, გაცემული დივან ალ-ინშა'ს მიერ, რომელიც ცნობილი იყო ტერმინით كلا (იტლაჯ), რაც ნიშნავს გაშვებას, განთავისუფლებას. მის თხზულებაში დაცულია ქართველი პილიგრიმებისათვის გასაცემი იტლაჯის ნიმუში. არაბი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ იწერება ის ჩვეულებრივი ზომის ქაღალდზე და იწყება მაღალ ნებართვთ. შემდეგ მას იქვე მოჰყავს „იერუსალიმის მოსანახულებლად ჩამოსული ალ-ფარანჯ ალ-ჯურჯანის [ხალხისათვის] განწესებული მაღალი ხელმოწერის ნუსხა" (იხ. ა ლ-კ ა ლ კ ა შ ა ნ დ ი, XIII, გვ. 46).

ვალტერ ბიორკმანი, რომელსაც სპეციალური გამოკვლევა ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ეგვიპტის საკანცელარიო საქმის შესახებ, უყოყმანოდ მიუთითებს, რომ ალ-კალკაშანდის მიერ დასახელებული „al-Faranǧ al-Gurǧān" არიან „იერუსალიმის ქართველი პილიგრიმები" — Die georgischen Jerusalempilger", იხ. W. B j o r k m a n, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

ალ-კალკაშანდის მოყვანს ასეთი „მაღალი ხელმოწერის“ ორი ნიმუში. ერთი მათგანი განწესებულია იმ ქართველი პილიგრიმებისათვის, რომლებიც ჩადიოდნენ იერუსალიმში აღდგომის ეკლესიის მოსახილავად, ხოლო მეორე — მათთვის, კინც რამლას მოსანახულებლად მიემართებოდნენ. საინტერესოა ის გარემოება, რომ არაბი მემატიანე აღდგომის ეკლესიას უწოდებს كنيسة القمامة რაც არასწორია. აღდგომის ეკლესიას არაბულად ეწოდება كنيسة القيامة მუსლიმი ავტორები და საერთოდ მუსლიმები გაბედულ ამახინჯებდნენ აღდგომის ეკლესიის სახელს და قيامة რაცელად, რაც „აღდგომას“ ნიშნავს, უწოდებდნენ قمامة, რაც ნიშნავს „ნაგავს“, ამით მუსლიმები გამოხატავდნენ თავიანთ სიძულვილს აღდგომის ეკლესიის მიმართ (რხ. B a h a ad-D i n, The Life of Saladin, London, 1899, გვ. 207. შენ. 1 მთარგმნელის).

სირია-პალესტინის ქრისტიანული რელიგიის ცენტრები, სხვებთან ერთად, საქართველოს პილიგრიმებსაც იზიდავდა. სწორედ მათ მიერ გაღებული შესაწირავების ხარჯზე იყო შესაძლებელი ქართველი ეკლესია-მონასტრების არსებობა იერუსალიმში. მოგზაურებს ვერავითარი ხიფათი ვერ აბრკოლებდა, ეს ხიფათი კი ამ საუკუნეებში მეტ-ნაკლებად მუდამ არსებობდა. ქართველი პილიგრიმები, რა თქმა უნდა, შეძლებელი არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ, „რომლებიც ამაყად დაბიჯებდნენ იერუსალიმში გაშლილი დროშებით და მეროდნენ მათ ჰიმნებს, დიდი ძალუფლებით სარგებლობდნენ და ჩინებულად გრძნობდნენ თავს“ (გ. ფ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი გვ. 218).

საქართველოს ურთიერთობა ეგვიპტესთან და დიპლომატიური კავშირები მოითხოვდნენ ქართველ მეფეთა საპასუხო წერილების გაფორმებას. უეჭველია ქართველ დესპანებს მამლუქ სულტნებთან ქართველი მეფეების ეპისტოლეებიც მიჰქონდათ: სამწუხაროდ, ჯერჯერობით არცერთი მათგანი გამოვლენილი არ არის. ალ-კალკაშანდის თხზულების VIII ტომში ჩამოთვლილია ეპისტოლეთა ნიმუშები, რომლებიც იგზავნებოდა ეგვიპტის სულტნების სახელზე სხვადასხვა ქვეყნების გამგებელთა მიერ. სწორედ აქ არის სპეციალური ქვეთავი «كتاب الوارد من الكرك لوك ملوك» (საქართველოს მეფეებისაგან მოსული წერილები“), მაგრამ იქ, სადაც ჩვენთვის საინტერესო მასალა უნდა იყოს, ტექსტში არაფერი არ წერია. (აღნიშნული მინიშნება ჩვენ უკვე გაეცანით. იხ. დ. გ ო ჩ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი „ძეგლი ერისთავთას“ ერთა ცნობის დათარიღებისათვის, ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 14)..

РЕЗЮМЕ

В письменных памятниках, написанных на различных языках Востока и Запада имеется богатый материал по истории средневековой Грузии. Среди них особое место занимают арабские источники.

В сочинениях арабских историков ал-'Умарй, ал-Мухиббй и ал-Калкашандй имеются ценные данные по истории Грузии XIII—XIV вв., в том числе интересные сведения о дипломатических связях между мамлюкским Египтом и Грузией.

Объединение сведений трех арабских авторов в одной книге обусловлено тем, что они дополняют друг друга. Трудом ал-'Умарй как первоисточником пользовались как ал-Мухиббй, так и ал-Калкашандй.

Шихаб ад-дйн Ахмед ибн Йахйа ибн Фадлаллах ал-'Умарй ад-Димашкй (1301—1349) родился в Дамаске, но вырос и получил образование в Египте. Семейная традиция связывала его с административной работой. Известно, что его род почти в течение столетия ведал государственной канцелярией Египта. Кроме повседневной практики кāтиба ал-'Умарй имел хороших учителей в различных областях, однако он профессиональным ученым все же не стал; одно время он был судьей в Египте и преемником своего отца в должности государственного секретаря при султане ан-Насире (1293—1294, 1299—1309, 1310—1341).

Широкое образование и литературный вкус предохранили ал-'Умарй от узости канцелярской среды, в которой он провел всю свою жизнь. В разных источниках ему приписывают до 11 произведений. Среди них, помимо многотомной энциклопедии, особый интерес представляет небольшой компендий, в котором ал-'Умарй пытался изложить все необходимое в практике канцелярской службы в узком смысле слова. Предназначенный для специальной задачи (быть чем-то вроде канцелярского письмовника), он оказался благодаря системе, принятой автором, важным источником и для истории. Составление его относится ко времени после 1340 г., когда автор имел уже большой опыт канцелярской работы. Название компендия «Ат-та'рйф би-л-мусталах аш-шарйф» («Ознакомление с принятым высоким (т. е. канцелярским) стилем») определяет основную

цель книги. Делится труд на семь глав. Из них для нас особенно интересна глава, которая содержит формуляры для посланий к мусульманским и немусульманским повелителям.

В сочинении ал-'Умарй привлекают внимание образцы переписки египетских султанов с грузинскими царями, сведения об отношении Хулагуидского Ирана к Грузии, а также об освобождении грузинами от мамлюков Иерусалимского Крестного монастыря. Эти сведения известны грузинской историографии по компилятивному сочинению ал-Калкашанди. В нашей же работе впервые используется оригинал текста сочинения ал-'Умарй.

Освобождение Иерусалимского Крестного монастыря от мамлюков датируется нами 1310 годом. Согласно ал-'Умарй, переписку с египетским султаном по поводу возвращения Крестного монастыря вел царь Грузии Бртлмā. Однако истории не известен грузинский царь с таким именем. По нашему мнению, Бртлмā, есть Георгий V, а освободителем монастыря является Давид VIII. Форма переписки между египетскими султанами и грузинскими царями, содержащейся в сочинении ал-'Умарй, относится к первой четверти XIV в.

В конце XV в. сочинение ал-'Умарй отредактировал и дополнил многими документальными данными один из представителей сирийской ученой фамилии ал-Мухиббй, Таки ад-Дйн'Абд ар-Рахмāн ал-Кадавй ал-Мухиббй (ум. в 1384 г.), дав заглавие «Таскйф ат-та'рйф би-л-мусталах аш-шарйф («Отделка «Ознакомления с высоким стилем»). Благодаря рукописи, находящейся в Институте востоковедения АН СССР, эта редакция достаточно известна в науке. Еще в конце XIX в. В. Г. Тизенгаузен обратил внимание на ее важность для истории Золотой Орды (см. В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. I, СПБ., 1884, с. 331—350).

Сочинение представляет собой руководство по дипломатической и канцелярской переписке, особенно периода от времени правления мамлюкского султана ан-Нйсира Мухаммада и до конца правления султана ал-Ашрафа Нāсир ад-Дйна Ша'бāна (1363—1377). Так же, как и труд ал-'Умарй, сочинение ал-Мухиббй является важным источником для изучения истории и культуры Египта XIV в., особенно периода правления мамлюков. Сочинение состоит из авторского предисловия и семи частей, которые свою очередь подразделяются на разделы и главы. Труд ал-Мухиббй все еще остается неопубликованным. Мы пользуемся одним из самых редких и полных списков этого сочинения, хранящимся в Институте востоковедения АН СССР. Дата переписки — 1479 г. Место переписки —

Дамаск. Переписчик Ибрāхим ибн 'Абд ар-Рахмāн ат-Тарābулусī. В этом сочинении особого внимания заслуживает форма переписки египетских султанов с царем Грузии Давидом и правителем «Сухуми и Абхаса» — Дадиани. На основе сопоставления текстов ал-Мухиббī и ал-Калкашандī мы приходим к заключению, что упомянутый в тексте ал-Мухиббī царь Давид, есть Давид IX (1346—1360), а правитель «Сухуми и Абхаса» Дадиани, есть Георгий Дадиани (1345—1384). Исходя из этого, указанная ал-Мухиббī форма переписки египетских султанов с царями и правителями Грузии относится к 40—60-м гг. XIV в., но не позже 80-х гг. XIV в., поскольку в 1384 г. ал-Мухиббī скончался.

Шихāб ад-дīн Абу-л-'Аббāс Ахмед ибн'Алī ал-Калкашандī (1355—1418) крупная и известная фигура в историографии мусульманского Египта той эпохи. Европейские ученые познакомились с ним достаточно близко в XIX в. Однако признание его авторитета связано с публикацией его 14-томного фундаментального труда в 1913—1920 гг., осуществленной по инициативе Ахмада Заки. С 1389 года ал-Калкашандī стал служить в государственной канцелярии. Эта работа оказала большое влияние на деятельность ал-Калкашандī, и он оставался связанным с ней до самой смерти. В государственной канцелярии он начал составлять руководство для работников канцелярии под названием «Субх ал-а'шā' фī синā'āт ал-иншā'» («Рассвет для подслеповатого в искусстве писания»). Энциклопедия ал-Калкашанди в очень сильной степени зависит от произведений ал-'Умарī. Ал-Калкашандī как компилятор, дословно повторив сведения ал-'Умарī и ал-Мухиббī о Грузии, одновременно, со своей стороны, включил новые данные, отсутствующие в трудах ал-'Умарī и ал-Мухиббī. Сведения ал-Калкашандī о Грузии давно заинтересовали исследователей. Начало их изучению заложил В. Г. Тизенгаузен, опубликовавший в 1886 г. сведения ал-Калкашандī о Грузии, снабдив их русским переводом.

В работе даются грузинские переводы сообщений, упомянутых арабских авторов, о Грузии XIII—XIV вв., их анализ и примечания к ним.

საძიებლები

პირთა სახელები

აბაღა ყაენი 24
ალ-აბიჯარი 18
აბუ ლ-ფიდა 24, 25, 27
აბუ მანნეჰი ბ. 32, 35, 69
აბუ საიდი 21, 42, 49
ადამი. ვილჰელმ 23
ალ-აინი 33, 34, 37—39
ანდრონიკე II 37
არიშიანი, ვარდანის ძე (სვანთა ერისთავი) 33
ალ-აშრაფ ნასირ ად-დინ შა'ბანი 15
ალ-აშქარი 34, 37, 38

ბაგრატიონი 40
ბაიბარს ალ-ბუნდუკდარი 24, 28—32, 34, 37, 38
ბართლომე 40
ბარტლიმა 40—43, 51, 52, 55, 58
ბენდია. სამეგრელოს მეფე 47
ბერძენიშვილი ნ. 35
ბექა (სამცხის მთავარი) 25
ბიორკმანი ვ. 69
ბირთველ ორბელიანი 41, 42
ალ-ბირუნი 57

განძაკელი ,კირაკოს 24
გერალდი, პეტრე 46, 69
გიორგი მეფე 47
გიორგი V ბრწყინვალე 19, 35, 40—44, 46, 49, 59
გიორგი მცირე 39

დადიანი, გიორგი 44—47, 56
დადიანი მამია 46
დადიმანი 53, 64
დავით VIII 35, 36, 39, 42—45
დავით IX 16, 44—46, 49, 53, 55, 56
დავით ულუ 22—24
დემეტრე II 24—25, 35
დიდბედანი 64
დულანდი 42

ეპიფანელი, ოქტავ 25

ვახტანგ III 25, 29, 31, 32, 39, 41—43
ვახუშტი 42, 46

ზაქი ფაშა, აჰმად 13
აზ-ზაჰირი იხ. ბაიბარს ალ-ბუნდუკდარი
ზიადი, მუჰამმად მუსტაფა 37

თიმურთაში 22

იბნ ად-დავადარი 24—26, 30, 31, 49
იბნ ალ-ვასიტი 32
იბნ თაღრი ბარდი 24, 25
იბნ ალ-იბრი 24, 25
იბნ სა'იდ ალ-მაღრიბი 57
იბნ ქასირი 29, 30, 34
იბნ ჰაუკალი 57
ინგოროყვა 29, 35
ალ-ჟუნინი 24, 25, 30, 31

კაკაბაძე ს. 29, 41
ალ-კალკაშანდრ 11, 12, 16, 18—22, 28, 30, 34, 39, 40, 44, 45, 47—49, 54, 56—67, 69, 70

კანდელაკი ნ. 35
კატრმერი ე. 16, 33, 37, 63

კონსტანტინე მეფე 39, 42, 43
კუტუზი 24

ლანგი დ. მ. 19, 35, 41, 45, 46
ლევონ III (კილიკიის მეფე) 25
ლუკა მუხაისძე 28, 30—32

ალ-მაკრიზი 24, 25, 33, 34, 37, 38
მანგუ დემური 24
მაჰმუდი, ჩობანის ძე 21, 22, 51, 54
მენთეშაშვილი ალ. 35
მეტრეველი ელ. 29, 35, 41, 43
მუფადდალ იბნ აბი-ლ-ფაღაილი 24, 25, 30, 31, 37—39
მუჯირ ად-დინი 28, 33—35
მუჰამედ ხოდაბანდე 21
ალ-მუიბბარ 11, 12, 15, 16, 18, 19, 21, 30, 31, 44—49, 53, 56, 63—69

ნასირ ად-დინ მუჰამმადი 12
ნასირ მუჰამმად იბნ კალავუნი 15, 29, 49, 68

პალიენცი, ნერსეს 25
პაპუაშვილი თ. 29, 37
პოლიაკი ე. 47, 48
პიპა ქვენიფნეველი 36, 43

ჟამთააღმწერელი 22—26, 28, 57

რაშიდ ად-დინი 24
რიფსიმე, ვახტანგ III-ის მეუღლე 29
როზენი ვ. 57—59

ხაიფ კალავუნი 24, 28, 69
სარგის ჯაყელი 28
სენტ-ვიქტორი ჟ. 25
სვირიდ 29

Бртлма 72

Георгий V 72

Давид VIII 72
Давид IX 73

სილაგაძე ბ. 26, 35, 36, 41, 14
სოლომონი 29
სოსელია ო. 46

ტალიში, ჩუბანის ძე 22
ტიზენჰაუზენი ვ. 3, 13, 16, 18, 19, 33, 34, 37, 38, 40, 57, 58, 61, 63, 65

უზბეკ ყაენი 21, 22, 51, 54
ალ-'უმარრ 11—15, 16, 18, 19, 21, 22, 28, 30, 39—45, 47, 48, 51, 53, 55—59, 61, 62, 64, 65, 67, 69

ფუნდუხტი იხ. ბაიბარს ად-ბუნდუკდარი
ფარაჯი, აქმად 18

ალ-ქეთუბი 31

ყაზან ყაენი 25, 36
ყიფშიძე დ. 28, 29, 35, 41

ჩინგის ყაენი 13
ჩობანი (ჯუბანი) 21, 22, 40, 42, 48, 49, 51, 52, 54—56, 58, 59

ცაგარელი ალ. 28, 35, 41

წერეთელი გ. 19, 57, 58, 60, 63, 64, 66

ხიდრი (ქიდარი), შეიხი 28—32, 34, 37, 38

ჯავახიშვილი ივ. 11, 19, 22, 35, 41
ჯალალ ად-დინი 45
ჯაფარიძე გ. 14

ჰასანი, ძე ჩობანისა 22
ჰეთუმ II 25
ჰულაგუ ყაენი 22, 23, 27

Дадиани, Георгий 73

Заки, Ахмад 73

ал-Калкашанди 71—73

ал-Мухиббн 71-73

ан-Насир Мухаммад 72
ат-Тарабулуси, Ибрахим б. Абд ар-Рахман 73
الاشكرى 37, 39
برطلما 40, 42, 58
(الشيخ) خضر 34, 47—39
دادان 64
دايان 64
Тизенгаузен В. Г. 72, 73
ал-'Умари 71—73

გეოგრაფიული, ეთნიკური, დინასტიური და რელიგიურ თემათა სახელები

აბხაზები 53, 56
აბხასი 16, 47, 53, 56, 66
აინ-ჯალუთი 24
აიუბიანები 24, 41
ალეპო 69
ალექსანდრია 31, 34
ამიერკავკასია 49
ანაკოფია 46
ანტიოქია 25
არაბები 68
არმენია 51, 54
არრანი 56
აფრიკა (ჩრდილოეთი) 64, 66
აფხაზეთი 47
აღდგომის ეკლესია (იერუსალიმში) 31
აწყური 28

ბაღდადი 23
ბაჰრელ მამლუქთა სახელმწიფო 24
ბერძენთა ეკლესია (ალექსანდრიაში) 131
ბერძნები 31, 48, 55, 65
ბიზანტია 66
ბიზანტიელები 67, 68
ბურგუნდია 67, 68

გილანი 27

დამასკო 12, 16
დარბუზაკი (დარბუსაკ) 25

ებრაელები 37
ებრაელთა სინაგოგა (დამასკოში) 31

ეგვიპტე 11—17, 19, 21—29, 35, 36, 39—41, 43, 44, 47—50, 54—58, 64—70
ევფრატი 26
ევროპელები 67, 68

ვისბადენი 13

თათრები 48, 56
თბილისი 44, 45, 47, 51, 53, 54, 56, 57
თურქები 68

იაკობიტები 64, 65
იაკობიტთა ეკლესია (კაიროში) 37
იერუსალიმი 28, 29, 31, 33, 34, 36—38, 43, 52, 55, 62, 69, 70
ილხანები 21, 39, 44, 23—27
იმერეთი 21
ირანი (ილხანთა, ჰულაგუიანთა) 11, 13—15, 21—23, 26, 36, 40, 42, 48, 49, 51, 52, 54—57
ისმაილიტები 23

კაირო 13, 18, 19, 33, 34, 37, 47—49, 63—65
კასპიის ზღვა 65
კემბრიჯი 18
კენტერბერი 46, 49
კვიპროსი 56
კილიკიის სამეფო 25, 27, 65
კირკასია 26

კონსტანტინოპოლი 33, 34, 37, 62
კოპტი 32

ლეიდენი 58
ლენინგრადი 34, 63
ლონდონი 58

მამლუქები 23, 26, 28, 39
მამლუქთა სასულტნო 12, 14
მარონიდების სახელმწიფო 66
მახლობელი აღმოსავლეთი 19
მედინა 68
მელქიტები 64, 65
მესოპოტამია (ჩრდილოეთი) 24
მეჭა 12, 68
მთიულეთი 39
მისრი (ქაირო) 34
მონღოლები 21—27, 29, 39, 43, 44, 48, 49, 57, 66
მუადდალია იხ. ჯვრის მონასტერი
მუსალაჰია იხ. ჯვრის მონასტერი
მცირე აზია 27

ნილოსი 46
ნჭროს ურდო 13, 16, 18, 21, 22, 27

პალესტინა 27, 33, 59

რაჰბა 26
რომი 55, 56
რუმელები 25
რუმი 51, 52, 54, 55
რუმის სასულტნო 24, 27

საბერძნეთი 52, 55, 61
სამეგრელო 46, 47
სამცხე 25
საქართველო 11, 14—16, 18—24, 27, 28, 36, 37, 40—56, 59, 61, 65—67, 69
სებასტოპოლისი (ცხუმი) 46, 69
სირია 14, 16, 24—27, 35, 39, 48
სირია-პალესტინა 24, 50, 69
სირიელები 15, 55, 65, 66
სისი 56, 65
სიუნია 41
სომხები 25, 65

სომხეთი 41, 56, 66
სპარსეთი 23
სპარსნი 29, 32, 33
სუხუმი (ცხუმი) 16, 44, 45, 47, 53, 56, 69

ფარანჯ ალ-ჯურჯანი 69
ფატიმიანები 44
ფესი 66
ფრანგები 67
ფრანკები 66, 68

ქართველები 22—30, 33—35, 37, 38, 40, 43—45, 47, 49—57, 61, 65—70
ქართლი 15
ალ-ქერდ 51, 54, 58
ქურთი 58
ალ-ქურჯ 51, 54, 58

ჩობანიანები 22

ყირიმი 56

ხორეზმი 22

ჯვრის მონასტერი 14, 15, 27—41, 43, 52, 55
ალ-ჯიბალ 65, 66
ჯურჯანელები 53, 56
ჯურჯანი 47, 65

ჰიმსი 25, 29
ჰულაგუიანები 22, 51, 54
ჰულაგუიანთა სახელმწიფო 49

Абхас 73

Грузия 71—73

Дамаск 73

Египет 71—73

Золотая орда 72

Крестовый монастырь 72

Сухуми 73

العرب 67
الفرنج 67
الفاس 66

القدس 37—39, 62 348
القسطنطنيه 34, 38, 62

الكرج 34, 37—39, 45. 61, 65—67, 70
الكرد 58

كنيسة المصلبة 37—39
كنيسة المصلحيه 38. 39
كنيدة المعدلية 34, 39
كنيسة اليعاقبة 37
كنيسة اليهود 37
اليونان 65

امخاز ، انحاس 64, 65
الارمن 66
الاسكندرية 34
التتار 66
الترك 67
تفليس 45

الجبال 65
الجرجان 65

الحبشة 67

الروم 67

السريان 65, 66
العجم 67

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3538

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლექავა
მხატვარი ვ. ბურჯანაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი რ. საჯაია
კორექტორი გ. გრძელიშვილი
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 7.1.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.1987;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 5.0;
პირ. საღ. გატ. 5.3; საღრ. საგ. თ. 4.1;

უე 01120; ტირაჟი 4000; შეკვეთა № 1605

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19